ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№189 (12 259)

13 აგვისტო ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

პირველი ჭურის პირველი მსხვერპლი

დინამომ ოლიმპს მოუგო და მწვრთნელი შეუცვალა

ვარლამ კილასონია

პარასკევს დაწყებულმა და გუშინ ბორჯომი-მერანის მატჩით დასრულებულმა საქართველოს ჩემპიონატის პირველმა ტურმა ქომაგს სენსაციაც აჩუქა, მეტ-ნაკლებად კარგი და უფერული თამაშებიც, მოედანზე ამტყდარი გაწევ-გამოწევაც და უმთავრესი - მწვრთნელის შეცვლა.

მთავარი რუსთავში მოხდა. "დინამომ" შარშან რუსთავში დაკარგული ქულებისა და ოქროს მედლებისთვის რევანში აიღო და პირველივე ტურში შეიქმნა მცირე უპირატესობა კონკურენტებთან.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, "დინამოსთან" წაგების მერე რუსთავის "ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. პრინციპში ეს მოსალოდნელიც იყო. ცოტა ხნის წინათ, კლუბის ხელმძღვანელობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა, ამასთან გუნდი ვერ აჩვენებდა კარგ შედეგს. კილასონიას შემცვლელი კი უკრაინელი **ანატოლი პისკოვეცი** იქნება. 59 წლის უკრაინელ სპეციალისტს კრივოი როგის "კრივბასში", ალჩევსკის "სტალში", ბაქოს "ინტერსა" და უკრაინის ქალთა ნაკრებში უმუშავია, ბოლოს კი ახტირკის "ნეფტიანიკის" დუბლებს წვრთნიდა.

შაბათს, რუსთავში. ანგარიში აკირემის ამ დარტყმის შემდეგ გაიხსნა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

გიორგი დემეტრაძის ორი გოლი

ქართული ლეგიონის ამგები

5



ოლიმპიადა 2008. ინტერვიუ ემზარ ზენაიშვილთან

პეკინამდე ერთი წელიწადი დარჩა

7-9 აგვისტოს პეკინში შეიკრიბნენ მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნის ეოკ-თა წარმომადგენლები, უმთავრესად ოლიმპიურ სოფელში მისიათა ხელმძღვანელები, რათა ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი წლით ადრე მასპინძლებისგან მიეღოთ სრული ინფორმაცია მზადების მიმდინარეობაზე, უშუალოდ გაცნობოდნენ ოლიმპიურ ობიექტებს, მიეღოთ პასუხი მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. სემინარის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სოკ-ის მაღალჩინოსნები თავად ჟაკ როგის მეთაურობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები, დედაქალაქის თავკაცები, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისა და სამსახურების ხელმძღვანელები.

საქართველოდან პეკინურ სემინარში სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი მონაწილეობდა.

12

Beijing 2008

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გაზსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ერთიანი ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი
www.pfl.ge
უმაღლესი ლიგა. I ტური

ოლიმპი-დინამო

0:2

11.08. რუსთავი. ფოლადი
4 000 მაყურებელი

0:1 აკირემი (56. ფეიქრიშვილის პასით), 0:2 ხუციშვილი (88. ოდიკაძის პასით).

ოლიმპი: მერლანი - ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა, ნავალოვსკი - ქებაძე, სილაგაძე (82 დვალიშვილი), ჟიკოვიჩი (61. დვალი) - კახელიშვილი, ჯიქია, გეწაძე (75. კოშკაძე).

სათადარიგოები: ალავიძე, მასუანგა.

დინამო: ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია - ფეიქრიშვილი(84. ხუციშვილი), ხმალაძე, დიღმელაშვილი, კობახიძე (75. ოდიკაძე) - მერებაშვილი (90. სპასოევიჩი), აკირემი

სათადარიგოები: ლორია, თომაშვილი, ფირცხალავა, დობეჟი.

გაფრთხილება: გ. კაშია (7), ჯიქია (63), აკირემი (74), მერლანი (79).

მსაჯი: ლევან ფანიაშვილი (თბილისი)

სტენოგრამა

3 წთ. "დინამოს" პირველი შეტევა კინაღამ გოლით დასრულდა - დიღმელაშვილმა საჯარიმოში გურამ კაშიას ჩაანოდა, რომლის თავური მერლანმა ნახტომში მოიგერია!

8. გეწაძის ჯარიმა ოვონომ მოიგერია.

12. ჟიკოვიჩის წამონყებული შეტევა კახელიშვილმა საჯარიმოში ჩანოდებით გააგრძელა, ჯიქია მარტოა დარჩენილი, მაგრამ მისი თავური ცარიელ კარს ასცდა.

13. შეტევას ფეიქრიშვილი იწყებს, აწვდის აკირემს, ის კი თავის მხრივ საჯარიმოში მერებაშვილს, მაგრამ დარტყმა არაზუსტია.

20. დინამოელთა შეტევა გოლით დასრულდა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობა დაფიქსირდა.

33. "დინამო" გოლს გადაურჩა: მეკარის საჯარიმოსთან ჯიქია შემობრუნდა და კარში დაარტყა - ოვონო მშვენიერ რეაქციას ავლენს.

35. ისევ მასპინძლები უტევენ. ჯიქიამ თავით ბრძოლა მოიგო და ბურთი საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეჭრილ კახელიშვილს დაუგდო, მაგრამ მან არაზუსტად დაარტყა.

39. უკვე "დინამო" უტევს. მერებაშვილმა საჯარიმოში აკირემი მოძებნა, მან ძალის მიერი ბრძოლა მოიგო, მცველს მხარი ჩაუდგა და კარისკენ გაიქცა, მაგრამ თანამემამულე აკუასაგა დაენია და ვითარება განმუხტა.

49. დიღმელაშვილმა ზუსტი პასით დასაარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ფეიქრიშვილი, მაგრამ მახვილი კუთხიდან ვერ გაიტანა.

56. 0:1 ფეიქრიშვილმა მშვენიერი გადაცემით რუსთაველ მცველებს ბურთი თავზე გადაუგდო, აკირემი მეკარესთან პირისპირ დატოვა და გაბინელებულ შანსი გამოიყენა.

70. "ოლიმპის" სწრაფი კონტრშეტევა კახელიშვილმა გაამწვავა, მშვენიერი გადაცემით ჯიქია დასაარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ მან რატომღაც, დვალს გადააწოდა, რომელიც ბურთს ვერ შესწვდა და მომენტი გაფუჭდა.

71. გეწაძე ჯარიმიდან ბურთი კარის "ცხრიანში" ახვეტს, მაგრამ ოვონო ისევ კარგად თამაშობს და კუთხურზე იგერებს.

73. "დინამო" აშკარა გოლს გადაურჩა. გეწაძე კუთხურს აწვდის, საჯარიმოში ქებაძე ბურთს თავით "ცხრიანისკენ" არტყამს და ოვონო ისევ მშვენიერ რეაქციას ავლენს.

80. შოთა კაშია ოდიკაძეს აწვდის ბურთს, აკუასაგა შეცდა და ოდიკაძე სახიფათოდ შეიჭრა საჯარიმოში, გადაცემა გაუკეთა მერებაშვილს, მაგრამ ახალგაზრდა დინამოელმა კარში დროული დარტყმის ნაცვლად, მეტოქეების მოტყუება გადაწყვიტა, ამასობაში მერლანი ფეხებში ჩაუვარდა და მომენტი განმუხტა.

82. კოშკაძის სუსტი დარტყმა ოვონოს პრობლემას ვერ უქმნის.

86. მერებაშვილის შეტევა ოდიკაძემ გააგრძელა, პასი აკირემს, შემდგ ხუციშვილს - დარტყმას მეკარე იგერებს.

88. 0:2 ოდიკაძემ თავისი მაინც გააკეთა. ხუციშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა და ისიც შანსს იყენებს.

90. ხმალაძის გადაცემა, ოდიკაძე ურტყამს რთული მდგომარეობიდან მაგრამ არაზუსტად

90+2 წთ. სპასოევიჩის ძლიერი და სახიფათო დარტყმა მერლანმა კუთხურზე მოიგერია.

ოლიმპის მცველებს დინამოელი აკირემის (მარჯვნივ) შეჩერება ძალიან უჭირდათ — ნიგზარ სუარიძის ფოტო

ოლიმპიური დინამო

დასაწყისიც ასეთი უნდა - ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონის წინააღმდეგ. ვინ ვის - ეს იყო მთავარი ინტრიგა. და არა მართო ამ მატჩის, არამედ მთელი პირველი ტურის. "ოლიმპი" უფრო გაძლიერდა თუ "დინამო"? ვინ უკეთაა სეზონისთვის მომზადებული? და ა.შ.

რუსთაველებს ერთ-ერთი ლიდერი **დავით ჭიჭვეიშვილი** ტრავმის გამო დაეკლდა, ყველა დანარჩენი მოთამაშე მწყობრში იყო და გუნდების რეალურ მდგომარეობაზე წარმოდგენა შეგვექმნა.

ერთი შეხედვით, სეზონის პირველი მატჩიდან ამის თქმა სასაცილოც იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ხომ იცით, კოჭებში ეტყობაო? ასე კოჭებში შეეტყო "დინამოს", რომ მეტნაკლებად დალაგდა.

თუმცა პირველი ტაიმში უფრო აქტიური და აგრესიული "ოლიმპი" იყო, მეტსაც უტევდა და მეტი მომენტიც შექმნა. "დინამო" ცოტა ინდეფერენტულად გამოიყურებოდა.

ვარლამ კილასონიამ შემტევი სათამაშო სქემა აირჩია. თავდასხმა ერთბაშად სამ მოთამაშეს ევალებოდა - **გეწაძეს, ჯიქიასა** და **კახელიშვილს**. ჯიქია ცენტრფორვარდი იყო, დანარჩენი ორი კი ფლანგებსაც ეხმარებოდა.

"ასტანასა" და "დინამოსთან" მატჩის შემდეგ, შეგვიძლია რუსთაველების თვალსაჩინო ნაკლი დავასახელოთ - მათ მომენტების რეალიზაცია უჭირთ. "დინამომ" კი პირიქით, აჩვენა, რომ სწორედ ესაა მისი პლუსი. ფეხბურთი კი მომენტის გამოყენებაა და ეს მაჩვენებელი გუნდებისა და მოთამაშეების რეალურ კლასს ავლენს. მეორე ტაიმში "დინამომ" მასპინძლები დაჩაგრა. საერთოდ, ტემპი არ იყო ისეთი, ამ რანგის გუნდებს რომ შეეფერებოდათ, თუმცა ეს იყო იქმდე, სანამ თბილისელები არ გამოცოცხლდნენ. "დინამო" აგრესიული იყო, შეტევების სწრაფად წამოწყებას და მეტოქის საჯარიმოსთან ბურთის მიტანას ახერხებდა. შესაძლოა, მიზეზი მასპინძელთა გადაღლაც იყო. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე გამოჩნდა.

"დინამო" შარშანდელს არ ჰგავს. ის ჯერ შორსა "ოცნების გუნდისგან", მაგრამ **დუშან უჰრინი** მაჭარს რომ ადუღებს, ცალსახაა. შარშანდელი უსისხლობა წარსულს ჩაბარდა.

ამით აჯობეს კიდეც მასპინძლებს, რომლებიც ბურთს ხშირად აწვალებდნენ და შეტევისთვის ძვირფას დროს კარგავდა. საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ **აკირემი** და მეკარე **ოვონო**. ფორვარდი ლამის ყველა ორთაბრძოლას იგებდა და მასთან შერკინება მცველებს უჭირდათ. მეკარე კი საიმედოა და "დინამო" რამდენჯერმე იხსნა.

"დინამომ" ღირსეულად გაიმარჯვა. გუნდი უფრო დალაგდა, მაგრამ ვნახოთ, მისი რეალური ძალა 16 აგვისტოს, ვენის "რაპიდთან" გამოჩნდება.

პრესკონფერენცია:

დუშან უჰრინი: "დაძაბული შეხვედრა გამოდგა. ვაღიარებ, რომ პირველ ტაიმში ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც ვგეგმავდით. მეორე ნახევარში კი ვითარება შეიცვალა. სათამაშო უპირატესობაც მოვიპოვეთ, ბევრი მომენტიც შევქმენით და ორი ბურთიც გავიტანეთ. ძალიან კარგად გამოიყურებოდა მეკარე. მიხარია, რომ სეზონი ქვეყნის ჩემპიონთან გამარჯვებით დავიწყეთ."

ვარლამ კილასონია: **"მთელი პირველი ტაიმი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა და ასეთ მეტოქესთან ორი ნაღდ მომენტს რომ ვერ გამოიყენებ, დაისჯები. ასეც მოხდა. მეორე ტაიმში ისეთი შეტევა გამოგვეპარა, ძნელი ასახსნელია. რისკი გოლის ფასად დაგვიჯდა."**

რჩეული

აკირემი. გაბონელი თავდამსხმელი ძალიან კარგად გამოიყურებოდა. იგებდა ორთაბრძოლებს, აქტიურობდა, შავ სამუშაოსაც არ ერიდებოდა და საჯარიმოში ბურთის მიღებისას ვითარებას ამწვავებდა. რაც მთავარია, საგოლე შესაძლებლობა გამოიყენა. ამის შემდეგ "ოლიმპი" გატყდა.

მერაბ მამულაშვილი
რუსთავი-თბილისი

დინამომ ლობჟანიძე გაუშვა

თბილისის "დინამოს" 19 წლის ნიჭიერ მცველ **უჩა ლობჟანიძეს** კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ახალი კონტრაქტი კი არ შეუთავაზებია.

ბუნებრივია, დავინტერესდით, რა მოხდა, რატომ უშვებს "დინამო" ერთ-ერთ პერსპექტიულ ფეხბურთელს. როგორც გავარკვიეთ, თბილისის "დინამოს" მოთამაშის დატოვება სურდა, მაგრამ მის პოზიციაზე, მარჯვენა და ცენტრალური მცველის ადგილზე დიდი კონკურენციის გამო, ამჟამად სათამაშო პრაქტიკის იმედს ვერ აძლევდნენ. ეს კი ახალგაზრდული ნაკრების მცველს ჰაერივით სჭირდებოდა.

მოკლედ, მხარეები მისაღებ პირობებზე შეთანხმდნენ: უჩა კონტრაქტს არ გააფორმებს და ახალ გუნდს მოძებნის. ანუ, "დინამომ" მოთამაშის მდგომარეობა და სურვილი გაითვალისწინა და ლობჟანიძესაც სხვაგან ნასვლის უფლება მისცა.

ჩვენი ინფორმაციით, ლობჟანიძით "ზესტაფონი" უკვე დაინტერესდა.

მერაბ მამულაშვილი

რაპიდის მწვრთნელი დინამოს რუსთავში დააკვირდა

16 აგვისტოს თბილისის "დინამო" "ლოკომოტივზე" უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში ვენის "რაპიდს" უმასპინძლებს.

რუსთავის "ოლიმპისა" და თბილისის "დინამოს" შეხვედრას ვენის "რაპიდის" მწვრთნელის ასისტენტი ზორან ბარისიჩი დაესწრო. წიგნაკში ინიშნავდა მეტოქის სქემას, მოთამაშეებს აკვირდებოდა და "დინამოს" შიფრავდა.

ავსტრიული გუნდის სერბ მზვერავს მინი-ინტერვიუ ჩამოვართვით.

- თბილისის "დინამოს" თამაშს პირველად უყურებთ, თუ ვიდეოჩანაწერებიც მოიპოვეთ?

- გვაქვს ჩანაწერები, მაგრამ თქვენების უშუალოდ ნახვა მსურდა.

- დღევანდელ მატჩში თბილისის "დინამომ" როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

- საკმაოდ კარგი, შეთამაშებული გუნდია. ტექნიკურ ფეხბურთს აჩვენებს, ეს მისი ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელია.

- წილისყრის დროს უფრო ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრის შანსი გქონდათ.

- დიახ, მაგრამ "დინამო" ისეთი გუნდი ჩანს, რომელთანაც დიდი სიფრთხილეა საჭირო. როგორც ვამჩნევ, აქაურ სტადიონებზე თამაში ძნელია. მომეწონა ატმოსფერო სტადიონზე .

- აქაურ ფეხბურთზე რას იტყვით? ტემპზე, საერთოდ, დონეზე?

- საკმაოდ ნორმალური თამაში იყო.

- თქვენი აზრით, "დინამოს" მწვრთნელი დღეს რამეს გიმალავდათ?

- არა მგონია. ის ხომ პრინციპულ მეტოქეს ხვდებოდა. თუმცა არც ესაა გამორიცხული.

- ბანალური, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო კითხვა - შანსებს როგორ შეაფასებთ?

- შანსები თანაბარია, 50/50. ჩვენ თავს არ ვიმშვიდებთ. მეტოქის შეუფასებლობა "რაპიდს" არ სჩვევია.

- "დინამოს" მოთამაშეებიდან რომელი გამოარჩიეთ?

- ამაზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

მერაბ მამულაშვილი



ზორან ბარისიჩი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. I ტური

დილა-ბათუმი 1:0

11.08. გორი. თ. ბურჯანაძე
500 მაყურებელი

1:0 ბ. ჩიტაია (27. სამადაშვილის პასით)

დილა: ილურიძე - ბალაშვილი, ლაცაბიძე, მასურაშვილი, დ. ხანიშვილი - სადაღაშვილი, ბალიაშვილი, შატაკიშვილი (77. ტლაშაძე), სულთანიშვილი (82. კურტანიძე) - სამადაშვილი, ბ. ჩიტაია (62. ნოზაძე)

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, თაყაძე, იჩქითი, შერმადინი

ბათუმი: თოთლაძე - კუნჭულია (57. დემურაძე), თედორაძე, გალოგრე, მაკარიანი - ოქრუაშვილი (32. ლ. მახარაძე), კ. მახარაძე, ცანავა, დარჩიძე - ბეჟანიძე, მოდებაძე

სათადარიგოები: მამინაშვილი, ბაჯელიძე, ტულუში, ბაციკაძე

გაფრთხილება: ბალაშვილი (21), კ. მახარაძე (35), ბ. ჩიტაია (58), ბალიაშვილი (65)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი



თამაზ ილურიძე

სტენოგრამა

14 წთ. სულთანიშვილის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულს ბათუმელ მცველთა დაბნეულობა მოჰყვა, დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან სამ გორელ ფეხბურთელს შეეძლო დაერტყა, თუმცა ამის გაკეთება ვერც ერთმა ვერ მოახერხა.

21. შატაკიშვილის ინდივიდუალური რეიდი მცველებმა ნესების დარღვევით შეაჩერეს, გათამაშებული საჯარიმო ბოლოს ისევ შატაკიშვილს მიუვიდა, რომელიც კართან ახლოს, მეტოქესთან ორთაბრძოლისას მინდორზე აღმოჩნდა. გორელები პენალტს ითხოვდნენ...

27. 1:0 სამადაშვილმა მოწინააღმდეგის იერიში დაწყებისთანავე ჩაშალა, მარცხენა ფრთაზე გაჭრილმა მეურვეც ჩამოიცილა და კართან ახლოს ჩიტაიას ჩაუწოდა, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

28. იმავე სამადაშვილმა საბა სულთანიშვილი მოძებნა, ამ უკანასკნელის დარტყმული თოთლაძემ გაჭირვებით მოიგერია.

39. სულთანიშვილმა მახვილი კუთხეში თანაგუნდელისაგან მიღებული ბურთი მინაზე დაუშვებლად, ეფექტურად დაარტყა. თოთლაძემ კუთხურზე მოიგერია. მომენტმა ტრიბუნებს ტაში მოსწყვიტა.

45. სტუმართა სწრაფი კონტრშეტევისას გორელ მცველებს მოდებაძე გაეპარათ, რომელმაც კართან მიახლოებისას ძლიერად დაარტყა და რომ არა ილურიძე, გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

86. ქართლელთა კონტრშეტევას ბალიაშვილის სახიფათო ჩაწოდება მოჰყვა ბათუმელების კარის მისადგომებთან, კარგ პოზიციაში მყოფმა სამადაშვილმა ბოლო მომენტში ვეღარ მიაწვდინა ფეხი ბურთს.

გაუვარდნელის სასტვარტო გასროლა

გორელებს სასიხარულოდ მოფერიანებული "დილა" უმაღლესი ლიგიდან გასასვლელ კარში კვლავაც ვერ გაეტია და ახალი სეზონიდან ისევ საქართველოს უმთავრეს საფეხბურთო ლიგაში ჩაერთო.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში გორის "დილას" ორჯერ უნდა დაეტოვებინა უმაღლესი ლიგა, თუმცა ორჯერვე გადარჩა. ორი წლის წინათ მათ ლიგაში გუნდების რაოდენობის, წლეულს კი საკუთარი ბიუჯეტის ზრდამ და პარალელურად "ტორპედოს" ქისის დაცარიელებამ უშველათ.

სხვათა შორის, გორში გასული სეზონის პირველი ტურის მატჩშიც სწორედ ეს წყვილი დაუპირისპირდა ერთმანეთს. მართალია, ის შეხვედრა 0:0 დასრულდა, მაგრამ მაშინაც და ახლაც მწვრთნელები თავიანთი შეგირდების გარჯით უკმაყოფილონი იყვნენ. მოწინააღმდეგის განლაგებასა და თამაშში სუსტი წერტილების მოძებნა გორელებს უფრო გაუადვილდათ. ისინი თავიდანვე დაეუფლნენ მოედნის ცენტრს, საიდანაც შეტევებს ფლანგებზე გავლითა და მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებებით ასრულებდნენ. მსგავსი სახის გარჯამ თავიდანვე პრობლემები შეუქმნა ბათუმელებს. პირველ 15 წუთში **ბეკა ჩიტაიასა** და **დავით ხანიშვილს** ხელსაყრელი მომენტების უკეთ რეალიზება შეეძლოთ, თუმცა ზღვისპირელთა დაცვის ცენტრში **დავით გალოგრე** და **ბეგლარ თედორაძე** საიმედოდ ირჯებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, თავიანთი გუნდის რიგებში ისინი გამოიყურებოდნენ ყველაზე უკეთ. სწორედ მათი და მეკარე **თოთლაძის** დამსახურებაა, რომ **სულთანიშვილის** სახიფათო ფლანგური ჩაწოდებები და კუთხურები უშედეგოდ დასრულდა.

გოლი და რამდენიმე სახიფათო იერიშიც მასპინძელთა ახალგაზრდა შემტევის, **გურამ სამადაშვილის** დამსახურებაა. მეტოქის კარის აღებისას სწორედ სამადაშვილმა "გაიტყუა" ფლანგზე ორი მცველი და როცა მისკენ მეკარე თოთლაძეც წავიდა, თითქმის დაუცველი კარის წინ მდგარ ჩიტაიას ზუსტად ჩააწოდა და... "თენგიზ ბურჯანაძის" ახლადდამონტაჟებულ ტაბლოზე 1:0 აინთო. აღსანიშნავია ამ ფეხბურთელის ბოლომდე ბრძოლა დაკარგულ ბურთებზე და ბათუმელთა იერიშების დაწყებისთანავე, რითაც რამდენჯერმე ბურთის მოპოვებაც შესძლო და შესაბამისად, თავისი გუნდის მორიგ შეტევებს დაუდო სათავე.

და რას აკეთებდა ამ დროს "ბათუმი"? ღირებულს ვერაფერს. ერთადერთი რაც პირველ ტაიმში ზღვისპირელებმა მოახერხეს, 45-ე წუთზე განხორციელებული სწრაფი კონტრშეტევა იყო, რომლის დროსაც **მოდებაძემ,** მართალია, ყველაფერი კარგად შეასრულა, მაგრამ შარშან ფეხბურთს შეშვებულ და ნლეულს ისევ კარში ჩამდგარ ვეტერან გოლკიპერ **ილურიძეს** ვერც იმ მომენტში და ვერც 68-ე წუთზე ვერ აჯობა.

ილურიძეს საქმე განსაკუთრებით მეორე ტაიმში მოეძალა. შესვენების შემდგომ "დილამ" უპირატესობა ლამის სრულად დაუთმო სტუმრებს. ბათუმელებიც თითქოს უფრო ამოძრავდნენ, მაგრამ მათივე მწვრთნელის მატჩისშემდგომი შეფასებით კი არ ითამაშეს, იწვალეს. მიუხედავად ამისა ვიტყოდით, რომ **გოგიტიძის** შეგირდებმა წვალებაზე მეტიც მოახერხეს, ერთხანს მასპინძელთა ნახევარზეც "დასახლდნენ" და მეორე ტაიმის შუაში ჟინიანადაც უტევდნენ, ამ თვალსაზრისით ბევრს ცდილობდნენ იგივე მოდებაძე და **ბეჟანიძე,** მაგრამ სტუმრებს ჯერ მეტოქის დაცვის ხაზის გადალახვა უჭირდათ და თუ ამას მოახერხებდნენ, ილურიძეს ვეღარ ჯობნიდნენ.

ამასობაში **მამუკა ვარდოსანიძემ** თავისი გუნდის ერთ-ერთი შემტევი ბექა ჩიტაია მოხსნა თამაშიდან, შეხვედრის მიწურულს კი **სულთანიშვილიც** დაასვენა. ამ დროს უკვე აშკარა იყო, რომ გოლის გატანა, რომელიც ერთხანს მაყურებელს მომწიფებულიც ეგონა, სტუმართა შესაძლებლობებს აღემატებოდა.

რჩეული

თამაზ ილურიძე. მართალია მას საქმე ისე ჭარბად არ ჰქონია, როგორც თოთლაძეს და "დილაში" შეიძლებოდა მასსავით სხვა ფეხბურთელის გამორჩევა, მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ თამაშს თავდანებებულმა "ტუზიკამ" როცა გუნდს დასჭირდა ხელთათმანები ისევ მოირგო, შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და კარიც მშრალად შეინახა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

დასაჩუქრებული და უკმაყოფილო ბოლნისელები

სიონი-სპარტაკი 1:1

11.08. ბოლნისი. თ. სტეფანია
300 მაყურებელი

1:0 ქარდავა (40. გაგუას პასით), 1:1 თარხნიშვილი (56)

სიონი: ბობღიაშვილი - თავბერიძე, ოქროპირიძე, სვანიძე, რაქვიაშვილი - სანიკიძე, ბაჯელიძე, ვაშაკიძე (65. ბოიომო), გაგუა (74. ჩასემი) - ქარდავა, ა. ნოზაძე (58. კვიციანი)

სათადარიგოები: იაშვილი, მენთეშაშვილი, რეხვიაშვილი, ქურასბედიანი

სპარტაკი: კოდალაევი - კეტაშვილი, პარამონოვი, ხაჭიპერიძე, მამუკაშვილი - ხიდეშელი, თარხნიშვილი, გოგოხია (46. ჯანელიძე), ძარია (74. ბახტურიძე), ჩირიკაშვილი - გოგოლაძე (46. დარბაიძე)

სათადარიგოები: ქვილითაია, მედოევი, ცქვიტაია, ივანიშვილი

გაფრთხილება: კვიციანი (79), ბოიომო (80), კოდალაევი (80)

არბიტრი: კ. ჭაჭუა

სტენოგრამა

20 წთ. ვაშაკიძის თავური მცირედით სცდება სტუმართა კარს

22. თარხნიშვილი ურტყამს შორიდან, აცილებს.

25. გაგუამ ქარდავა გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ფორვარდმა კარგად ვერ დაარტყა.

29. ისევ გაგუას ჩაწოდება, ამჯერად ნოზაძე ვერ მისწვდა ბურთს.

31. ქარდავა-რაქვიაშვილი-ნოზაძის სამსვლიანი კომბინაცია ნოზაძემ ვერ დააგვირგვინა

40. 1:0 ისევ გაგუას პასი და ამჯერად ქარდავას თავური უნაკლო გამოდგა.

47. სანიკიძის კარგ პასს ნოზაძის უზუსტო დარტყმა მოჰყვება.

56. 1:1 თარხნიშვილმა სოლო რეიდი ულამაზესი და უზუსტესი დარტყმით დაასრულა.

72. სანიკიძის გადაცემა კარიდან 3 მეტრში მდგომმა კვიციანმა ვერ გამოიყენა.

75. ბოიომო სახიფათოდ ურტყამს საჯარიმოს მისადგომიდან.

85. თავბერიძემ ჩაანოდა საჯარიმოში, ქარდავას დარტყმული 3-4 მეტრიდან კოდალაევმა მოიგერია, ჩასემმა დაამატა და ისევ კოდალაევმა იმარჯვა, მესამედ კვიციანის დაარტყული გარედან მოხვდა ბადეს.

ბოლნისის გამგეობამ მაყურებელს პირველ ტურზე საჩუქარი გაუკეთა - თქვენ თამაშზე მოდით და ბილეთის ფულს ჩვენ ავანაზღაურებთო. მოკლედ რომ ვთქვათ, დასწრება უფასო იყო. აქამდე ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ახლა, როცა ბილეთების გაყიდვა სავალდებულო გახდა, გამგეობის გადანყვეტილებასაც ამად დაედო ფასი. მიუხედავად ამისა, სტადიონზე გულშემატკივარი ბევრი არ შეკრებილა, სამწუხაროა, მაგრამ ბოლო დროს არც ესაა გასაკვირი ბოლნისში.

თამაშს წინ ეროვნული ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი უძღოდა, მერე კაპიტნებმა ქვეყნის დროშა აღმართეს და...

ძალიან ბევრი არაზუსტი პასი და დარტყმა და, რაღა თქმა უნდა, გოლი - უმთავრესად ამით გამოირჩა პირველი ტაიმი, რომელშიც უპირატესობას "სიონი" ფლობდა. მასპინძლები ვერც ერთ რგოლში ვერ გამოიყურებოდნენ სათანადოდ - არაერთი შეცდომა დაუშვეს მცველებმაც, ნახევარმცველებმაც და თავდამსხმელებმაც. იყო ეპიზოდები, როცა ბურთი დაცვიდან ნახევარდაცვამდეც ვერ მიდიოდა უზუსტობების გამო. ჩვეულად ვერ ითამაშა **გაგუამაც,** არადა, ფორმაში მყოფ ფეხბურთელს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ამის მიუხედავად, სანამ მოედანზე იყო, ორი-სამი მწვავე მომენტი მაინც შექმნა და საგოლე პასის ავტორადაც მოგვევლინა - ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთი **ქარდავამ** თავით გადაგზავნა კარში. ქარდავა კიდევ არაერთხელ მოხვდა მოვლენების ეპიცენტრში, მაგრამ ხან რამდენჯერმე დაჯარიმდა და რამდენჯერმეც არაზუსტად ითამაშა. განსაკუთრებით სახიფათო მატჩის ბოლოსკენ შექმნილი მომენტი იყო, **თავბერიძის** პასს რომ მოჰყვა. თავბერიძეზე მიდგა სიტყვა და ვერც ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ითამაშა სათანადოდ - წინაც აკეთა არაზუსტი პასები და დაცვაში თამაშისას დროსაც ერთი-ორჯერ შეცდა პოზიციურად. სეზონის დასაწყისია და ჩანს, ჯერ არაა ფორმაში.

მეორე ტაიმის პირველ ნახევარში უკეთ უკვე სტუმრები გამოიყურებოდნენ და სწორედ ამ პერიოდში გავიდა კიდეც საპასუხო გოლი, რომელიც მთლიანად **თარხნიშვილის** დამსახურებაა: მარტომ მოახერხა საჯარიმოში შეღწევა და "ცხრიანში" აუღებელი დაურტყა **ბობღიაშვილს.** ამის მერე უკვე ბოლნისელები გააქტიურდნენ და მატჩის ბოლოს მოედანზე მთლიანად აკონტროლებდნენ ვითარებას. უკეთ ათამაშდა ნახევარდაცვა, შესაბამისად ფორვარდებთან უფრო ხშირად მიდიოდა ბურთი. განსაკუთრებით კი მას შემდეგ გამოცოცხლდა თამაში, რაც მოედანზე კამერუნელი ლეგიონერები შევიდნენ. **ბოიომომ** დაცვის თამაში უფრო დამაჯერებელი გახადა და **ჩასემმაც** შეუქმნა არაერთი პრობლემა მცველებს. სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა ეპიზოდი, რომელსაც მასპინძელთა უკმაყოფილება მოჰყვა - კამერუნელმა ორჯერ მოიგო ბრძოლა ბურთისთვის, რომელიც საბოლოოდ **კვიციანს** მიუგორდა. მან კი სცადა დარტყმა, მაგრამ უმეტესობის აზრით, სტუმრების დახმარებით, უმცირესობის აზრით, კი საკუთარი ინიციატივით, საჯარიმოში წაიქცა. პრინციპში ისეთი პოზიცია ჰქონდა, წაქცევა წესით არ უნდა მოსდომებოდა, თუმცა ვინ იცის... ასეა თუ ისე, მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. არ დანიშნა კიდევ ერთ ეპიზოდში, როცა სტუმარმა მცველმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა - განზრახ არ ყოფილა და ამიტომ გამოიწვია როგორც მაყურებლების, ისე კლუბის ხელმძღვანელთა გულისწყრომა. ერთ-ერთ ეპიზოდში დაინდო ბოიომოც, მამუკაშვილზე გაშლილი ფეხებით რომ წავიდა - მხოლოდ ყვითელი აკმარა. ამ ეპიზოდმა მცირე წაკინკლავებაც გამოიწვია, საქმეში მეკარეებიც კი ჩაერთვნენ, რაც კოდალაევს "ყვითლად" დაუჯდა.

პრესკონფერენცია

კოზა ჟორჟიკაშვილი: **დაძაბული და რთული თამაში იყო. მეტოქემ თითქმის ყველაფერში გვაჯობა და ეს არც იყო გასაკვირი. ჩვენ არ გვქონია ნორმალურად მომზადების საშუალება, გუნდი შეუთამაშებელია. დღეს გაგვიმართლა.**

ნოდარ აკობია: **დიახ, მეტოქეს გაუმართლა, ჩვენ კი - არა. ჩემი აზრი მაქვს მსაჯობაზეც, დარწმუნებული ვარ კვიციანზე წესების დარღვევა იყო და მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა.**

რჩეული

თორნიკე თარხნიშვილი ასეთ მატჩში ცოტა არ იყოს და ძნელია ვინმეს გამორჩევა, მაგრამ მაინც ვამჯობინეთ ასეთად თარხნიშვილი დაგვესახელებინა - გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა და "სპარტაკს" ქულა მოაპოვებინა, სტუმართაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

პაატა თოთაძე
ბოლნისი-თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. I ტური

ბორჯომი-მერანი 1:0

11.08. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
500 მაყურებელი

1:0 ჯიქია (73. ლონღლაძის პასით)

ბორჯომი: შეყრილაძე - მემარნიშვილი, ჭელიძე, მერებაშვილი, აკობია - გრიგალაშვილი, ქარქუზაშვილი (46. კ. ხანიშვილი), ბაბუნაშვილი (60. ჯიქია), ნერგაძე, ლონღაძე - ყველაშვილი (89. თედიაშვილი).

სათადარიგოები: ასაბაშვილი, გოგიჩაიშვილი, ლომიძე, დევიძე.

მერანი: სეფიაშვილი - ლოლაძე, კობიაშვილი, ლომაშვილი (74. გიგაური), სარალიძე - კილასონია (71. ბესარაშვილი), ავალიანი (71. კობერიძე), ტყეშელაშვილი, ბ. ნოზაძე - ნიქარიშვილი, ქორიძე.

სათადარიგოები: თევდორაძე, ავალიანი, გოჩაშვილი, მგალობლიშვილი.

გაფრთხილებები: ლოლაძე (29), ქარქუზაშვილი (40), ტყეშელაშვილი (44), ლომაშვილი (58), მერებაშვილი (74), მემარნიშვილი (74), ქორიძე (74)

არბიტრი: დ. ხარატონაშვილი

სტენოგრამა

4 წთ. ქორიძე მარჯვნიდან შედის და ურტყამს, შეყრილაძე იგერიებს.

6. ფლანგიდან ჩაწოდებულზე ნიქარიშვილი თავით ურტყამს. ბურთს ისევ მეკარე ეუფლება.

28. მერებაშვილი პოზიციურად შეცდა, რის გამოც მეკარესთან პირისპირ გავიდა ნიქარიშვილი, მაგრამ შეყრილაძემ იხსნა გუნდი აშკარა გოლისაგან.

36. ბაბუნაშვილმა 27-28 მეტრიდან ბრწყინვალედ, პირდაპირ ცხრიანში დაურტყა სეფიაშვილს, რომელმაც აკრობატულ ნახტომში კუთხურზე მოიგერია ბურთი.

42. ქორიძე საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან დანიშნულ ჯარიმას ძლიერად ურტყამს, ბურთს მეკარე იგერიებს.

54. ნოზაძე ფლანგზე გადის და მეკარის საჯარიმოს კუთხესთან ზუსტ პასს უკეთებს ქორიძეს, რომლის თავური ცოტათი სცდება მიზანს.

56. ნიქარიშვილს ძლიერად დარტყმული ოდნავ სცდება სამიზნეს.

57. ქორიძის ფლანგური ჩამოწოდებულს შეყრილაძე იგერიებს, კარის წინ ხელსაყრელ პოზიციაში მდგომ ნიქარიშვილს კი ვეღარ გააქვს.

67. ჯიქია გრძელი პასით გაიყვანეს პირისპირ მეკარესთან. წინგამოსულ მეკარეს ბურთი კი გადაუგდო, მაგრამ ვერ გაიტანა.

73. 1:0 ფლანგიდან შესულმა ლონღლაძემ საჯარიმოში კარგად მოძებნა ჯიქია, რომელმაც მცველი ჩამოიცილა და მარჯვენა მაღალ კუთხეში გაუტანა სეფიაშვილს.

88. გრიგალაშვილმა საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან დანიშნული ჯარიმა ბრწყინვალედ შეასრულა - ბურთი ხარიხამ უკუაგდო.

მძიმე ბრძოლით მოპოვებული გამარჯვება

მიუხედავად დამსვენებელთა სიმრავლისა, საკურორტო ქალაქში გახსნის მატჩზე არცთუ ბევრი მაყურებელი მოვიდა.

თამაზ კოსტავას ახლადშექმნილმა გუნდმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა და პირველ ტაიმში კიდეც აჯობა მასპინძელს. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ **პეტარ სეგრტის** ჩამოსვლით შეგულიანებული მასპინძელთა ნახევარდაცვის შუაგული **ნერგაძე-ბაბუნაშვილი-გრიგალაშვილი** (განსაკუთრებით ეს უკანასკნელი) მართალია აქტიურობდა, მაგრამ სტუმართა დაცვა მედგრად იდგა. მერანელი ნახევარმცველები კი გამოცდილი **ბექა ნოზაძის** მეთაურობით მწვავედ იჩხვლიტებოდნენ და თავდასხმელებს რამდენიმე კარგი მომენტი შეექმნეს. ტაიმის შუაწელში, პირისპირ გასულ **ნიქარიშვილს** გატანაც მართებდა, მაგრამ მასპინძელმა მეკარემ იხსნა თავისიანები. მასპინძელთა ყველაზე სახიფათო მომენტი შესვენებამდე მხოლოდ ბაბუნაშვილის შორეული გასროლა გამოდგა, თუმცა **სეფიაშვილმა** ბურთი ცხრიანიდან ჩამოიღო და კუთხურზე გადააგდო.

მეორე ტაიმიც, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ისევ სტუმართა აქტიურობით დაიწყო. ათწუთიან მონაკვეთში ჯერ **გიორგი ქორიძეს** შეეძლო გატანა, შემდეგ კი ნიქარიშვილს მიეცა ორჯერ შანსი, მაგრამ კარის დალაშქვრა ვერ მოახერხეს. ამის შემდეგ "ბორჯომი" ნახევარდაცვის კარგი თამაშით გააქტიურდა და რამდენიმე შეტევაც მოაწყო. 73-ე წუთზე საჯარიმოში **ჯიქიამ** მეურვე ჩამოიცილა და ზედა კუთხეში გაიტანა. სტუმრებს ამ დროს ცენტრალური მცველი ჰყავდათ დამტვრეული და მასპინძლებთან შეხლა-შემოხლაც მოუვიდათ, ბურთი რატომ არ გადაადგეთო. თუმცა დავა-კამათისა და ქორიძის გაფრთხილების გარდა სახეიროს ვერაფერს გამორჩნენ. ბოლო წუთებმა ორმხრივ იერიშებში ჩაიარა, თუმცა გასატანი ისევ მასპინძლებს ჰქონდათ. მატჩის საუკეთესო მოთამაშე გრიგალაშვილმა კარგად დაარტყა ჯარიმა, მაგრამ იმ დღეს მას გატანა არ ეწერა და ბურთი ხარიხას მოხვდა. თამაშის შემდეგ ჩემ გვერდითი მჯდომ **პეტარ სეგრტს** გავხედე, რომელიც აშკარად კმაყოფილი იყო მისი შეგირდის თამაშით.

ვფიქრობთ, კოსტავას შეგირდებიკიდევ უფრო მოუმატებენ, მასპინძლებს კი ეს ნამდვილად ხელეწიფებათ და მართებთ, რადგან მშვენიერი შემადგენლობა ჰყავთ.

რჩეული

შოთა გრიგალაშვილი. ამ შეხვედრაში იგი გუნდის სული და გული იყო. თავდადებით იბრძოდა როგორც წინ, ასევე დაცვაშიც. კარგად ანაწილებდა ბურთებს და უძღვებოდა თავისიანების შეტევებს. ასევე სახიფათოდ ასრულებდა სტანდარტულ სიტუაციებს.

პრესკონფერენცია

თამაზ კოსტავა: "მინდა მივულოცო ჩემს მეგობარს და მის გუნდს გამარჯვება. ოღონდ იმ მომენტში, როცა გოლი გავიდა და ჩვენი მცველი იყო დაშავებული, მასპინძლებს ბურთი ნამდვილად უნდა გადაეგდოთ და გაჩერებულიყვნენ. ეს არ იყო ფეირპლეის პრინციპით მოქმედება და უკმაყოფილო ვარ. ჩემების თამაშს რაც შეეხება, მათ არა უშავდათ".

ვლადიმერ ხაჩიძე: "ერთი კვირის გუნდია, ბიჭებს და მათ პოტენციალს კარგად არც ვიცნობ. ამიტომ გაგვიჭირდა. თამაშის დროს სამჯერ შევცვალე ტაქტიკა, რომ სწორი მიმართულება მიმეცა გუნდისათვის. თანდათან, იმედია, უფრო მოვუმატებთ".

მერაბ გრძელიძე
ბორჯომიდან

მომავალი ტური

17 აგვისტო. პარასკევი	
მგლები-მერანი	
სპორტაკი-ბორჯომი	
18 აგვისტო. შაბათი	
მესხეთი-ზესტაფონი	
გათუმი-ოლიმპი	
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი	
19 აგვისტო. კვირა	
დინამო-სიონი	
ამერი-დილა	

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

ბობოლებს ორიც უნდა მივუმატოთ

2007-08 წლების ბუნდესლიგაში პირველი გოლი ლევან კობიაშვილმა გაიტანა - მის დარტყმულს რიკოშეტი მოჰყვა და ბურთი "შტუტგარტის" კარში შევარდა. მოკლედ, კობიაშვილმა ბუნდესლიგა კარგად დაიწყო და "შალკემაც" დადებით შედეგს მიაღწია - სტუმრად ჩემპიონ "შტუტგარტთან" ქულა აიღო.

ლევანს გუშინ შევეხმიანეთ დიუსელდორფში და მეტწილად "შტუტგარტთან" მატჩზე ვესაუბრეთ.

- პირველი თამაშის კვალობაზე ნორმალურად ვითამაშეთ. სეზონი ესეს არის დაიწყო და ჯერ თვითონაც არ იცი, რა კონდიციაში ხარ და მთლიანად გუნდის მზადყოფნა როგორია. ჩვენ ჩემპიონს ვეთამაშეთ და ფრით კმაყოფილები ვართ. როცა ანგარიში 0:1 იყო, უპირატესობის გაზრდის რამდენიმე კარგი შანსი გვქონდა და მეორე გოლი მაშინ რომ გაგვეტანა, გამარჯვების ჩინებული შანსი გვექნებოდა.

- ორივე გოლი მეორე ტაიმში გაუშვით, როცა "შტუტგარტმა" ათწუთიანი მონაკვეთი ძალიან ძლიერად ითამაშა - რა დაემართა "შალკეს" ამ ათ წუთში?

- "შტუტგარტი" ნინა სეზონში ჩემპიონი გახდა და ფეხბურთელთა ბირთვი შეინარჩუნა - არმინ ფეეს ახლაც კარგი გუნდი ჰყავს და ასეთ მეტოქესთან თამაში იოლი არ არის. იმ ათწუთიან მონაკვეთში "შტუტგარტმა" მართლაც ძლიერად შემოგვიტია, თუმც გოლები ჩვენივე უხეშ შეცდომებს მოჰყვა - პირველი გოლისას მცველები შეცდნენ, მერე კი მეკარემ ისეთი პენალტი აიკიდა...

- 70-ე წუთზე შეგცვალეს - როგორ ფიქრობ, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება "შალკეს" მწვრთნელმა მირკო სლომკამ?

- ეს ალბათ ტაქტიკური ცვლილება იყო. პირველი ტაიმის შემდეგ სლომკამ მესუთ იოზილი შეცვალა და ათი ნომრის პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელის გარეშე დავრჩით, 4-3-3 სქემაზე გადავწყვეთ, მაგრამ როცა ორი გოლი გავუშვით, სლომკამ შემტევის გამოყვანა გადაწყვიტა - ჩემ მაგივრად ივან რაკიტიჩი შეიყვანა.

- მისი გამთანაბრებელი გოლი ეფექტური გამოდგა და საერთოდაც, რაკიტიჩს ძალიან დიდი რეკლამა ჰქონდა, საამსეზონოდ შვეიცარიიდან თქვენთან რომ გადმოვიდა...

- მან მართლაც კარგი გოლი გაიტანა. "შალკეში" რომ გადმოყავდათ, მასზე ამბობდნენ, ლინკოლნი უნდა შეცვალოსო. რაკიტიჩს ახლავე არ შეუძლია ლინკოლნის დონეზე თამაში, ის ჯერ 19 წლისაა და გამოცდილება სჭირდება.

- პირველი ტურის შემდეგ რა შთაბეჭდილება დაგრჩა, ვინ იქნება ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი?

- ორი აზრი არ არსებობს - მთავარი ფავორიტი მიუნხენის "ბაიერნია". ჩემპიონობისვის იბრძოლებენ "შალკე", "შტუტგარტი" და "ვერდერიც". ამ ოთხეულს მე კიდევ ორ გუნდს დავამატებდი, "ჰამბურგსა" და "დორტმუნდს".

დავით თავართქილაძე

CDN ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲘᲤᲩᲘᲚᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ᲒᲘᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲣᲠ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲞᲐᲙᲔᲢᲡ:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 155 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ᲥᲡᲔᲚᲘ ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუქვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲔ, ᲬᲐᲛᲝᲓᲘ!
ᲝᲤ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ 14
ᲢᲔᲚ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

არველაძე ვალენსიაში დაბრუნდა

34 წლის **შოთა არველაძე** საამსეზონოდ ჰოლანდიური "ალკმაარიდან" ესპანეთში, ვალენსიას "ლევანტეში" კი გადავიდა, მაგრამ ახალ გუნდში თამაშს ოქტომბრიდან თუ დაიწყებს - მარჯვენა მუხლი ისე გაუმიზეზდა, ამსტერდამში ჩავიდა და ოპერაცია გაიკეთა.

შოთას სარეაბილიტაციო პერიოდი გაურთულდა - ნოპერაციები მუხლი ისევ გაუსივდა. მას მუხლიდან სითხე ამოუღეს და სახსრის ინექციებით უმკურნალეს. ყავარჯნებზე შემდგარი არველაძე ახლა უკვე ესპანეთშია და დღეიდან ვალენსიის ერთ-ერთ კლინიკაში შეუდგება სარეაბილიტაციო ციკლს.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ჩამქრალი ვულკანის გაღვიძება

კოზი გოლით იწყებს, ბუნდესლიგა კოზის გოლით

დავით სირაძე

ნამდვილი ლეგიონი ახლა გვეწყება, სეზონი გერმანიაში და ინგლისში დაიწყო. გერმანიაში კარგად დავიწყეთ - ბუნდესლიგის პირველი გოლი ქართველი ლევან კობიაშვილის ანგარიშზეა. ჯერ მხოლოდ სამი წუთით დაუბრუნდა ბუნდესლიგას ალექსანდრე იაშვილი. გერმანიაში დებიუტი ჰქონდა "დინამოს" ყოფილ მცველ ილია კანდელაკს.

უკრაინაში გაიღვიძა "ჩამქრალმა ვულკანმა" სახელად გიორგი დემეტრაძემ, მან ოთარ მარცვალაძის "ზაკარპატიეს" ორი გაუტანა, ხოლო მისმა თანაგუნდელებმა კიდევ ხუთი მიამატეს.

გაიხსნა პრემიერლიგის ახალი სეზონი, ზურაბ ხიზანიშვილის "ბლექბერნმა" სტუმრად 2:1 იმარჯვა "მიდლსბროზე". ქართველი მცველი მატჩის განაცხადში არ ყოფილა. მას ამ სეზონში სავარაუდოდ გაუჭირდება ძირითადში დამკვიდრება. დაცვის ცენტრში ოიერმა და სამბამ ითამაშეს.

ლომეგმა რიხით დაიწყეს

2007/08 წლების ბუნდესლიგა ქართულად გაიხსნა - მატჩის 25-ე წუთზე "შალკეს" ფეხბურთელმა **იოზილმა ლევან კობიაშვილს** გადაანოდა, ქართველმა ლეგიონერმაც 20 მეტრიდან დაარტყა "შტუტგარტის" კარში, ბურთი **ჰიბერტს** მოხვდა და კარში შევიდა. ასე გავიდა სეზონის პირველი გოლი. ლევანი სასტარტოში იყო, ნახევარდაცვაში. ის 70-ე წუთზე **ივან რაკიტიჩით** შეცვალეს, სწორედ რაკიტიჩის გოლის წყალობით "შალკე" წაგებას გადაურჩა - 2:2. კობიაშვილის გარჯა "შპორტალმა" სამიანით შეაფასა, უკეთესი შეფასება მატჩში მხოლოდ რაკიტიჩს (2,5) ჰქონდა.

გუშინ ალექსანდრე იაშვილი ბუნდესლიგას ორწლიანი განმორების შემდეგ ახალი კლუბის მაისურით დაუბრუნდა, "კარლსრუეზე" სტუმრად 2:0 დაამარცხა "ნიურნბერგი" (დუბლი უნგრელმა **ჰაინალმა** შეასრულა). ქართველს თამაში ბოლო სამ წუთს მოუწია. იაშვილმა მატჩის გმირი 87-ე წუთზე შეცვალა და ბუნებრივია, მოედანზე დასამახსოვრებელის გაკეთება ვერ მოასწრო.

მეორე ბუნდესლიგაში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის დებიუტი შედგა, ოდესის "ჩერნომორეცის" ყოფილმა მცველმა **ილია კანდელაკმა** "კარლ ცაისის" მაისურა მოირგო. ქართული ტრიოს გუნდი "აახენს" ეწვია და ნაგებას გადაურჩა - 2:2. **გიორგი ონიანი** სათადარიგო იყო, **გიორგი სეთურიძეს** კი ტრავმა აქვს. "შპორტალმა" ქართველი დებიუტანტი 3,5 ქულით შეაფასა.

"ფრაიბურგი" სტუმრად 1:2 დამარცხდა "ოსნაბრუკთან", კლუბში შემორჩენილ ერთადერთ ქართველს, **ოთარ ხიზანიშვილს** არ უთამაშია. გუშინ ჩემპიონატი რიხით დაიწყო **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენმა", ბავარიელებმა სტუმრად "აუგსბურგს" 6:2 მოუგეს. მათემ შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო. **დავით სირაძის** "პადერბორნი" კი შინ 0:2 დამარცხდა "ოფენბახთან". სირაძე 77-ე წუთზე **ლიობემ** შეცვალა. "შპორტალმა" სირაძის და ღვინიანიძის თამაში სამიანით შეაფასა.

სანდროს გოლი არ ჩანს

ავსტრიულ ბუნდესლიგაში მეორე გამარჯვება იზეიმა "შტურმმა" - შინ "ალტახი" დაამარცხა, 3:1. ეს კლუბი კვლავ დაუმარცხებელია და 10 ქულით ლიგაში მეოთხე ადგილზეა. **გიორგი შაშიაშვილმა** ტრადიციულად შეუცვლელად ითამაშა. ამჯერად მას დაცვის მარცხენა ფლანგი ჩააბარეს.

სანდრო იაშვილის "თუნმა" მორიგ ტურში შინ 2:5 წააგო "არაუსთან". სამწუხაროდ, ვერც თავად სანდრო თამაშობს კარგად, ქართველი ფორვარდი 56-ე წუთზე შევიდა **ლუკაშ დოშეკის** ნაცვლად. "თუნი" ბოლოსწინა ადგილზეა 4 ქულით.

მუჯირმა მწვრთნელი დაკარგა

მეოცე ტურის მატჩმა მოსკოვის "სპარტაკთან" (0:2) "კრილია სოვეტოვის" მთავარი მწვრთნელის **სერგეი ობორინის** პოსტი შეინირა. შეხვედრაში ქართველ ლეგიონერს, რომელმაც ამას წინათ თავისი ინიციატივით თქვა უარი კაპიტნის სამკლაურზე, არ უთამაშია. **ლევან გვაზავას** "ლუჩი" რუსეთის საპირისპირო მხარეს, სანკტ-პეტერბურგს სტუმრობდა - 1:3. გვაზავა მე-80 წუთზე შეცვალეს.

ამავე ტურში ქართველთა დაპირისპირების მომსწრენი გავხდით, **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივმა" 3:1 მოუგო **ალექსანდრე ამისულაშვილის** "სპარტაკს". ორივე ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. ერთ-ერთ ეპიზოდში ამისულაშვილმა ტრავმა მიიღო, თუმცა თამაშის ჩამთავრება შეძლო. მალხაზმაც დაცვის ცენტრში ითამაშა.

გუშინ ყაზანში "რუბინი" 0:1 დამარცხდა "სატურნთან". მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში კი იყო **ლაშა სალუქვაძე**, მაგრამ ის შესვენებაზე შეცვალეს. **ნუკრი რევიშვილი** და **გოგიტა გოგუა** ("სატურნი") ჯერ არ გამოჯანმრთელებულან.

გიგიაძემ ხელი იტკინა

კიევში **ოთარ მარცვალაძის** "ზაკარპატიეს" ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს, რაშიც ლომის წილი ეკისრა **დემეტრაძეს** მიუძღვის - "არსენალმა" 7:0 გაანადგურა "ზაკარპატიე", გიორგიმ კი დუბლი შეასრულა. მან ჯერ 29-ე წუთზე გაიტანა, შემდეგ კი 39-ეზე. განადგურების მიუხედავად ოთარ მარცვალაძე გუნდში საუკეთესო იყო, თუმცა მას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

ტრავმირებული **ჯაბა კანკავას** გარეშე მოუგო "დნეპრმა" **ვასილ გიგიაძის** "ნეფტანიკს" - 2:0. "დნეპრი" ერთპიროვნული ლიდერია. ქართველმა ფორვარდმა ვერაფერი გაახერხა და 57-ე წუთზე შეცვალეს. მან ხელი იტკინა, რამდენად სერიოზულად, რენტგენი აჩვენებს. **ოლეგ პროტასოვმა** კი განაცხადა, რომ ჯაბა კანკავა ფეხბურთს ათ დღეში დაუბრუნდება.

ოდესაში ქართველთა დაპირისპირება არ შედგა, "ჩერნომორეცის" რიგებში **კახა მჟავანაძეს** არ უთამაშია, "ზარიის" რიგებში კი **ლადო ბურდული** 57-ე წუთზე შეცვალეს. მჟავანაძემ ამ გუნდების დუბლების მატჩში (2:0) ითამაშა სრულად, სტუმართა რიგებში კი - **გიორგი ციმაკურიძემ**. ზაპოროჟიეში "მეტალურგი" ჩემპიონთან 0:1 დამარცხდა. **ირაკლი მოდებაძეს** არ უთამაშია, **დავით კვირკველია** 59-ე წუთზე შეცვალეს. პირველად ვიხილეთ "კარპატის" მაისურით საქართველოს ნაკრების გოლკიპერი **გიორგი ლომაია**, თუმცა ჯერ მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლადო ბურდული

ფეხბურთელი	მატჩი	ანგ.	შენიშვნა	სეზ. სტატ.
ინგლისი				
პრემიერლიგა, I ტური				
ზურაბ ხიზანიშვილი	მიდლსბრო-ბლექბერნი	1:2	არ უთამაშია	0 თ, 0 გ.
გერმანია				
გუნდესლიგა, I ტური				
ლევან კობიაშვილი	შტუტგარტი-შალკე	2:2	70 წთ. (შეცვალეს), 1 გოლი	1 თ, 1 გ.
ალექს. იაშვილი	კარლსრუე	0:2	3 წუთი (შეცვლაზე)	1 თ, 0 გ.
II გუნდესლიგა, I ტური				
მათე ღვინიანიძე	აუგსბურგი-მიუნხენი	2:6	90 წუთი, გააფრთხილეს	1 თ, 0 გ.
ოთარ ხიზანიშვილი	ოსნაბრუკი-ფრაიბურგი	2:1	არ უთამაშია	0 თ, 0 გ.
დავით სირაძე	პადერბორნი-ოფენბახი	0:2	77 წთ. (შეცვალეს)	1 თ, 0 გ.
ილია კანდელაკი	აახენი-კარლ ცაისი	2:2	90 წუთი	1 თ, 0 გ.
გიორგი ონიანი	კარლ ცაისი	2:2	არ უთამაშია, სათადარიგო	0 თ, 0 გ.
გიორგი სეთურიძე	კარლ ცაისი	22	არ უთამაშია, ტრავმა	0 თ, 0 გ.
რეგიონალიგა, III ტური				
მიხეილ სავჯაია	კარლსრუე II-როიტლინ.	0:0	არ უთამაშია	1 თ, 0 გ.
რუსეთი				
პრემიერლიგა, XX ტური				
გოგიტა გოგუა	რუბინი-სატურნი	0:1	არ უთამაშია, ტრავმა	10 თ, 0 გ.
ნუკრი რევიშვილი	რუბინი-სატურნი	0:1	არ უთამაშია, ტრავმა	2 თ, -2 გ.
ლაშა სალუქვაძე	რუბინი-სატურნი	0:1	45 წთ. (შეცვალეს)	6 თ, 0 გ.
დავით მუჯირი	ძრ. სოვეტოვი-სპარტაკი	0:2	არ უთამაშია	17 თ, 4 გ.
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი-სპარტაკი ნ.	3:1	90 წუთი	7 თ, 0 გ.
ალ. ამისულაშვილი	ლოკომოტივი-სპარტაკი ნ.	3:1	90 წუთი	18 თ, 2 გ.
ლევან გვაზავა	ზენიტი-ლუჩი	3:1	80 წთ. (შეცვალეს)	16 თ, 0 გ.
უკრაინა				
ვიმა ლიგა, IV ტური				
დავით კვირკველია	მეტალურგი ზ.-დინამო	0:1	59 წთ (შეცვალეს)	5 თ, 0 გ.
ირაკლი მოდებაძე	მეტალურგი ზ.-დინამო	0:1	არ უთამაშია, დუბლები	0 თ, 0 გ.
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი-ტავრია	3:0	არ უთამაშია, სათადარიგო	1 თ, 0 გ.
ვასილ გიგიაძე	დნიპრო-ნეფტიანიკი	2:0	57 წთ (შეცვალეს)	5 თ, 0 გ.
ლადო ბურდული	ჩერნომორეცი-ზარია	1:0	57 წთ. (შეცვალეს)	5 თ, 0 გ.
გიორგი ციმაკურიძე	ჩერნომორეცი-ზარია	1:0	არ უთამაშია, დუბლები	0 თ, 0 გ.
გიორგი დემეტრაძე	არსენალი-ზაკარპატიე	7:0	65 წთ. (შეცვალეს), 2 გოლი	5 თ, 2 გ.
ოთარ მარცვალაძე	არსენალი-ზაკარპატიე	7:0	90 წუთი	3 თ, 0 გ.
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი-ზარია	1:0	არ უთამაშია, დუბლები	0 თ, 0 გ.
ჯაბა კანკავა	დნიპრო-ნეფტიანიკი	2:0	არ უთამაშია, ტრავმა	4 თ, 0 გ.
გიორგი ლომაია	კარპატი-მეტალურგი დ.	0:0	არ უთამაშია, სათადარიგო	0 თ, 0 გ.
ავსტრია				
ბუნდესლიგა, VI ტური				
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი-ალტახი	3:1	90 წუთი	6 თ, 0 გ.
დანია				
სუპერლიგა, V ტური				
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი-ბრონდბიუ	-	დღეს	3 თ, 0 გ.
შვეიცარია				
სუპერლიგა, V ტური				
სანდრო იაშვილი	თუნი-არაუ	2:5	34 წთ. (შეცვლაზე)	4 თ, 0 გ.

ამერზე აზერბაიჯანთან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 19-წლამდელთა სპარინგპარტნიორი მოიძია. 15 და 17 აგვისტოს **ჰაინცტოპმიოლერის** გუნდი აზერბაიჯანელებს ამხანაგურად გაეჯიბრება. უკვე გადაწყვეტილია, რომ პირველი მატჩი გლდანში, "ამერის" სტადიონზე ჩატარდება, მეორე შეხვედრის გამართვის ადგილი კი უახლოეს დღეებში დადგინდება. 15 აგვისტოს თამაში საღამოს ექვსის ნახევარზე დაიწყება.

ლადო ახალაია ჩერნომორეცში ისინჯება

25 წლის ქართველი "ჩერნომორეცის" სამწვრთნელო შტაბისთვის ცდილობს თავის მოწოწებას. ოდესური კლუბის მთავარი მწვრთნელი **ვიტალი შევჩენკო ლადო ახალაიაზე** კარგი აზრისაა და იმედია, ეს უკანასკნელი "ჩერნომორეცში" დამკვიდრებას შეძლებს.

მიზეზთა გამო, ახალაიას საკმაო დრო გაუცდა. მისი ბოლო კლუბი მოლდოვური "დაჩია" იყო, მანამდე კი შვეიცარიულ "ციურიხში" ჩაატარა რამდენიმე მატჩი.

დავით იმედაშვილი პრაქტიკას ელის

უკვე გაცნობეთ, რომ **დავით იმედაშვილი** კარიერას ლატვიურ "ვენტსპილსში" გააგრძელებს. ქართველი მცველი ამ ამბავს სიხარულით შეხვდა, იმედაშვილი იმედოვნებს, რომ ამიერიდან მაინც ექნება სრულყოფილი სათამაშო პრაქტიკა.

"ზამთარში, თურქულ შეკრებაზე, "ვენტსპილსში" სინჯებს გავდიოდი და მობარული ვარ, საბოლოოდ ამ გუნდში რომ აღმოვჩნდი. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მომბეზრდა, ძალიან მინდა "ვენტსპილსს" სარგებლობა მოვუტანო. დარწმუნებული ვარ, უახლოეს პერიოდში ოპტიმალურ ფორმაში შევალ", - განაცხადა იმედაშვილმა უკრაინულ პრესასთან საუბარში.

გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური

გემრიელი დასაწყისი

ტონისა და კლოზეს პირველი გალაკონცერტი...

ბაიერნი-ჰანზა. ლუკა ტონიმ ორესტესს ბურთი არ დაანება

ბუნდესლიგა იმდენად გემრიელად დაიწყო, რომ ამაზე უკეთეს სტარტს ვერავინ ინატრებდა. ალბათ მიხვდით, პირველ რიგში, პარასკევის შესანიშნავ მატჩს ვგულისხმობთ, რომელშიც ჩემპიონმა „შტუტგარტმა“ და ვიცე-ჩემპიონმა „შალკემ“ გრანდიოზული ფეხბურთი აჩვენეს, დაუნდობელი ბრძოლა გამართეს და რაც მთავარია, სეზონი 4 გოლით (2:2) გახსნეს. და რაც ჩვენთვის ყველაზე სასიხარულოა, ახალი სეზონის პირველი გოლი **ლევან კობიაშვილმა** გაიტანა და ამით მთელი საფეხბურთო გერმანიის ყურადღების ცენტრში მოხვდა. საწყისი 60 წუთის განმავლობაში „შალკე“ უპირატესობას ფლობდა და ამ ხსნის განმავლობაში კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ გელზენკირხენელები ქართველი ნახევარმცველის გოლით მოიგებდნენ, მაგრამ 63-ე წუთიდან გოლების ნვიმა წამოვიდა: ჯერ იყო და **სამი ხედირამ** ეფექტური გოლით წონასწორობა აღადგინა, მერე, ზუსტად 4 წუთში **პაველ პარდომ** პენალტი გაიტანა (**ნოიერმა მარიკა** წააქცია) და შვაბები წინ გაიყვანა, მაგრამ „ხუმარებმა“ მაინც გაათანაბრეს: კობის ნაცვლად მოედანზე შესულმა **ივან რაკიტიჩმა** „შტუტგარტის“ კაპიტანი **ფერნანდო მეირა** აცეკვა და **რაფაელ შეფერს** ულამაზესი გოლი გაუტანა. ნამატჩევს **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, ყველაზე მეტად რაკიტიჩმა მომხიბლო. ასეცაა – ამ უკანასკნელის ის ერთი ცრუმოძრაობა და დარტყმა ბევრ რამედ ღირდა. „შტუტგარტი“ კომპლიმენტის ღირსია, რადგან **გომესის, ბაშთურქისა** და **დელპიერის** გარეშე დარჩენილმა შვაბებმა თამაში შემოატრიალეს. და კომპლიმენტის ღირსია „შალკეც“, რომელმაც ჩემპიონს ქულა წაართვა. ხუმარები ახლა მეორე ტურისთვის ილესავენ კბილებს: კობიაშვილის გუნდის მომდევნო მეტოქე ხომ დორტმუნდის „ბორუსიაა“ - მოსისხლე მტერი, რომელმაც S04 გასული სეზონის ბოლოსწინა ტურში გაამწარა და ლიდერობა დააკარგვინა.

სუპერბაიერნის პირველმა მატჩმა მოლოდინი გაამართლა – როსტოკის „ჰანზა“ მიუნხენიდან კუდამოძუებული რომ გაბრუნდებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, საკითხავი მხოლოდ ის გახლდათ, რა ანგარიშით მოუგებდნენ ბავარიელები ბუნდესლიგაში აღზევებულ მეკლენბურგელებს. 3:0 – ეს ის ანგარიშია, რომელსაც ალბათ „ბაიერნის“ ქომაგებიც საკმარისად მიიჩნევენ და რომელიც არც „ჰანზას“ ფანებს დასწყვეტდა გულს, რადგან როსტოკული კლუბი მართლაც სუპერგუნდთან განდგურდა. და შაბათის მერე ერთი რამ ცხადია: ამ „ბაიერნს“ თუ დასჭირდა, მეტსაც შეძლებს, გაცილებით მეტს!

როსტოკელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, რეკორდმაისტერს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. თავად განსაჯეთ, **ოლივერ კანს** საქმე თითქმის არ ჰქონია და თამამად შეეძლო, სათადარიგოთა სკამზე დამჯდარიყო - "ჰანზამ" სულ რამდენჯერმე შეძლო ხეირიანი შეტევის განხორციელება, საგოლე მომენტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მიუნხენელ ფანებს კი, ძალიან დიდი ხანია, ასეთი შემტევი და სასიამოვნო საყურებელი „ბაიერნი“ აღარ უნახავთ.

ოტმარ ჰიტცფელდმა, ყველასთვის მოულოდნელად, **ლუკა ტონი** ძირითად შემადგენლობაში გაამწესა. გეხსომებათ, „გენერალი“ მატჩის წინ ამბობდა, იტალიელი უვარჯიშებელია და ჯერ სკამზე იქნებაო. მაგრამ ჰიტცფელდმა გადაწყვეტილება შეცვალა და ეს ასე ახსნა: *„კლოზე გადაღლილი იყო და მეორე ფორვარდს აუცილებლად უნდა ეთამაშა.“* ლუკამ და მირომ ჰარმონიული დუეტი შექმნეს! მე-14 წუთზე **შვაინშტაიგერმა** კლოზე **ვეხტერთან** პირისპირ დატოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, იმის ნაცვლად, რომ თვითონვე დაერტყა, უფრო უკეთეს პოზიციაში მყოფ ტონის უპასა, რომელიც დროულად გაიხსნა, **პირსს** დაასწრო და ანგარიში გახსნა. 28-ე და 55-ე წუთებზე იმავე ტონიმ და კლოზემ კარგი მომენტები გაატანეს ქარს, მაგრამ ფაქტი იყო, რომ „ბაიერნი“ მხოლოდ ერთ გოლს არ იკმარებდა. 66-ე წუთზე, **ლამის** დარტყმის შემდეგ, ვეხტერმა ბურთი პირდაპირ კლოზეს დაუგდო და ამ უკანასკნელმაც უპრობლემოდ გაიტანა. 85-ე წუთზე კი, მირომ დუბლი გაიფორმა – გამოეხმაურა რა ლამის ჩაწოდებას (თავით).

ჰიტცფელდი: *„გულზე მომეშვა, რადგან ზეწოლა უმძიმესი იყო და ძალიან ენერვიულობდი. განსაკუთრებით ის მახარებს, რომ გოლი არ გავუშვით. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღეს მეტოქემ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია. სამაგიეროდ, დიდ წინააღმდეგობას მომდევნო ტურში, ბრემენში ვეღლით...“*

ჰო, მეორე ტურში „ბაიერნი“ „ვერდერს“ სტუმრობს. შაბათის ნომერში ვწერდით, რომ ბრემენულ კლუბს წარმატებული სტარტის აღება ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან „ვერდერს“ 8 ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული და ასეც მოხდა. „მუსიკოსები“ 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ 2 წუთი ჩაეძინათ და მატჩიც 2:2 დასრულდა. თამაში ემოციებით დატვირთული და რბილად რომ ვთქვათ, გასაგიჟებელი გამოვიდა – შესანიშნავი გოლები, მაღალი ტემპი, ჩხუბი – „რურშტადიონზე“ ფაქტობრივად, ყველაფერი მოხდა, რაც შეიძლება, რომ საფეხბურთო მატჩის დროს მოხდეს.

„ბოხუმმა“ „ვერდერი“ ფიზიკურად დაჯაბნა! ფაქტია, რომ თუ ასე გაგრძელეს, **მარსელ კოლერის** შეგირდები ძალიან შორს წავლენ. ბრემენელთა ნათელი წერტილი კი, არა მოლოდინისამებრ **დიეგო**, არამედ **ბოუბაკარ სანოგო** გახლდათ! დიახ, სწორედ ის სანოგო... „ჰამბურგიდან“ ნაყიდმა „კლოზეს შემცვლელმა“ ჯერ პენალტი „აიკიდა“, მერე კი გოლიც გაიტანა. სანოგოს მოპოვებული პენალტი გოლად დიეგომ აქცია და როცა „ვერდერის“ მეკარე **ტიმ ვიზემ** სიხარულისგან ხტუნვა დაიწყო, „ბოხუმის“ ფანებმა მას სანთებელები დაუშინეს! 30-იდან 40-მდე სანთებელა ვიზეს კარის მიდამოებიდან მომსახურე პერსონალმა გაიტანა, „ვერდერის“ მენეჯერი **კლაუს ალოფსი** და მწვრთნელი **თომას შააფი** ამ დროს მეოთხე მსაჯს ეჩხუბებოდნენ, მატჩი კი გაგრძელდა და პირველი ტაიმის მინურულს სანოგომ დიეგოს ჯარიმას თავი დაუხვედრა და სხვაობა ორამდე გაზარდა. ამ გოლმა ბოხუმელები მწყობრიდან გამოიყვანა. მისცა თუ არა მსაჯმა პირველი ტაიმის დასრულების ნიშანი, **მალტრიტცი** და ვიზე წაკინკლავდნენ. მიზეზი: ეს უკანასკნელი მსაჯს სანთებელების გამო შესჩიოდა. მოჩხუბრები შააფმა გააშველა.

ფაქტია, რომ შესვენებაზე შააფმა შეგირდებს დამშვიდებისკენ მოუწოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ვერდერის“ ფეხბურთელებმა მწვრთნელის მოწოდება ცუდად გაიგეს, რადგან მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ, 47-დან 49-ე წუთამდე კი „ტკბილად ეძინათ“ – ჯერ **სესტაკმა** შეამცირა სხვაობა, მერე კი **ბეხმანმა** გაათანაბრა. ბოლო წუთებზე „ბოხუმი“ მეკარე **ლასტუვკამ** გადაარჩინა, რომელმაც **შინდლერისა** და **მერტეზაკერის** დარტყმები მოიგერია...

ბოლო 19 წლის განმავლობაში „ჰამბურგს“ „ჰანოვერში“ მოგებული არ ჰქონდა აი, ჩრდილოელებმა. ამ არასასიამოვნო ტრადიციას ბოლო მოუღეს. HSV-მ დაამტკიცა, რომ მართლაც კარგ ფორმაშია და ამბიციაც დიდი ექნება, რადგან „ჰანოვერი“ არ გახლავთ სუსტი გუნდი – „წითლებმა“ მოსამზადებელ ეტაპზე ხომ ყველა გერმანულ კლუბზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს („ბაიერნის“ გარდა). თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჰამბურგმა“ „ჰანოვერი“ დაჩაგრა, რასაც ამ უკანასკნელის მწვრთნელ **დიტერ ჰეკინგის** სიტყვებიდანაც მიხვდებით: *„მიხარია, რომ მხოლოდ 0:1 დაფიქსირდა!“* დიახ, დიდი შანსი იყო, რომ HSV-ს გაცილებით დიდი ანგარიშით ემარჯვა, რადგან **ზიდანმა, ტროხოვსკიმ** და **ვან დერ ვაარტმა** ჩინებული მომენტები გაანიავეს. ჰოლანდიელს სულაც სამი რეალური მომენტი ჰქონდა. ერთადერთი გოლი კი მცველ **კოლინ ბენჯამინის** ანგარიშზეა, რომელმაც **ნაიჯელ დე იონგის** პასით იხეირა. 87-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება **ბენი ლაუთს** შეეძლო და რომ გაეტანა, მისი მხრიდან „ჰამბურგზე“ პირად შურისძიებას ექნებოდა ადგილი, მაგრამ HSV-დან გაგდებულ ფორვარდს **ფრანკ როსტმა** შეუშალა ხელი. **ჰუუბ სტევენსი** დიდად კმაყოფილი დარჩა და თქვა, ახლა ბუდაპეშტში დამშვიდებულები ჩავალთო. ხუთშაბათს „ჰამბურგს“ უეფას თასის მატჩი აქვს.

რაკი „ვოლფსბურგში“ **ფელიქს მაგათი** დაინიშნა, ამ გუნდისგან სასწაულებს ელიან, მაგრამ პირველი ტურით თუ ვიმსჯელებთ, „მგლებს“ მომავალი კარგს არაფერს უქადის – 1:3 საკუთარ კედლებში, „არმინიასთან“. მაგრამ მძიმე სტარტი მაგათისთვის სიახლე რომდია – „დესპოტი ფელიქსის“ გუნდები ყოველთვის წაგებით ან ფრით იწყებენ ხოლმე. ასე იყო „ნიურნბერგის“, „ვერდერის“, „ჰამბურგის“, „აინტრახტისა“ და „შტუტგარტის“ შემთხვევებშიც. მაგათმა პირველ ტურში გუნდს მხოლოდ ერთხელ მოაგებინა ისიც „ბაიერნს“, ორი წლის წინათ.

ჯერ ხეირიანად არც კი დანიშნულა და „ჰერტას“ ახალი თავკაცი უკვე წასვლაზე საუბრობს – ბერლინული კლუბი უმძიმეს მდგომარეობაშია, რაც შაბათსაც დადასტურდა – დედაქალაქელები ფრანკფურტში დამარცხდნენ. „კოტბუსმა“ კი, ყველასთვის მოულოდნელად, „ლევერკუზენიდან“ ქულა წაიღო, რაც, მხოლოდ და მხოლოდ, კოტბუსელთა მეკარე **ტომისლავ პიპლიცას** დამსახურებაა – „პიპიმ“ სასწაულები აკეთა...

გუშინ კი, დორტმუნდში ახალი სეზონის პირველი სენსაცია გამოცხვა: „ბორუსია“ საკუთარ მოედანზე, ყველასათვის მოულოდნელად, ელიტაში აღზევებულ „დუისბურგთან“ 1:3 დამარცხდა. მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა კვირის მეორე მატჩშიც: **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ“ „ნიურნბერგს“ სტუმრად 2:0 მოუგო. ორივე გოლი KSC-ს გამთამაშებლის, **ტამას ჰაინალის** ანგარიშზეა...

შტუტგარტი-შალკე 2:2

შტუტგარტი: რ. შეფერი-3, ჰილბერტი-2, ტასკი-3.5, მეირა-4, ბოკა-3, პარდო-3, ხედირა-2.5, და სილვა-3 (84. ფარნერუდი), ჰიტცლშპერგერი-3, მარიკა-4 (77. ევერტონი), კაკუ-4.

შალკე: ნოიერი-3, რაფინია-3.5, ბორდონი-3.5, კრსტანიჩი-3.5, პანდერი-4, ფ. ერნსტი-3.5, კობიაშვილი-3 (70. რაკიტიჩი-2.5), იოზილი-3.5 (46. ჯონსი-5), ასამოა-5 (81. ბაირამოვიჩი), კურანი-4, ლოვენკრანდსი-5.5.

გოლები: 0:1 კობიაშვილი (25), 1:1 ხედირა (63), 2:1 პარდო (67-პენ), 2:2 რაკიტიჩი (76).

გაფრთხილება: 4-3; **დარტყმა**: 16-10; **კუთხური**: 9-0; **ჯარიმა**: 19-23; **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

მაყურებელი: 55 000.

ბოხუმი-ვერდერი 2:2

ბოხუმი: ლასტუვკა-4, კონჩა-3.5, მალტრიტცი-4, იაია-4, მაიხელბეკი-5, სესტაკი-2, დაბროვსკი-3, ცდებელი-3.5, გროტე-3.5 (82. ფუხსი), ეპალე-2, ბეხმანი-2 (68. მიჩიელი).

ვერდერი: ვიზე-3.5, ფრიტცი-4, მერტეზაკერი-3.5, ნალდო-5, შულცი-4.5, ანდრეასენი-5, იენსენი-4, ბოროვსკი-3.5, დიეგო-2.5, როზენბერგი-4 (62. შინდლერი-3), სანოგო-2.

გოლები: 0:1 დიეგო (39-პენ), 0:2 სანოგო (45+1), 1:2 სესტაკი (47), 2:2 ბეხმანი (49).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 17-20; **კუთხური**: 7-6; **ჯარიმა**: 15-17; **ბურთის ფლობა**: 36%-64%.

მაყურებელი: 29 037.

ლევერკუზენი-კოტბუსი 0:0

ლევერკუზენი: ადლერი-3, კასტრო-4, მ. ფრიდრიხი-3.5, ჰაგი-4, გრეშკო-3.5, შვეგლერი-4 (66. დუმი-3.5), როლფესი-3.5, კისლინგი-4, შნაიდერი-4, ბარნეტა-4, გეკასი-4.5 (74. პაპადოპულოსი).

კოტბუსი: პიპლიცა-1.5, ჟელესი-4, მიტრესკი-2.5, კუკიელკა-2, კეიტანოვიჩი-4, სკელა-5 (85. ბაუმგარტი), ტ. როსტი-3.5, სორენსენი-4, რივიჩი-3.5 (66. რანგელოვი-4), ალონეფტისი-3 (74. ციბიგი), კიოიო-4.5.

გაფრთხილება: 3-3; **დარტყმა**: 21-10; **კუთხური**: 7-2; **ჯარიმა**: 21-16; **ბურთის ფლობა**: 67%-33%.

მაყურებელი: 22 500.

აინტრახტი-ვერდა 1:0

აინტრახტი: პრიოლი-3, ოხსი-4, რუსი-2.5, კირიაკოსი-2.5 (74. ვასოსკი), შპიხერი-3, ინამოტო-3.5 (68. პროისი-3.5), ფინკი-3, მაჰდავიკია-3.5 (86. კიოლერი), ა. მაიერი-3.5, შტრაიტი-2.5, ამანატიდისი-2.5.

ჰერტა: დრობნი-3, ჩაჰედი-4, ა. ფრიდრიხი-3.5, შმიდტი-4, ფათი-3.5, დარდაი-4, ჟილბერტო-4 (73. ლაკრი), ებერტი-4.5 (57. ლუსიო-3), პიუჩკი-5 (63. ოკორონკეო-3.5), კ. მიულერი-5, პანტელიჩი-5.

გოლი: 1:0 ამანატიდისი (31).

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა**: 19-10; **კუთხური**: 6-5; **ჯარიმა**: 13-13; **ბურთის ფლობა**: 43%-57%.

მაყურებელი: 45 900.

ჰანოვერი-ჰამბურგი 0:1

ჰანოვერი: ენკე-2.5, ჩერუნდოლო-3, კლაინე-4.5, ჟურავი-4, ტარნატი-4, ბალიტში-4 (64. ლაუთი-3.5), იანკოვი-3.5, პინტუ-4 (56. როზენტალი-3), ბრუგინკი-4.5, ჰუშტი-3.5, ჰანკე-5 (46. ჰაშმიანი-4).

ჰამბურგი: ფ. როსტი-2, დემელი-3, კომპანი-3, მატიისენი-2.5, ბენჯამინი-2.5, იაროლიმი-3.5, დე იონგი-3.5, ტროხოვსკი-3 (78. ატუბა), ვან დერ ვაარტი-2, ოლიჩი-4.5 (83. კასტელენი), ზიდანი-4 (69. ჩუპო-მოტინგი-3.5).

გოლი: 0:1 ბენჯამინი (23).

გაფრთხილება: 3-1; **დარტყმა**: 10-14; **კუთხური**: 6-4; **ჯარიმა**: 20-18; **ბურთის ფლობა**: 56%-44%.

მაყურებელი: 49 000.

ვოლფსბურგი-არმინია 1:3

ვოლფსბურგი: იენტცში-4, რიტერი-4.5, მიორლეკ-4.5, მადლუნგი-5, მ. შეფერი-4.5, სანტანა-3.5, გენტნერი-4 (46. დეჟაგა-4), ბაიერი-4 (60. ჯეკო-4), მუნტეანუ-3.5, მარსელინო-4, რადუ-3.5.

არმინია: ჰაინი-3, ბოლმანი-3, მიატოვიჩი-3.5, ლანგკამპი-3.5, შულერი-3, კუჩერა-3.5, ტეშე-3.5 (78. კირხი), ნკოსი-3, ბიომე-2, აიგლერი-2.5 (82. კამპერი), ვიხნიარეკი-2.5 (68. ზუმა-3).

გოლები: 0:1 ვიხნიარეკი (38), 0:2 აიგლერი (51), 0:3 კირხი (80), 1:3 რადუ (84).

გაფრთხილება: 1-0; **დარტყმა**: 13-13; **კუთხური**: 7-7; **ჯარიმა**: 14-3; **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

მაყურებელი: 20 921.

ბაიერნი-ჰანზა 3:0

ბაიერნი: კანი-3.5, ლამი-2, ლუსიო-3, დემიკელისი-3, იანსენი-3, ვანდერვიელი-3, ზერერ-ბერტო-2, რიბერი-2 (79. სოსა), ზაგინმტაგერი-3.5 (74. ჰამიტ ალტინტოფ), ლენზე-1.5 (87. ვაგნერი), ტონი-2.

ჰანზა: ვეხტერი-4.5, ლენზე-4.5, სებასტიანი-5, ორსტესი-4.5, პირსი-5, ბაინლიხი-4 (60. ბიულოვი-4), შტაინი-5.5, რანი-5 (60. ლანგენი-4), იელენი-5 (83. მენგა), ცეტკოვიჩი-4, კერნი-4.5.

გოლები: 1:0 ტონი (14), 2:0 კლოზე (66), 3:0 კლოზე (85).

გაფრთხილება: 0-3; **დარტყმა**: 27-6; **კუთხური**: 4-1; **ჯარიმა**: 14-13; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

მაყურებელი: 69 000.

ნიურნბერგი-კარლსრუე 0:2

ნიურნბერგი: ბლაჟეკი-4, დ. რაინჰარდტი-3.5, ა. ვოლფი-4, გალაშეკი-3.5, კრისტიანსენი-4, ბოშამი-3.5, ენგელჰარდტი-4, მიშიმოვიჩი-3 (59. მინტალი-3), ვიტეკი-4, ხარისტეასი-5 (59. კენედი-3.5), საენკო-4.5 (46. იაკობსენი-3.5).

კარლსრუე: მ. მილერი-2.5, გიორლიტცი-3, ეგიმანი-3.5, ფრანცი-3.5, აიხერი-3.5, მუტცელი-4, ადუბე-4 (56. შტაფელდტი-4), ტიმი-3.5, ჰაინალი-2 (87. იაშვილი), კარნელი-4, კაპლანი-4.5 (72. ფრაისი).

გოლები: 0:1 ჰაინალი (44), 0:2 ჰაინალი (74).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 19-11; **კუთხური**: 2-4; **ჯარიმა**: 17-22; **ბურთის ფლობა**: 60%-40%.

მაყურებელი: 45 419.

ბორუსია (დ)-დუისბურგი 1:3

ბორუსია (დ): ვაიდენფელერი-3.5, ფ. დეგენი-4.5, ვიორნსი-4.5, კოვაჩი-5.5, დედე-3.5, კელი-4, ბლაჟჩიკოვსკი-4.5 (83. კრინგე), ტინგა-4.5 (56. ბაკლი-5.5), პეტრიჩი-3, სმოლიარეკი-5.5, კლიმოვიჩი-5.5 (67. ვალდესი-3.5).

დუისბურგი: შტარკე-3.5, ლამეი-2.5, ფილიპესკუ-3.5, შლიკე-3, კასერესი-2.5, გრლიჩი-2.5, ტარარაჩე-2.5, ტიფერტი-3 (91. ვილი), გეორგიევი-3 (85. მაიკონი), იდრისუ-3, იშიაკუ-1.5 (76. ლავრიჩი).

გოლები: 0:1 იშიაკუ (8), 0:2 ტარარაჩე (62-პენ), 0:3 იშიაკუ (64), 1:3 კრინგე (86).

გაფრთხილება: 3-4; **დარტყმა**: 12-7; **კუთხური**: 6-2; **ჯარიმა**: 19-34; **ბურთის ფლობა**: 60%-40%.

მაყურებელი: 75 700.

II ბუნდესლიგა

ალემანია-კარლ ცაისი 2:2

გოლები: 1:0 ვუკოვიჩი (1), 2:0 ნემეტი (6), 2:1 ა. მაული (28), 2:2 პეტერსენი (76).

ზპ. პაული-კიელი 0:2

გოლები: 0:1 ჰელმესი (65), 0:2 ნოვაკოვიჩი (79).

ოსნაბრიუკი-ფრაიბურგი 2:1

გოლები: 1:0 კიხონი (28-პენ), 2:0 რაიხენბერგერი (77), 2:1 ბუტშერი (84).

მაინცი-კობლენცი 4:1

გოლები: 1:0 ფოილნერი (5), 1:1 დცაკა (43), 2:1 რუმანი (55), 3:1 ფოილნერი (56), 4:1 ვრანჩიჩი (72).

აუგსბურგი-ვიუნენი 2:6

გოლები: 0:1 გიოქთანი (16), 0:2 დი სალვო (30), 1:2 ჰდიუადი (34), 1:3 ბიროფკა (42), 1:4 დი სალვო (54), 1:5 ლ. ბენდერი (72), 2:5 ჰდიუადი (78), 2:6 დი სალვო (81).

აუე-ფიურთი 1:1

გოლები: 0:1 ახენბახი (54), 1:1 ფელდჰანი (77).

პადერბორნი-ოუენბახი 0:2

გოლები: 0:1 სიჩონი (60), 0:2 კ. მიულერი (86).

**პოუენა

ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური

ჩელსიმ რეკორდით დაიწყო

იუნაიტედმა დაუგეგმავი ქულები გააანიავა და უეინ რუნი სამი თვით გამოაკლდა

ჯონსონისა და რაიტ-ფილიპსის ჩელსიმ მაკშეფრის ბირმინგემს ერთი ქულაც არ გაატანა

სტივ ჯერარდის საუცხოო საჯარიმო დარტყმამ "ლივერპულის" სამი ქულა მოუტანა. ესაა პირველი შემთხვევა **რაფა ბენიტესის** ინგლისში გადასვლის შემდეგ, როცა მისი გუნდი ჩემპიონატს გამარჯვებით იწყებს. ჯერარდის გოლამდე ერთი წუთით ადრე "ასტონ ვილამ" ანგარიში გაათანაბრა. **გარეთ ბერიმ მარტინ ლაურსენის** ავტოგოლი გაქვითა, მაგრამ ზუსტად 60 წამში სტუმართა კაპიტანმა 20 იარდიდან ისე ჩაახვია, რომ **სტიუარტ ტეილორის** თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა. ნორმალური დებიუტი ჰქონდა **ფერნანდო ტორესს**. ის და **დირკ კუიტი** შეთანხმებულად მოქმედებდნენ. პირველ ტაიმში ესპანელმა თავდამსხმელმა 100-პროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა. ტორესი თამაშის დასრულებამდე 11 წუთით ადრე შეცვალეს.

ლივერპულელთაგან საუკეთესო იყო ჯერარდი. მან გოლამდეც დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა. ბევრი იშრომა **ჯეიმი კარაგერმაც**, რომელმაც მეტოქის საჯარიმოში თითქმის იმდენივე დრო გაატარა, რამდენიც საკუთარი დაცვის ცენტრში. "ლივერპულის" გამარჯვებაში გარკვეული კანონზომიერებაც უნდა ვეძიოთ. "ვილა" მერსისაიდელებისთვის ხელსაყრელი მეტოქეა. ბირმინგემელებს "ეშმაკები" შინ ცხრა წელიწადია, არ დაუმარცხებიათ.

პეპე რეინას ბევრი საქმე არ ჰქონია. თამაშის დასაწყისში მან **კრეიგ გარდნერის** ძლიერი დარტყმა მოიგერია, ხოლო მატჩის მიწურულს **ჯონ კარუს** თავური აიღო - ეს იყო და ეს. ტორესს პირველი მომენტი მე-17 წუთზე ჰქონდა. მან რეინას გრძელი გადაცემა მიიღო და ტეილორს მახვილი კუთხიდან შეუტია. ბურთი ხარიხას გადასცდა. იქვე **ოლოფ მელბერგმა** ტორესი უხეშად მოცელა და ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ზემოთ ესპანელის 100-პროცენტიანი შანსი ვახსენეთ. ფერნანდომ მეურვე მელბერგი დაჩაგრა და ტეილორთან პირისპირ დარჩა. თავდამსხმელმა მეკარის მოტყუებას დარტყმა არჩია, მაგრამ ეს ისე უხეიროდ გააკეთა, რომ ბურთი კარის გასწვრივ გაგორდა.

ლივერპულელთა გოლი ტორესის აქტიურობის შედეგად გავიდა. ტეილორმა მისი დარტყმა გაჭირვებით მოიგერია. კუიტმა ბურთი საჯარიმოში ჩააბრუნა, ლაურსენმა კი ის საკუთარ კარში გადაგზავნა. დანიელი მცველი ტაიმის დასრულებისთანავე შეცვალეს. ბი-ბისის ცნობით, მარტინმა მცირე ტრავმა მიიღო. მეორე ნახევარში მეტოქეებმა თითო ყვითელი ბარათი დაიმსახურეს (**პენანტი, ბუმა**). თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა კარაგერმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. ბერიმ პენალტი აუღელვებლად შეაგდო, მაგრამ მასპინძლების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: ჯერარდმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო გაიტანა...

"არსენალმა" პოსტ-**ანრისეულ** ეპოქაში პირველი ოფიციალური გამოცდა ჩააბარა. "მეთოფეებმა" ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყეს, მაგრამ "ემირატსზე" მისული 60 ათასი მაყურებელი გვარიანად ანერვიულეს. "ფულჰემმა" ანგარიში პირველსავე წუთზე გახსნა და მატჩის ბოლომდე ჯიუტად არ აპირებდა სამი ქულის დათმობას. სტუმართა გოლი **იენს ლემანის** სინდისზეა. **დევიდ ჰილიმ** მისი შეცდომით ისარგებლა და გაიტანა. "ფულჰემს" მატჩისწინა მოთელვისას ძირითადი მეკარე **ანტი ნიემი** დაუშავდა. კარის დაცვა მის დუბლიორ **ტონი უორნერს** ანდეს. უორნერმა დამაჯერებლად ითამაშა. "არსენალმა" მისი და მისი თანაგუნდელების წინააღმდეგობა მხოლოდ 84-ე წუთზე გატეხა. **კარლოს ბოკანეგრამ** მეტოქის საჯარიმოში ჩასული **კოლო ტურე** წააქცია. **რობინ ვან პერსიმ** კი 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა, 1:1. მასპინძლებს ფრთები შეესხათ და მეტოქე უპრეცენდენტო ზეწოლის ქვეშ მოაქციეს. ბოლო წუთზე **ალექსანდრ გლებმა სესკ ფაბრეგასის** პასით ისარგებლა და გამარჯვების გოლი გაიტანა, 2:1...

დიდი ბრძოლა გადახდა "ჩელსისაც". პირველი გოლი აქაც სტუმრებმა გაიტანეს. ბირმინგემელმა თავდამსხმელმა **მიკაელ ფორსელმა** ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა. ცნობისთვის, ფორსელი "არისტოკრატების" ყოფილი ფეხბურთელია. ლონდონელები არ დაბნეულან და ორ წუთში წონასწორობა აღადგინეს. გოლი დებიუტანტმა **კლაუდიო პისარომ** გაიტანა. თხუთმეტ წუთში კიდევ ერთმა დებიუტანტმა **ფლორან მალუდამ** მასპინძლები წინ გაიყვანა. მაგრამ არ გასულა ხუთი წუთი და "ბირმინგემმა" მეორედ აიღო **პეტრ ჩეხის** კარი. ამჯერად გოლი ფრანგმა ნახევარმცველმა **ოლივიე კაპომ** შეაგდო. პისაროსა და მალუდას მსგავსად, კაპოც პრემიერლიგის სადებიუტო მატჩს ატარებდა. შესვენების შემდეგ "ჩელსი" საგრძნობლად გააქტიურდა და მალე მიაღწია მიზანს. **მიკაელ ესიენმა** მესამედ დაამწუხრა მეტოქე. "ბირმინგემ სიტიმ" "სტემფორდ ბრიჯზე" მესამე გოლის გაქვითვა ვეღარ მოახერხა. "ჩელსიმ", რომელიც ჩემპიონობის დაბრუნებას აპირებს, პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. ტრავმებით შესუსტებულმა "არისტოკრატებმა" მოსაგებ თამაშში სამი ქულა მოიხვეჭეს. და რაც მთავარია, ისინი ინგლისის ჩემპიონატის რეკორდსმენები გახდნენ. გუშინდელის შემდეგ "ჩელსის" წაუგებელი საშინაო სერია 64 თამაშს შეადგენს. ის უკვე ერთით აღემატება "ლივერპულის" თითქმის 30 წლის წინანდელ მიღწევას. 1978 წლის თებერვლიდან 1981 წლის იანვრამდე **ბობ პეისლის** ლეგენდარულმა გუნდმა შინ ზედიზედ 63-ჯერ ითამაშა დაუმარცხებლად. ლონდონელების სერიაც მესამე წელს ითვლის. "ჩელსიმ" "სტემფორდ ბრიჯზე" უკანასკნელად 2004 წლის თებერვალში, "არსენალთან" წააგო...

ამასობაში, "მანჩესტერ იუნაიტედმა" დაუგეგმავი ორი ქულა გაანიავა. უფრო სავალალო კი ისაა, რომ უეინ რუნიმ ტრავმა მიიღო და ექიმთა ვარაუდით, სამი თვე გაუცდება. ის მაიკლ დაბერისთან ორთაბრძოლისას დაშავდა. რუნიმ კარში დარტყმა დააპირა. რედინგელი მცველი შეეცადა, მისთვის ხელი შეეშალა. უეინმა მოქნეული ფეხი დაბერის გაშვერილ ფეხს მოარტყა და ძვალი გაიტეხა. უცნაური ისაა, რომ პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ მან კიდევ რამდენიმე წუთი ითამაშა. შესვენებისას ტკივილმა იმატა. ამიტომ დაუყოვნებლივ შეცვალეს. ნამატჩევს კი სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ ძვალი გატეხილი იყო. ის უახლოეს მომავალში არათუ "იუნაიტედს", ინგლისის ნაკრებსაც ვერ დაეხმარება. უფრო დეტალური ინფორმაციას ალბათ დღეს გაავრცელებენ.

რაც შეეხება მატჩს, "რედინგმა" ბოლო 17 წუთი ათი კაცით ითამაშა, მაგრამ მრისხანე მასპინძელს გოლი მაინც არ გაატანინა. **სერ ალექს ფერგიუსონს** რიხიანი სტარტის იმედი ჰქონდა. მიმომხილველები გასული სეზონს იხსენებდნენ: 10 ტურის შემდეგ "მანჩესტერს" 25 ქულა ჰქონდა და ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობდა. ახლა კი "მენიუს" "ჩელსისაგან" უკვე ორი ქულა ჰყოფს. "ეშმაკების" მატჩზე ბევრს არ ვილაპარაკებთ. მხოლოდ გეტყვით, რომ რედინგელი თავდამსხმელი **დეივ კიტსონი** მინდორზე გასვლიდან ერთ წუთში გააძევეს. ის **პატრის ევრას** ეუხეშა...

"სანდერლენდმა" პრემიერლიგაში დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნა. შეცვლაზე შესულმა **მაიკლ ჩოპრამ** გოლი მსაჯისგან დამატებულ დროში შეაგდო. **როკი კინმა** "ნიუკასლის" ყოფილი თავდამსხმელი 71-ე წუთზე გამოიყვანა. საგოლე პასი **როი უოლესმა** მიითვალა. ჩოპრას გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე ანგარიშის გახსნა **დიკსონ ეტუჰუსაც** შეეძლო. "ტოტენჰემის" მრავალმილიონიანმა თავდასხმამ კი უსახური შთაბეჭდილება დატოვა. **მარტინ იოლმა** 16.5 მილიონ გირვანქად ნაყიდი **დარენ ბენტი** მეორე ტაიმისთვის შემოინახა. **დიმიტარ ბერბატოვმა** მასპინძელთა მცველ **პოლ მაკშეინთან** ვერაფერი გაანყო. ბულგარელს ერთი რეალური მომენტი ჰქონდა. პირველ ტაიმში ის "სანდერლენდის" ხელოვნურ თამაშგარეს დაუსხლტა, მეკარე **კრეიგ გორდონიც** მოატყუა, მაგრამ ისევ მაკშეინმა შეუშალა ხელი. სტუმრებმა პენალტი მოითხოვეს, მაგრამ არბიტრმა **ალან ვაილიმ** წესების დარღვევა ვერ დაინახა. მეორე ტაიმში, როცა ბერბატოვი **ჯერმეინ დეფოთი** შეცვალეს, თავდამსხმელმა უკმაყოფილება ვერ დამალა, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებული იყო. ბერბატოვის შეტევას თუ არ ჩავთვლით, "სანდერლენდის" ახალბედა მეკარეს მშვიდი საღამო ჰქონდა. მოგეხსენებათ, შოტლანდიის ნაკრების გოლკიპერი "ჰართსიდან" ერთი კვირის წინათ გადაიყვანეს. "სანდერლენდმა" მის სანაცვლოდ 9 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ამ ტრანსფერის წყალობითაც კრეიგ გორდონი ბრიტანეთის ყველა დროის უძვირფასესი გოლკიპერი გახდა...

სემ ელერდაისს უჩვეულო დღე ჰქონდა: ის ბოლტონში სტუმარი იყო. თუმცა ნიუკასლის დამრიგებელს სენტიმენტებისთვის არ ეცალა. მისი გუნდი სადებიუტო მატჩს ატარებდა. დასაწყისი საუცხოო გამოვიდა - 3:1. ჯორდებმა სამი თავდამსხმელით ითამაშეს. სამიდან ორი ახალწვეული იყო - **მარკ ვიდუკა** და **ალან სმიტი**. მესამემ - **ობჯმარტინსმა** კი დუბლი შეასრულა. ბოლტონელებს ელერდაისის ყოფილი ასისტენტი **სემი ლი** წვრთნის. მას ბევრი სამუშაო აქვს, თუ უნდა, რომ გუნდმა მინიმუმ ის დონე შეინარჩუნოს, რომელზეც ელერდაისმა აიყვანა...

"დერბიმ" "პორტსმუთს" სამი ქულა არ დაანება. თამაშის მიწურულს ორწუთიან მონაკვეთში ორი გოლი გავიდა. ჯერ სტუმართა დებიუტანტმა თავდამსხმელმა **ჯონ უტაკამ** ("რენიდან" 7 მილიონ გირვანქად შეიძინეს) თავისიანები მეორედ დააწინაურა, შემდეგ კი მასპინძელთა მცველმა **ენდი ტოდმა** (ისიც დებიუტანტია, ერთი თვის წინათ "ბლეკბერნიდან" უკომპენსაციოდ გადაიყვანეს) ბოლო 17 თვეში პირველად გაიტანა და "დერბი ქაუნთის" ფრე მოუპოვა...

გამარჯვებით დაიწყო "ევერტონმა". უნდა ითქვას, რომ ლივერპულელთა ბანაკი ორადაა გაყოფილი: დირექტორებს ვერ გადაუწყვეტიათ, გადავიდნენ თუ არა ახალ სტადიონზე, რომელიც ქალაქის სიახლოვეს კერკბიში მდებარეობს. მაგრამ უთანხმოება მინდორს მიღმა რჩება. მინდორზე "ევერტონი" შარშანდელივით ერთ მუშტად შეკრული გუნდია. **დევიდ მოიესს** შემადგენლობა რადიკალურად არ შეუცვლია. ის ისევ ძველი გვარდიის იმედადაა და ევროპული საგზურისთვის აპირებს ბრძოლას. ვიგანელთა უმთავრესი ამოცანა კი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. შეგახსენებთ, გასულ სეზონში ამ გუნდმა ბოლო ტურის მატჩის მიწურულს დააღწია თავი გასავარდნ ზონას...

შთამბეჭდავად დაიწყო "ბლეკბერნმაც". მან "მიდლსბრო" მისსავე მოედანზე დამარცხა. საუცხოო დებიუტი ჰქონდა "ბაიერნის" ყოფილ თავდამსხმელ **როკე სანტა კრუსს**: მან პირველი ინგლისური გოლი მინდორზე გასვლიდან ორ წუთში შეაგდო. პარაგვაელმა მე-60 წუთზე **ბენი მაკარტი** შეცვალა. ამ უკანასკნელმა თავის ტრავმა მიიღო და უცნობია, ითამაშებს თუ არა მომდევნო ტურში...

და რა თქმა უნდა, **სვენ გორან ერიქსონის** წარმატებული დებიუტიც აღვნიშნოთ. "სიტი" თითქმის მთლიანად გადახალისებული შემადგენლობით გავიდა მინდორზე. მანჩესტერელთაგან ორივე გოლი ახალწვეულებმა - **როლანდო ბიანკიმ** და **ჯოვანმ** გაიტანეს. ინგლისელთა ყოფილი მწვრთნელი სიხარულს ვერ მალავდა. მას ალბიონზე სკეპტიკურად შეხვდნენ, თუმცა გუშინწინდელი თამაშის შემდეგ კრიტიკოსებს სულ ცოტა, მეორე ტურამდე მოუწევთ დადუმება. სტუმართა ძირითადში პირველად ითამაშა ლეგენდარული **პეტერ შმაიხელის** ვაჟმა **კასპარმა**. შმაიხელი-უმცროსს საქმე ოთქმის არა ჰქონია.

მოგდევნო ტური

სამშაბათი, 14 აგვისტო. ტოტენჰემი-ევერტონი, ოთხშაბათი, 15 აგვისტო. ბირმინგემი-სანდერლენდი, ფულჰემი-ბოლტონი, მანჩესტერ სიტი-დერბი, პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ, რედინგი-ჩელსი, ვიგანი-მიდლსბრო

სანდერლენდი-ტოტენჰემი 1:0

სანდერლენდი: გორდონი, მაკშეინი, ნოსვორთი, ედვარდსი, ეტუჰუ, რიჩარდსონი (72. კოლინზი), უოლესი, უაითჰედი, დერილ მერფი, სტოუკსი (72. ჩოპრა), იორკი (57. მილერი).

ტოტენჰემი: რობინსონი, შიმბონდა, გარდნერი, კაბული, სტალტერი, ჯენსანი, მალბრანკი, ტაინიო (59. დარენ ბენტი), ზოკორა (ჰადლსტონი), ბერბატოვი (77. დეფო), რობი კინი.

გოლი: 1:0 ჩოპრა (1:0)

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 10(4)-7(3); **ჯარიმა**: 14-14; **კუთხური**: 7-2; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

მაყურებელი: 43 967

ბოლტონი-ნიუკასლი 1:3

ბოლტონი: იაასკელაინენი, სიდი, ჰანტი, სამუელი, ფაიე, მაკენი, ნოლანი, სპიდი (74. ალონსო), ანელკა, კევინ დევისი (58. ჰელგუსონი), ვას ტე (46. დიუფი).

ნიუკასლი: ჰარპერი, კარი, როზენალი, სტივ ტეილორი, ბატი, ჯერემი, მილნერი (86. რემიჯი), ნზოგბია, მარტინსი (69. სოლანო), სმიტი, ვიდუკა (72. ამეობი).

გოლები: 0:1 ნზოგბია (11), 0:2 მარტინსი (21), 0:3 მარტინსი (27), 1:3 ანელკა (50).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 13(9)-10(5); **ჯარიმა**: 15-16; **კუთხური**: 4-3; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

მაყურებელი: 25 414

დერბი-პორტსმუთი 2:2

დერბი: ბაივოტერი, კლოდ დევისი, გრიფინი (80. მაკვილი), მიერსი, მური, ტოდი, ოუკლი, პირსონი, ერნშო (74. ტილი), ფეგანი, ჰოვარდი.

პორტსმუთი: ჯეიმსი, კემპბელი, დესტენი, ჰრეიდარსონი, ლორენი, შონ დევისი, მუნტარი (80. მ.ტეილორი), მენდესი, უტაკა, მვარუვარი (90. ჰამარო), ნაჯენტი (70. კანუ).

გოლები: 1:0 ოუკლი (5), 1:1 მვარუვარი (27), 1:2 უტაკა (83), 2:2 ტოდი (84).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 12(5)-13(6); **ჯარიმა**: 14-17; **კუთხური**: 6-6; **ბურთის ფლობა**: 46%-54%.

მაყურებელი: 32 176

ევერტონი-ვიგანი 2:1

ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფილ ნევილი, სტაბსი, იობო, არტეტა, კარსლი, ოსმანი (73. პიენაარი), ანიჩებე, ენდი ჯონსონი.

ვიგანი: კერკლანდი, ბრემბლი, გრანკვისტი, მელხიოტი, მარნერი, კილბეინი, კუმსანი, ლანდზაატი, ვალენსია, ფოლანი (66. სიბირსკი), ჰესკი.

გოლები: 1:0 ოსმანი (26), 2:0 ანიჩებე (75), 2:1 სიბირსკი (80).

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა**: 13(8)-14(4); **ჯარიმა**: 8-13; **კუთხური**: 6-2; **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

მაყურებელი: 39 220

მიდლსბრო-ბლეკბერნი 1:2

მიდლსბრო: შვარცერი, არკა (88. კატერმოული), ენდრიუ დევისი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი, უოტერი, ბოატენგი, დაუნინგი, ალიადიერი (84. ლი), თუნჯაი (85. ე.ჯონსონი), იაკუბუ.

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნელსენი, ოოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, დანი (90. მოკოენა), პედერსენი, სვეიჯი, მაკარტი (60. სანტა კრუსი), რობერტსი (78. დერბიშირი).

გოლები: 1:0 დაუნინგი (31), 1:1 სანტა კრუსი (62), 1:2 დერბიშირი (79).

გაფრთხილება: 3-4; **დარტყმა**: 11(6)-6(4); **ჯარიმა**: 16-16; **კუთხური**: 13-3; **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

მაყურებელი: 25 058

ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი 0:2

ვესტ ჰემი: გრინი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი (634. ეშტონი), სპექტორი, აპსონი, ბოუიერი (46. მულინსი), ლიუნგბერგი, ნობლი, ბელამი, ბოა მორტე (46. ეთერინგტონი), ზამორა.

სიტი: შმაიხელი, კორლუკა (62. ონუოა), დანი, გარიდო, რიჩარდსი, ელანო (80. ჯოვანი), ჰამანი, ირლანდი, მაიკლ ჯონსონი, მარტინ პეტროვი, ბიანკი (61. ბოჟინოვი).

გოლები: 0:1 ბიანკი (18), 0:2 ჯოვანი (87).

გაფრთხილება: 0-4; **დარტყმა**: 9(2)-16(5); **ჯარიმა**: 13-11; **კუთხური**: 5-3; **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

მაყურებელი: 34 921

ასტონ ვილა-ლივერპული 1:2

ვილა: სტიუარტ ტეილორი, ბუმა (71. მური), ლაურსენი (46. კაჰილი), მელბერგი, ბერი, გარდნერი, სტილიან პეტროვი, რეო-კოკერი, აგბონლაორი, კარუ, იანგი.

ლივერპული: რეინა, აგერი, არბელოა, კარაგერი, ფინენი, ჩაბი ალონსო, ჯერარდი, პენანტი (74. ბაბელი), რიისე, კუიტი (90. სისოკო), ტორესი (79. ვორონინი).

გოლები: 0:1 ლაურსენი (31-საკ.კარში), 1:1 ბერი (85-პენ), 1:2 ჯერარდი (87).

გაფრთხილება: 4-2; **დარტყმა**: 10(6)-18(7); **ჯარიმა**: 18-11; **კუთხური**: 4-2; **ბურთის ფლობა**: 49%-51%.

მაყურებელი: 42 640

არსენალი-ფულჰემი 2:1

არსენალი: ლემანი, კლიში, ებუე (62. უოლკოტი), გალასი, სანია, კოლო ტურე, ფაბრეგასი, ფლამინი, გლენი, როსიცკი (72. ბენდტნერი), ვან პერსი (90. სონგი-ბილონგი).

ფულჰემი: უორნერი, ბეირდი, ბოკანეგრა, ნაიტი, კონჩესკი, სიმონ დეივისი, სტივ დევისი, სმერტინი (72. დერეკი), ატუბა (46. დემპსი), ჰილი (73. [illegible]).

გოლები: 0:1 ჰილი (1), 1:1 ვან პერსი (84-პენ), 2:1 გლენი (90).

გაფრთხილება: 1-5; **დარტყმა**: 21(13)-12(9); **ჯარიმა**: 6-19; **კუთხური**: 14-4; **ბურთის ფლობა**: 58%-42%.

მაყურებელი: 60 093

ჩელსი-ბირმინგემი 3:2

ჩელსი: ჩეხი, ბენ ჰაიმი, რიკარდო კარვალიო, ეშლი კოული, გლენ ჯონსონი, ესიენი (69. მიკელი), ლემპარდი, მალუდა (83. სიდველი), რაიტ-ფილიპი, კალუ, პისარო (64. პისარო).

ბირმინგემი: დოილი, ჯურუ, კელი, კუოდრო (51. პერნბი), რიჯველი, კაპო, ლარსონი, მაკშეფრი (69. ჯერომი), მუამბა, ნაფტი (75. დე რიდერი), ფორსელი.

გოლები: 0:1 ფორსელი (15), 1:1 პისარო (17), 2:1 მალუდა (31), 2:2 კაპო (36), 3:2 ესიენი (50).

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა**: 19(11)-6(4); **ჯარიმა**: 8-8; **კუთხური**: 5-3; **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

მაყურებელი: 41 590

მანჩესტერ იუნ.-რედინგი 0:0

იუნაიტედი: ვან დერ სარი, ბრაუნი (77. ფლეტჩერი), ევრა, რიო ფერდინანდი, სილვესტრი (57. ოში), ვიდიჩი, ქერიკი, გიგზი, რონალდო, სქოულზი, რუნი (46. ნანი).

რედინგი: ჰანემანი, დე ლა კრუსი, დაბერი, ინგიმარსონი, მერტი, შორი, გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი (87. ბიკი), კიჰიეონი (57. ოსტერი), დოილი (72. კიტსონი).

გაძევება: კიტსონი (73. რედინგი)

გაფრთხილება: 0-2; **დარტყმა**: 25(9)-3(2); **ჯარიმა**: 8-16; **კუთხური**: 12-3; **ბურთის ფლობა**: 73%-27%.

მაყურებელი: 75 655

ჩემპიონატი. I ტური

ბარნლი-ქოვენტრი 1:4

გოლები: 0:1 მაკენზი (6), 1:1 ჰოვარდი (9-პენ), 1:2 კაილი (50), 1:3 გრეი (65), 1:4 მიფსუდი (90).

ბრისტოლი-ქუინზ პარკი 2:2

გოლები: 1:0 ჯონსონი (33), 1:1 ბლექსტოკი (34), 2:1 მიურეი (90), 2:2 სტიუარტი (90).

გაძევება: სინკლერი (26. ქუინზ პარკი)

ბარნლი- ვესტ ბრომვიჩი 2:1

გოლები: 0:1 ფილიპსი (18), 1:1 დაფი (47), 2:1 გრეი (79-პენ).

ქარდიფი-სტოკი 0:1

გოლი: 0:1 შოკროსი (27).

ჩარლტონი-სანთორეკი 1:1

გოლები: 1:0 მარკუს ბენტი (62); 1:1 ირიკ-პენი (69).

ჰალი-ჰალიფაქსი 2:3

გოლები: 1:0 ვინდესი (3), 1:1 ნორისი (15), 1:2 ფელონი (45), 2:2 მარნი (49), 2:3 იბენსბლეიკი (81).

იფსვიჩი-შეფილდ უენს. 4:1

გოლები: 1:0 ლი (2-პენ), 2:0 რობერტსი (11), 3:0 ლი (25), 4:0 კუნაგო (60), 4:1 კლარკი (89).

ლესტერი-ბლეკპული 0:1

გოლი: 0:1 საუთერნი (63).

პრესტონი-ნორვიჩი 0:0

შეფილდ იუნ.-კოლჩესტერი 2:2

გოლები: 1:0 ბიტი (68), 1:1 მაკდეოდი (68), 2:1 ტონგე (82), 2:2 პლატი (89).

საუთენდი-ტრანმერ. 1:4

გოლები: 0:1 სკოუკროფტი (30), 0:2 სკოუკროფტი (31), 1:2 საგანოსკი (45), 1:3 სკოუკროფტი (55), 1:4 მორისონი (58).

უოლვერჰემპტონი-უოგფორდ 1:2

გოლები: 1:0 ოლოფინჯანა (45), 1:1 სტიუარტი (87), 1:2 კინგი (90-პენ).

I ლიგა. I ტური

ჩელტენჰემი-ჯილინგემი 1:0, ქრუბრაიტონი 2:1, დონკასტერი-მილუოლი 0:0, ჰადერსფილდი-იოვილი 1:0, ლუტონი-ჰარტლპული 2:1, ნორსჰემპტონი-სვინდონი 1:1, ნოტინგემი-ბორნმუთი 0:0, ოლდჰემი-სვონსი 2:1, პორტ ვეილი-ბრისტოლი 1:1, საუთენდი-ლეიტონი 1:2, ტრანმერი-ლიდსი 1:2, უოლსოლი-კარლაისლი 1:1.

II ლიგა. I ტური

ბრედფორდი-მაკლსფილდი 1:1, ბრენტფორდი-მანსფილდი 0:0, ჩესტერი-ჩესტერფილდი 0:0, დარლინგტონი-რექსჰემი 2:0, გრიმსბი-ნოთს ქაუნთი 1:1, ჰერფორდი-როტერჰემი 0:0, ლინკოლნი-შრუსბერი 0:4, მილტონი-ბერი 1:2, პიტერბორო-როჩდეილი 3:0, სტოკპორტი-დაგენჰემი 1:0, ვიკომბი-აქრინგტონი 0:1, მორკემბი-ბარნეტი 0:0.

კონფერენსი. I ტური

ოლტრინჩემი-ექსეტერი 1:4, კროლი-სტივენეჯი 2:1, დროილსდენი-სელისბერი 0:0, ფარსლი-სტეტფორდი 1:0, გრეივსენდი-ნორთვიჩი 2:1, ჰისტონი-ბარტონი 2:2, კიდერმინსტერი-ოლდერშოტი 1:2, ოქსფორდი-ფორსტ გრინი 1:0, ვეიმუთი-ჰალიფაქსი 2:1, ვოქინგი-რაშდენი 1:1, იორკი-კემბრიჯი 1:2, ტორკი-გრეისი 0:0.

ԱՄՍԱԿԱՆ ՍԱՀՄԱՆՆԵՐ

Ա մակարդակ

Խաղատեղի. Ամենամեծ գումարը. Ամենաշատ հաղթանակներ ունեցող. Ամենաբարձր գնահատականներ ունեցող. Ամենաբարձր գնահատականներ ունեցող. Ամենաբարձր գնահատական

ისევ კალჩოპოლის სკანდალზე

ლუჩანო მოჯი: ახლა იუვენტუსი ინტერია

გეგერი ძალგატონის ყოფილი გენერალური მენეჯერის გოლო ინტერვიუს დეტალები: რატომ არაფერს ამბობენ ინტერისა და მილანის სატელეფონო საუბრებზე?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუჩანო მოჯიმ ბოლო პერიოდში რამდენიმე ყურადსაღები განცხადება გააკეთა შარშანდელ სკანდალთან დაკავშირებით. ამ სკანდალზე სხვებიც წერენ და კიდევ დაწერენ. ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ მალე ეს თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდება იმის გათვალისწინებით, რომ იტალიურ ფეხბურთში, მათივე მტკიცებით, ბევრი არაფერი შეცვლილა. მაგრამ გააჩნია, რა იგულისხმება "არაფერში". თუ საუბარია პიროვნებებზე, ამ მხრივ ცვლილებები თითქოს თვალსაჩინოა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი უფროსობა გადადგა, თუმცა მიუთითებენ, რომ სხვადასხვა საკვანძო პოსტზე ისევ ძველები არიან. იმ ხალხს შორის კი, ვინც ფიქრობს, რომ კალჩო კვლავ ძველ ქვაბში იხარშება, ერთ-ერთი სწორედ მოჯია. მეტიც, "იტალპრესთან" ინტერვიუში მან "იუვენტუსსა" და საერთოდ, იტალიურ ფეხბურთში დატრიალებულ ამბებზე ახალი ვერსიაც წამოაყენა...

"მე ერთადერთი ვიყავი, ვინც "იუვენტუსს" იცავდა. კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ ბრალდების ყველა პუნქტი მორჩილად სცნო. ასეთ შემთხვევაში, რა აზრი ჰქონდა ადვოკატის დაქირავებას? მისი როლის შესრულება რომ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო? ხშირად მეკითხებიან, ნუთუ მართალია, რომ მთელი ეს სკანდალი ანიელების კლანის ორ ბანაკს შორის დაპირისპირება იყოო? უმჯობესი იქნებოდა, ამ კითხვისთვის არ მეპასუხა... მაგრამ როცა გაზეთებს ვკითხულობ, ვრწმუნდები, რომ მართლა ასე იყო. თანაც, ისეთი რამეებიც მესმის, რასაც ადრე ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი" - ამბობს **ლუჩანო მოჯი** და იქვე მიანიშნებს, რომ ეგრეთწოდებულ, კორუფციულ სკანდალს სათავე დაუდო შეჯახებამ ორ მონინაალმდეგე მხარეს შორის და ეს ის მხარეები არიან, რომლებმაც **ჯანი** და **უმბერტო ანიელების** გარდაცვალების შემდეგ, "იუვენტუსზე" კონტროლი დაამყარეს. "ბებერი ქალბატონის" ყოფილი გენერალური მენეჯერი დარწმუნებულია, რომ ის უბრალოდ, გააძევეს კლუბის ხელმძღვანელობიდან, ან შეიძლება ითქვას, განირეს.

"დარწმუნებული ვარ, ლუკა დე მონტეძემოლოს ისეთივე შემართებით რომ დაეცვა "იუვენტუსი", როგორითაც ახლა "ფერარის" საჯინიბოს ინტერესებს იცავს, გუნდი სერია B-ში არ აღმოჩნდებოდა. მე კი ბოროტების ერთგვარ სიმბოლოდ მაქციეს. გეგონებოდა, ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში დანაშაული მხოლოდ მოჯის მიუძღვოდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დროებით კომისარ გვიდო როსის ვიღაცამ უკარნახა, რომ საკმარისი იქნებოდა "იუვეს" გაგდება და პრობლემები ავტომატურად მოგვარდებოდა. მან მალევე დატოვა პოსტი, ხალხი კი უკვე შეშფოთებით ლაპარაკობს იმაზე, რომ იტალიურ ფეხბურთში არაფერი შეცვლილა. კორუფციული სისტემა, ეგრეთ წოდებული, "გუმბათი", რომელზეც გამომძიებლები ამდენს ლაპარაკობენ, იყო და დარჩა, და ამ სისტემის სათავეში კვლავ ძველი პრეზიდენტი ფრანკო კარაროა. ის ადრეც, ყველაფერს აკონტროლებდა და აკონტროლებს ახლაც".

მოჯი მიუთითებს იმაზე, რომ **ფრანკო კარარო** იმ კომიტეტის ხელმძღვანელი იყო, ვინც იტალიაში ევრო 2012-ის ჩატარების განაცხადი მოამზადა. ცხადია, მოჯი გვერდს ვერ აუვლიდა სატელეფონო საუბრების ყბადაღებულ თემასაც:

"უნდა ვთქვა, რომ იმ ურიცხვ სატელეფონო საუბრებში, რაც სამართალდამცავებს ჩაუვარდათ ხელში, არაფერია ისეთი, ვინმეს რომ შარი მოსდო: განა უფრო მნიშვნელოვანი არ არის ის, რაზეც "მილანის" ერთ-ერთი დირექტორი ლეონარდო მეანი პიერლუიჯი კოლინას ელაპარაკება? მაგრამ ეს თითქოს არავის გაუგია და არც არავის ახსოვს. არადა, კოლინა დღეს მსაჯთა დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ამიტომაც ვთქვი ადრე, რომ მისი დანიშვნა არ შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანის პროფესიონალიზმში ეჭვი არასოდეს შემპარვია. ახლა კიდევ ვსვამ კითხვას: რატომ არავინ მოუსმინა "ინტერის" ხელმძღვანელთა სატელეფონო საუბრებს? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მარკო ტრონკეტი პროვერამ ყურმილი დაკიდა".

მოჯი იქვე განმარტავს, რომ ხსენებული **მარკო ტრონკეტი პროვერა**, რომელიც "ინტერის" ერთ-ერთი მსხვილი აქციონერია, ამავდროულად, "ტელეკომ იტალიის" საკვანძო ფიგურაც გახლავთ. ეს კომპანია კი სერია A-სა და B-ს სპონსორია. აი, თურმე, რაშია საქმე...

შემდეგ, ლუჩანონე ეხება სკანდალის საერთაშორისო მასშტაბებსაც. თუ გახსოვთ, მაშინ საუბარი იყო მოჯის კავშირებზე უეფას სამსაჯო კორპუსის ხელმძღვანელთან, ვისი მეშვეობითაც ის წინასწარ იგებდა ჩემპიონთა ლიგაში "იუვენტუსის" მატჩებზე დანიშნულ არბიტრთა ვინაობას. მისი კიდევ ერთი კომენტარი:

"ეს საუბრები არაფერს ნიშნავს. სხვათა შორის, მათი ამონაბეჭდი თვეების განმავლობაში ედოთ მაგიდაზე კარაროსა და ადრიანო გალიანის, რომელიც იმხანად ლიგის პრეზიდენტი იყო. თუ ჯონ ელკანის (ანიელების ოჯახის წარმომადგენელი და კომპანია Ifil-ის პრეზიდენტი, რომელიც "იუვენტუსის" აქციათა საკონტროლო პაკეტს ფლობს - ავტ) პირველი რეაქციით ვიმსჯელებთ, ამ საუბრების შესახებ ისიც საქმის კურსში იყო... დიახ, ნამდვილად ვურეკავდი მსაჯთა კორპუსის წარმომადგენლებს, მაგრამ რატომაა, რომ მეანისა და კოლინას შეუძლიათ ტელეფონზე ბაასი, ხოლო ჩემი და პაოლო ბერგამოს (იტალიელ მსაჯთა ძველი ბოსი - ავტ) საუბარს ამხელა სკანდალი მოჰყვა? ბერგამოს ხომ უკვე 30 წელიწადია, ვიცნობ. მას ყველა ურეკავდა, მაგრამ კიდევ ვამახვილებ ყურადღებას: რატომღაც არავინ ახსენებს "ინტერს"? როგორც ჩანს, "ტელეკომ იტალია" მათ ზარებს "ვერ" აფიქსირებდა. სამაგიეროდ, ისინი უსმენდნენ ჩემს სატელეფონო საუბრებს და SMS-ებსაც კი კითხულობდნენ. ამიტომაც შევიძინე შვეიცარიული ოპერატორის SIM-ბარათი. ეს ერთგვარი თავდაცვა იყო".

ბოლოს კი მოჯი გვარწმუნებს, რომ ახლა მთელი ძალაუფლება "ინტერის" ხელში გადავიდა: *"ამ სკანდალის შემდეგ, ჰეგემონი გახდა "ინტერი", რომელიც ზედიზედ ოთხჯერ მოიგებს სკუდეტოს. ამის მისაღწევად, მათ დასჭირდათ პატრიკ ვიეირასა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის ყიდვა, რომელთაც მე მათ არანაირ ფასად არ დავუთმობდი. მეტიც: შეიძლებოდა, ფინანსურ რისკზეც წავსულიყავი, ზარალიც მენახა, მაგრამ ვიეირასა და იბრაჰიმოვიჩს "ინტერში" მაინც არ გავუშვებდი... აი, ასე მოიგო "ნერაძურიმ" ჩემპიონატი 18-წლიანი პაუზის შემდეგ. ისინი პირველები იქნებიან მომავალ სეზონშიც. მეორე ადგილზე კვლავ "რომა" გავა, მესამეზე "მილანს" ვიხილავთ, მერე "ფიორენტინას", "იუვენტუსი" კი მეხუთე ადგილს დაიკავებს,"* - ამ პროგნოზით ასრულებს ინტერვიუს ლუჩანო მოჯი...

სამპდორია. ინტერვიუ ვალტერ მაძარისთან

მთავარი შედეგია, მაგრამ არც ლამაზ ფეხბურთზე ვიტყვით უარს

მაძარის სამწვრთნელო ფილოსოფია: დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვალტერ მაძარისთვის გასული სეზონი ერთმნიშვნელოვნად წარმატებული გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ "რეჯინას" 15-ქულიანი ჯარიმა ჰქონდა აკიდებული, კალაბრიულმა კლუბმა სერია A-ში დარჩენა მოახერხა. 45 წლის სპეციალისტმა უმალ მიიპყრო უფრო ავტორიტეტული "სამპდორიის" ყურადღება, სადაც მან ვალტერ ნოველინო შეცვალა. სხვა კლუბი, სხვა ამოცანები: მზად არის სინიორ მაძარი იმისთვის, რომ "სამპს" ძველი დიდება დაუბრუნოს? გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც uefa.com-ზე გამოქვეყნდა...

- "სამპდორიამ" ახალი სეზონისთვის მზადება ორი კვირის წინათ დაიწყო. მიუხედავად ამისა, უკვე მოასწარით ინტერტოტოს თასზე ბულგარული კლუბის დამარცხება. ნუთუ, ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში უკვე მოახერხეთ გუნდის ფეხზე დაყენება?

- დავინახე არაერთი პოზიტიური მომენტი, მაგალითად, გოლი გავიტანეთ იმ კომბინაციის წყალობით, რომელსაც ვარჯიშების დროს ვამუშავებდით. მაგრამ ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, რომ ეს ჩემი "სამპდორიაა". აშკარად შორს ვართ იმ კონდიციებისგან, რომელსაც ვისურვებდი. ასე რომ, წინ ბევრი სამუშაო გვაქვს.

- თქვენ ახალგაზრდა მწვრთნელი ხართ. რას ნიშნავს თქვენთვის ევროარენაზე დებიუტი?

- სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებული ემოციები არ მქონია. მნიშვნელოვან თამაშებს კარგა ხანია მივეჩვიე. ასეთ დროს, უშუალოდ სათამაშო პერიპეტიებზე ვარ კონცენტრირებული და მღელვარებისთვის არ მცალია. ჩემთვის ყველა მატჩს ერთი სტატუსი აქვს და არ ვაქცევ ყურადღებას, ევროტურნირზე ვთამაშობთ, სერია A-ში თუ იტალიის თასზე.

- რა პრობლემებს აწყდებით იმ გუნდის წინააღმდეგ მატჩში, რომელმაც ასე თუ ისე უკვე მოასწრო ფორმაში შესვლა?

- მართალი ხართ, ასეთ დროს პრობლემები ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს. თან სიტუაციას ისიც ართულებს, რომ "სამპდორიაში" ახალი მწვრთნელი ვარ და მუშაობასაც ახლახან შევუდექი. ამიტომაც გაგვიჭირდა ბულგარული კლუბის წინააღმდეგ. თუ შედეგს ყურადღებას არ მივაქცევთ, შემიძლია ვთქვა, რომ დებიუტის კვალობაზე კარგი თამაში ვაჩვენეთ.

- ბოლო წლებში იტალიური კლუბები უეფას თასზე ხშირად მიმართავენ მასობრივ როტაციას. რამდენად მნიშვნელოვანია "სამპდორიისთვის" ეს ტურნირი?

- ვერ ვიტყვი, რომ ის კლუბები, რომლებსაც თქვენ გულისხმობთ, უეფას თასს ჯეროვნად არ აფასებენ. უბრალოდ, ისინი ცდილობენ, გაუფრთხილდნენ იმ მოთამაშეთა ენერგიას, რომელთაც იტალიის ჩემპიონატისთვის იყენებენ. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მოთამაშეს, ფიზიკურად, არ შეუძლია, სამ დღეში ორი მატჩის ჩატარება. აქვე ვამბობ, რომ თუ უეფას თასზე შორს წავალთ, ასეთივე როტაცია "სამპდორიაშიც" იქნება.

- უეფას თასზე "ემპოლი", "პალერმო" და "ფიორენტინაც" ითამაშებენ. მზად არიან იტალიური კლუბები იმისთვის, რომ 1999 წლის შემდეგ პირველად მოიგონ ეს ტურნირი?

- იტალიელი ვარ და იმედი მაქვს, ასეც იქნება, თუნდაც ეს "სამპდორია" არ იყოს. რა თქმა უნდა, უფრო კარგი შანსი "პალერმოსა" და "ფიორენტინას" აქვთ. ეს გუნდები მაღალი კლასის მოთამაშეებით არიან დაკომპლექტებულნი. ძლიერი შემადგენლობა კი წარმატების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა.

- "რეჯინაში" ბრწყინვალედ იმუშავეთ. "სამპდორიაში" რა მიზნები გაქვთ?

- ზღვარს ვერ დავაწესებ. უბრალოდ, მინდა, რომ ჩემი ფეხბურთელები ყოველდღიურად პროგრესირებდნენ და არასოდეს იყვნენ კმაყოფილნი საკუთარი თავით. თუ დღეს რაღაც კარგად გამოგვივა, ხვალ ეს უფრო უკეთ უნდა გავაკეთოთ. აი, მთელი ჩემი ფილოსოფია. ამ განწყობით დავიწყეთ სეზონი და ვეცდებით, ასევე გავიდეთ ბოლოში.

- 12-წლიანი პაუზის შემდეგ, "ჯენოა" სერია A-ში დაბრუნდა. რას ელით გენუური დერბისგან?

- ამგვარი მატჩები გულგრილს ვერ დაგტოვებს. დერბის იმხელა ემოციური მუხტი აქვს, რომ მიუხედავად შედეგისა, შეიძლება, გუნდებს ეს მუხტი უახლოეს თამაშებშიც გაჰყვეთ.

- "სამპდორიის" ქომაგები თბილად შეგვხვდნენ. კარგად მიიღეს ახალწვეულებიც. ბულგარეთშიც გამოგყვნენ ფანები... როგორც ჩანს, გუნდის გარშემო ჯანსაღი ატმოსფეროა...

- გულახდილად გეტყვით, ამგვარ დამოკიდებულებას არ ველოდი. ქომაგთა წინაშე ვალში ვართ და იმედი მაქვს, ამ ვალს წარმატებული თამაშითა და შედეგებით გავისტუმრებთ. შედეგი პირველხარისხოვანია, მაგრამ ძალიან მინდა, რომ ლამაზი ფეხბურთიც ვითამაშოთ. ვნახოთ, რამდენად გამოგვივა ამ ორი კომპონენტის შერწყმა.

- თავდასხმა სამი ახალი ფორვარდით, ვინჩენცო მონტელათი, ანდრეა კარაჩოლოთი და კლაუდიო ბელუჩით გააძლიერეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ აქცენტს შეტევაზე გააკეთებთ?

- შეძლებისდაგვარად. ისე, თუ მიაქციეთ ყურადღება, "რეჯინაც" შემტევ ფეხბურთზე იყო ორიენტირებული, ჩვენი ორი ფორვარდი კი სერია A-ში საუკეთესოთა შორის იყო. თუ "სამპდორიაშიც" რაღაც ამდაგვარს შევქმნი, კმაყოფილი დავრჩები. ახლა, სწორედ ამას ვცდილობთ და თუ რა გამოვა ამ საქმიდან, დრო გვიჩვენებს.

- "სამპდორიაში" მისვლისას ყველაზე მეტად რამ მოგხიბლათ?

- გავიცანი ფეხბურთელები, რომლებიც, არ შემეშინდება ამის თქმის, საკუთარ თავს ფეხბურთის სამსხვერპლოზე დებენ და ქანცის გაცლამდე ვარჯიშობენ. ისინი მზად არიან, მწვრთნელის მითითებები ზედმიწევნით ზუსტად შეასრულონ. იგივე ბულგარულ გუნდთან თამაშები ავიღოთ: ბიჭები ცუდ ფორმაში იყვნენ, მაგრამ მთელი გულითა და სულით ითამაშეს. ეს მაძლევს იმედს, რომ მომავალ სეზონში კარგად გამოვალთ.

ესპანეთის სუპერთასი. პირველი შეხვედრა

რეალმა პირველი გამოცდა ჩააგდო

თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, გამარჯვებულის ბედი ბერნაბეუზე გაირკვევა

სევილია-რეალი 1:0

სევილია: პალოპი, დანიელ ალვეში, ბულარუზი, დრაგუტინოვიჩი, პუერტა (75. მარესკა), მარტი, კეიტა, დუდა (67. კაპელი), რენატო (57. დე მული), ლუიშ ფაბიანუ.

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, მიგელ ტორესი, გახო (46. ბაპტიშტა), დიარა, ბალბოა (63. სავიოლა), გუტი, რობინიო, რაული.

გოლი: 1:0. ლუიშ ფაბიანუ (28.პენ).

პრიმერა დივიზიონის დაწყებამდე ორი კვირა დარჩა. ესპანურ გუნდებს ახალი სეზონისთვის მზადება ჯერაც არ დაუსრულებიათ, თუმცა "სევილიასა" და "რეალს" პირველი ოფიციალური პაექრობის ჩატარება ყველაზე ადრე მოუხდათ. ისინი ესპანეთის სუპერთასის ფინალში დაუპირისპირნენ ერთმანეთს. პირველ ორთაბრძოლას "სანჩეს პისხუანმა" უმასპინძლა. იქიდან გამომდინარე, რომ გუნდები სათამაშო სქემას ჯერ მხოლოდ ახლა ამუშავებენ, სპეციალისტები ფავორიტზე საუბარს გაურბოდნენ. ისინი შანსებს აბსოლუტურად თანაბრად აფასებდნენ. მატჩის დაწყებისთანავე კი გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე "სევილია" მადრიდის "რეალზე" გაცილებით უკეთ გამოიყურება. **ხუანდე რამოსის** შეგირდები უფრო თავისუფლად მოქმედებდნენ და **იკერ კასილიასს** სერიოზულად ემუქრებოდნენ. დედაქალაქელთა გასაჯმართლებლად ალბათ, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ **ბერნდ შუსტერს რუუდ ვან ნისტელროი** ვერ დაეხმარა. გერმანელ სპეციალისტს დიდი იმედი აქვს, რომ ჰოლანდიელი ფორვარდი განმეორებითი მატჩის წინ მწყობრში ჩადგება და "სანტიაგო ბერნაბეუზე" პირველივე წუთიდან იასპარეზებს.

მასპინძლებმა თავიდანვე დიდი ძალებით შეუტიეს. შედეგმაც არ დაახანა. უკვე მეორე წუთზე **ლუიშ ფაბიანუ** კასილიასთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბრაზილიელმა-ფორვარდმა ვერ ივარგა. რამდენიმე წუთში თავის გამოჩენის შანსი **რაულსაც** მიეცა, მაგრამ **გონსალეს ბლანკო** პატარა ბავშვივით დაიბნა და **ანდრეს პალოპს** საფრთხე ვერ შეუქმნა. ეს იყო და ეს, პირველ ნახევარში სამეფო კლუბს ღირებული აღარაფერი გაუკეთებია. სამაგიეროდ, ანდალუსიელები აქტიურად ირჯებოდნენ. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა. **სერხიო რამოსმა დუდასა** და **რენატოს** მიერ წამონყებული იერიში წესების დარღვევით შეაჩერა. **პერეს ბურული** წამითაც არ დაფიქრებულა და ხელი 11-მეტრიანი ნიშნულისკენ გაიშვირა. კასილიასი ფაბიანუსთან დუელში უძლური აღმოჩნდა. სტუმრები გონს ამის შემდეგაც ვერ მოეგნენ. წესით, მათ შუახაზი და თავდასხმა უნდა გაეძლიერებინათ, მაგრამ შუსტერის ბიჭებმა ეს ვერ შეძლეს. ტაიმისთვის განკუთვნილი დრო ინურებოდა, ფეხბურთს კი მხოლოდ "სევილია" თამაშობდა. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე ლუიშ ფაბიანოს კიდევ ერთი 100-პროცენტიანი მომენტი მიეცა, მაგრამ ბრაზილიელმა ისევ ვერ ივარგა.

მეორე ნახევარში მადრიდელები ოდნავ გააქტიურდნენ, თუმცა უპირატესობა მაინც "სევილიის" მხარეს რჩებოდა. შუსტერმა სიტუაციის გამოსწორების მიზნით მოედანზე **ჟულიო ბაპტიშტა** შეუშვა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პრობლემა არა იმდენად თავდასმაში, არამედ ნახევარდაცვაში იყო საძიებელი. **გუტი** ძალიან შორსაა სასურველი კონდიციებისგან. **ხოსე მარია** ვერც მოწინააღმდეგეთა იერიშების ჩაშლას ახერხებდა და ვერც საკუთარი გუნდის შეტევებს უყრიდა საფუძველს. არადა, მას ფუნდამენტური როლი ჰქონდა დაკისრებული. მადრიდელთაგან ყველაზე სასარგებლოდ **რობინიო** ირჯებოდა, თუმცა **ხუანდე რამოსის** დროული რეაგირების წყალობით, ანდალუსიელებმა ბრაზილიელის გაუვნებელყოფა შეძლეს. რობინიოს სევილიელები მოედნის საკუთარ ნახევარზეე ავიწროებდნენ. ამასობაში, 64-ე წუთიც დადგა. შეცვლაზე მცირე ხნის წინ შესული **ხავიერ სავიოლა** საჯარიმოში ნაიქცა. სტუმრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ არგენტინელი წესების დარღვევით შეაჩერეს, თუმცა მსაჯმა მათი ღაღადი, რა თქმა უნდა, არ შეისმინა.

საფინალო სასტვენის მოახლოვებასთან ერთად სამეფო კლუბი მნიშვნელოვნად გააქტიურდა. შუსტერის შეგირდები მთელი გუნდით წინ წავიდნენ და **პალოპს** არაერთი თავსატეხი გაუჩინეს. სერიოზული მცდელობების მიუხედავად, "რეალმა" ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო. არადა, **მაჰამადუ დიარასა** და რობინიოს ფანტასტიკური შანსი მიეცათ. ისინი პალოპის ჯადოქრობის წინაშე უმწეონი იყვნენ. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, "სევილიამ" გამარჯვებას სრულიად სამართლიანად მიაღწია.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულ მთავარ მწვრთნელებს აბსოლუტურად განსხვავებული განწყობა ჰქონდათ, თუმცა ორივე სპეციალისტს ერთი რამ აერთიანებდა. რამოსიცა და შუსტერიც მიიჩნევენ, რომ სუპერთასის მფლობელის ვინაობა "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაირკვევა. თავდაპირველად თქვენს სამსჯავროზე ანდალუსიელთა დამრიგებლის განცხადებას გამოვიტანთ: *"ვფიქრობ, განმეორებითი შეხვედრის წინ გარკვეული უპირატესობა მოვიპოვეთ. ყოველ შემთხვევაში, სამეფო კლუბს ერთი ბურთით ვუსწრებთ. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ სუპერთასის მფლობელის ვინაობა გარკვეულია. პირიქით, ყველაფერი მადრიდში გადაწყდება. ბიჭების თამაშით კმაყოფილი დავრჩი. ახლა, როცა სეზონისთვის გამალებით ვემზადებით, სრულყოფილებაზე საუბარი დიდი სისულელე იქნება. ფიზიკური თვალსაზრისით, გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. ეს არ არის გასაკვირი, რადგან პრეტემპორადა ჯერ არ დასრულებულა. დაღლილობამ მეორე ტაიმის ბოლოს იჩინა თავი. საბედნიეროდ, გოლი არ გაგვიშვია. სხვათა შორის, იმის რეალური შესაძლებლობაც გვქონდა, რომ პირიქით, ჩვენ გაგვეზარდა ანგარიში, თუმცა აღარ გაგვიმართლა. მხოლოდ ლუიშ ფაბიანუს სამი ფანტასტიკური მომენტი მიეცა. მჯერა, "სანტიაგო ბერნაბეუზე" კარგად ვითამაშებთ და სეზონის პირველ ტიტულს დავეუფლებით."*

ბერნდ შუსტერი დამწუხრებული იყო, მაგრამ ოპტიმიზმს მაინც არ ჰკარგავდა: *"ვიცოდი, რომ შუახაზში გუტისა და დიარას სახით ორი საყრდენი ნახევარმცველის დაყენებით, შეტევაში ძალა მოგვაკლდებოდა, მაგრამ იმედი მქონდა, რობინიოსა და რაულს უკნიდან დავეხმარებოდით. პრინციპში, გუნდი სწორედ ამ ტაქტიკური მონახაზით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ ჯერაც ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი. წაგება, რა თქმა უნდა, ყოველთვის მტკივნეულია, მაგრამ პრაგმატულად თუ ვიმსჯელებთ, დავასკვნით, რომ დღეს კატასტროფული შედეგისთვის არ მიგვიღწევია. გამარჯვებულის შესახებ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩატარებული მატჩის შესახებ შევიტყობთ. დიდი იმედი მაქვს, რომ იმ შეხვედრაში ვან ნისტელროიც გვეყოლება. გულშემატკივრებს ვპირდები, საპასუხო პაექრობაში თავს დავდებთ და ყველაფერს ვიღონებთ, რათა სუპერთასი ჩვენს მუზეუმში დავაბინავოთ."*

შუსტერმა თავად აღნიშნა, რომ ორი საყრდენი ნახევარმცველის გამოყვანაში საფრთხეს ხედავდა. თავს უფლებას მივცემთ, ერთ გარემოებას ხაზი გავუსვათ: გერმანელმა სპეციალისტმა მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის დღეს განაცხადა, **კაპელოს** სტრატეგია წარსულში დარჩება, შეტევის გაძლიერებისა და სანახაობრივი ფეხბურთის ხარისხის გაზრდის მიზნით, მხოლოდ ერთი საყრდენი ნახევარმცველით ვიასპარეზებთო. დასკვნების გამოტანა თავად შეგიძლიათ, შუსტერი პირობას ჯერჯერობით, არ ასრულებს.

ლუიშ ფაბიანო იტანს პენალტს მადრიდელთა კარში

გერმანია ბალაკის გარეშე

მიხაელ ბალაკი ინგლისისა და გერმანიის ნაკრებების ახსნაგურმატჩზე გამოტოვებს. შეხვედრა 22 აგვისტოს უემბლიზე უნდა ჩატარდეს. ეს ინგლელი 29 წლის ნახევარმცველს კოჭის ტრავმა აქვს. მას პრემიერლიგის რამდენიმე ტურის გამოტოვებაც მოუწევს. ექიმებს უჭირთ იმის თქმა, თუ როდის დაუბრუნდება გერმანელი ვარსკვლავი მინდორს. ბუნდესნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვმა** განაცხადა, რომ მისთვის ბალაკის ტრავმის შესახებ ცნობილია და ინგლისთან თამაშის გეგმას მის გარეშე აწყობს: *"სამწუხაროა, რომ ისევ ვერ ვარჯიშობს. თუ ის 100 პროცენტით არ გამოჯანმრთელდება, მისი დატვირთვისგან თავს შევიკავებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვწუხვარ, რომ ამ დონის მატჩი ჩვენი კაპიტნის გარეშე ჩაივლის."*

ლუალუა: პორტსმუთიდან ოლიმპიაკოსში

ლომანა ლუალუა "პორტსმუთიდან" "ოლიმპიაკოსში" გადავიდა. კონგოელმა თავდამსხმელმა ბერძნებთან სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. კლუბებს ტრანსფერის დეტალები არ გაუხმაურებიათ. ბერძენი ჟურნალისტების მტკიცებით, "ოლიმპიაკოსმა" 4 მილიონი ევრო გადაიხადა, ფეხბურთელს კი წლიურად 1 მილიონ ევროს დაუნიშნავს. 26 წლის ლუალუამ კარიერა "კოლჩესტერში" დაიწყო, 2000 წელს "ნიუკასლში" გადავიდა, 2004 წელს კი - "პორტსმუთში", სადაც 91 მატჩში 19 გოლი გაიტანა. "ოლიმპიაკოსი" "რეინჯერსის" ყოფილ ცენტრალურ მცველ **სოტირიოს კირიაკოსსაც** ეპატიჟება. ეს უკანასკნელი ამჟამად ფრანკფურტის აინტრახტში თამაშობს. უცხოეთში წასვლამდე კი პირეოსელთა დაუძინებელი მეტოქის, "პანათინაიკოსის" ღირსებას იცავდა.

ჩელსი

ალვეში, მხოლოდ გონივრულ ფასად

ალექსმა ლონდონელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

ჟოზე მოურინიო დანიელ ალვეშის სანაცვლოდ არარეალურ თანხას არ გადაიხდის. სევილიელთა ბრაზილიელი ლეგიონერი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა მცველადაა მიჩნეული. "არისტოკრატებს" სწორედ ამ პოზიციის გაძლიერება სჭირდებათ. სპეკულაციები ალვეშის ჩელსიში შესაძლო ტრანსფერის თაობაზე მთელი ზაფხულის განმავლობაში არ შეწყვეტილა, მაგრამ ჯერჯერობით, შეთანხმება ვერ ხერხდება. "სევილიის" მიერ მოთხოვნილი თანხა საგრძნობლად აღემატება იმას, რომლის გადახდასაც ლონდონური გრანდი აპირებს. აი, რა თქვა მოურინიომ: *"ყოველთვის გვინდა, შემადგენლობა უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე არის. დაცვის მარჯვენა ფლანგს გაძლიერება არ აწყენდა, მაგრამ ეს არ არის ადვილი. საჭიროა კარგი ფეხბურთელის შეძენა. დანიელ ალვეში ნამდვილად კარგი ფეხბურთელია. რამდენს გადავიხდით? სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. მით უმეტეს, წარმოდგენა არა მაქვს, რამდენს ითხოვს "სევილია". ბაბათ, იმდენს, რამდენსაც სხვა გუნდები ითხოვდნენ ბოლო ორი წლის განმავლობაში. მაგრამ მინდა, მოგახსენოთ, რომ ჩვენ მხოლოდ გონივრულ თანხას გადავიხდით და არამც და არამც სულელურს. თუ ჩვენი წინადადება მათთვის მისაღები აღმოჩნდება, შევეცდებით, ტრანსფერი უსწრაფესად განვახორციელოთ. თუ არადა, რა გაეწყობა."* რა ღირს დანიელ ალვეში? ამ უქმეებზე ანდალუსიური კლუბის პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** თავმომწონედ აღნიშნა: ორი შეთავაზება უარვყავით. დაინტერესებული კლუბები ორჯერვე 30 მილიონ ევროზე მეტს გვთავაზობდნენო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ შაბათს ბრაზილიელმა მცველმა **ალექსმა** "ჩელსისთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ ენობრივი ბარიერი არ ექნება. მას, პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელის და მერე **რიკარდო კარვალიოსა** და **პაულუ ფერეირას** იმედი აქვს.

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერი

მიატოვიჩმა სნაიდერი დაითანხმა

პრედრაგ მიატოვიჩი ამსტერდამიდან დაბრუნდა. სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი ჰოლანდიაში **ვესლი სნაიდერის** ტრანსფერთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად იმყოფებოდა. პედიამ თავად ფეხბურთელთან აბსოლუტურად ყველაფერი გაარკვია, ის თანახმაა "აიაქსი" დღესვე დატოვოს და სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგდეს. თითქოს, ამით ყველაფერს წერტილი დაესვა, მაგრამ სიტუაციას ამსტერდამული კლუბის ხელმძღვანელების შეუპოვრობა ართულებს. ისინი მიატოვიჩის მიერ შეთავაზებულ თანხას, კერძოდ, 24 მილიონ ევროს არ თანხმდებიან. მათი თქმით, სნაიდერი გუნდს მხოლოდ და მხოლოდ, იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ დაინტერესებული კლუბი 30 მილიონ ევროს გადაიხდის. ამ კატეგორიული განცხადების მიუხედავად, მიმომხილველები და ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ტრანსფერი უახლოეს დღეებში გაიჩარხება. წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით ხსენებული ექსპერტები ვარაუდობენ, რომ "რეალი" თანხას მაქსიმუმ ორი მილიონით გაზრდის და საპნის ოპერას წერტილი დაესმება.

მილანი

მოტა სან სიროზე?

ბრაზილიელი ნახევარმცველი ბეგირისტაინს მკაცრად დაელაპარაკება

"მილანი" "ბარსელონას" თავს არ ანებებს. ყველამ იცით, რომ იტალიური გრანდის ხელმძღვანელები კატალონიელებს ხან **რონალდინიოს**, ხან კი **სამუელ ეტოოს** შეძენის სურვილით აწუხებდნენ. **ხოან ლაპორტამ** კოლეგებს ბოლოს გარკვევით უთხრა, ეს ბიჭები არ იყიდებიანო. **ადრიანო გალიანიმ** ამის შემდეგ ფარ-ხმალი დაყარა და განაცხადა, ბრძოლა წავაგეთო. მცირე პაუზის შემდეგ სინიორ გალიანიმ "ბარსას" ოფისში კიდევ ერთხელ დარეკა, თუმცა ამჯერად მისი ზარით ყველა გახარებული დარჩა. "მილანმა" "ბარსელონის" შეფების მიერ ტრანსფერზე დაყენებული **ტიაგო მოტას** გადაბირება გადაწყვიტა. **ჩიკი ბეგირისტაინი** მოლაპარაკებებში სიხარულით ჩაერთო, მაგრამ საქმე გართულების გარეშე ამჯერადაც არ წარიმართა. კატალონიელები ექვს მილიონ ევროს ითხოვენ, "როსონერი კი მხოლოდ ოთხ მილიონს იმეტებს. აღსანიშნავია, რომ თავად მოტას "მილანში" თამაში ძალიან უნდა. შესაძლოა, ფეხბურთელის კატეგორიულმა პოზიციამ პრობლემის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მილანელებს პირობა მისცა, რომ ჩიკი ბეგირისტაინს მკაცრად დაელაპარაკება...

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჰალათბურთი

უტევს ბენიამინ ორტნერი

ავსტრია ნოვიცკის წინააღმდეგ

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში დასრულდა სამგუნდიანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძელთა გარდა გერმანია და სლოვაკეთი მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრების 25 აგვისტოს მეტოქე ავსტრიამ ორივე მატჩი დათმო, თუმცა თავი მაინც არ შეურცხვენია.

დირკ ნოვიცკის გერმანიასთან მატჩის სანყისი 10 წუთი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. პირველ პერიოდში **სტარიჩის** მიერ ჩაგდებული 11 ქულის წყალობით ავსტრია 22:15 დაწინაურდა, მაგრამ გერმანელებმა გონს მოსვლა მეორე მეოთხედშივე მოახერხეს, მეტოქეს დიდ შესვენებამდე გადასწრეს და მატჩი მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე - 97:77.

ავსტრიელთა შორის საუკეთესო იყო **ბენიამინ ორტნერი** (16 ქულა), ხოლო გერმანელთაგან **ადემოლა ოკულაია** (23 ქულა).

მატჩის შემდეგ სტუმართა თავკაცმა **დირკ ბაუერმანმა** ავსტრიელთა მისამართით კომპლიმენტი არ დაიშურა - თანაბარი ძალის მეტოქეს ვეთამაშეთო.

სლოვაკეთთან ავსტრიელებმა ოდენ 10 ქულის სხვაობით დათმეს 82:92. თუმცა პირველი ნახევარი ამჯერადაც კარგად ჩაატარეს და 48:46 მოიგეს კიდეც. როგორც ჩანს, ჩვენს მეტოქეს მეორე ტაიმში გამძლეობა ღალატობს. გეხსომებათ, რომ შარშან საქართველოს ნაკრებმა ავსტრიას 19-ქულიანი ჩამორჩენა აღმოუფხვრა და ოთხქულიანი სხვაობით გაიმარჯვა.

ავსტრია-გერმანია	77:97

ავსტრია: **ორტნერი (16), სტასიჩი (15), ლემესიჩი (12), იადლი (10). მაიერი (7), ჰუტერი (6), კოლიკი (5), შრეინერი (4), კოლმაიერი (2).**

ელისი ცქიტიშვილის ნათქვამს იმეორებს

ესპანეთს ევროპაში საუკეთესო ჩემპიონატი აქვს



ტაირონ ელისი

საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **ტაირონ ელისი** ესპანურ "კახა სან ფერნანდოში" ისევე იმედიანად მიდის, როგორც 6 თვის წინათ **ნიკა ცქიტიშვილი**. ესპანეთის ჩემპიონმა სკიტას იმედები გაამართლა. ამის სურვილი აქვს ტაირონ ელისსაც:

"კლუბის ხელმძღვანელობას ვესაუბრე და ვიცი, რომ დიდი გუნდის შენებას იწყებს. მოხარული ვარ, რომ ასეთი კოლექტივის წევრობა მეც შემომთავაზეს. მჯერა, "კახა სან ფერნანდოს" ქომაგთა იმედებს სრულად გავამართლებ და გუნდს მაღალი მიზნების მიღწევაში დავეხმარები. ესპანეთის პირველობაზე რაღაცის მიღწევა ევროპაში საუკეთესოობას ნიშნავს, რადგან ეს ლიგა ძველ კონტინენტზე ნომერი პირველია". - განუცხადა ელისმა "ევროპა-პრესს".

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა ამჟამინდელ მდგომარეობაზეც ისაუბრა: *"ახლა საფრანგეთში საქართველოს ნაკრებთან ერთად ვვარჯიშობ და კარგ ფორმაშიც ვარ. ძალიან მინდა ქართველებს A ლიგაში გადასვლაში დავეხმარო და "კახა სან ფერნანდოს" ამაღლებული განწყობით შევუერთდე".*

რა გამოვა, ამას სექტემბერში ვნახავთ.

მეტრეველი: პირველი თვრამეტწლამდელი ევროპაში



საუკეთესო მოთამაშის პრიზი ნიკა მეტრეველს (მარჯვნივ)

პარიზში მიმდინარე NBA-ს კემპის შესახებ ინფორმაციებს ყოველდღიურად გაწვდიდით. გუშინ საზაფულო ბანაკი საზეიმოდ დაიხურა და ჩვენთან ერთად თქვენც გაგეხარდებათ, რომ კემპის ერთ-ერთი გმირი ქართველი **ნიკა მეტრეველი** გახდა. მან "გოლდენ სტეიტის", "ფინიქსის" და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდის **მიშელ პიეტრუსისგან** კემპის საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო მიიღო. პრიზი ორიგინალური გახლდათ - "სპალდინგის" ფირმის NBA-ს ბურთი პიეტრუსის ხელმოწერით.

შეგახსენებთ, რომ მეტრეველის გვერდით პარიზში იმყოფებოდა **კოკა ტომარაძე**, რომელმაც თავი არანაკლებ კარგად წარმოაჩინა. ახლა ჯერი სკაუტებზეა... თუმცა, მათ ჩვენზე უკეთ იციან, ვინ როდის იქნება NBA-სთვის მზად. რაც შეეხება ევროპელ დამკვირვებლებს, მათ ქართველებთან სამუშაო არც ჰქონიათ - მეტრეველი იტალიურ "მონტეპასკიში" წელს გადავიდა, ხოლო ტომარაძემ კატალონიურ "ბარსელონასთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა.

ახლა, ორიოდე სიტყვა პარიზის კემპის ბოლო დღეზეც ვთქვათ. იგი ცხოვრებისეული სემინარით გაიხსნა. 50 ჭაბუკ კალათბურთელს ვრცელი ლექცია წაუკითხეს, შიდსის პრევენციის შესახებ. კალათბურთელები მერხებიდან დარბაზში შეიყვანეს და კემპის ვარსკვლავთა მატჩის მონაწილეების ვინაობა გამოაცხადეს. ისინი NBA-ს მწვრთნელებმა შეარჩიეს. "ნიუ ჯერსის" ერთ-ერთი მწვრთნელი **ბრაიან ჰილი** ახალგაზრდების შემყურე აღტაცებას ვერ მალავდა: *"16-17 წლის ბიჭების კარგი გუნდი გვყავს. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ნამდვილი პროფესიონალები არიან. თითოეულ მათგანს დიდი პოტენციალი გააჩნია".*

"ოლ სტარი" ხუთმწვრთნელიანმა - **ბო აუთლო** ("ორლანდო"), მიშელ პიეტრუსი ("გოლდენ სტეიტი"), **დონ ნიუმენი** ("სან ანტონიო"), **ნილ მეიერი** და **როი უაითი** ("კლიპერსი") - თეთრების გუნდმა დიდი სხვაობით მოიგო. ვარსკვლავთა მატჩის საუკეთესოდ ფრანგი **ელიო სადიკუ** დასახელდა. ხოლო მთლიანად კემპის MVP-ს ჯილდო ჩვენიანმა რომ მიიღო, უკვე გითხარით.

საზაფხულო ბანაკის საზეიმო დახურვისას მიშელ პიეტრუსმა მონაწილეები შეაქო და დასძინა - მწვრთნელობა კალათბურთელობაზე არანაკლებ საინტერესო საქმე ყოფილაო.

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

ბაგრატიონი-თევზაძე-ცერცვაძე

ჯემალ ცერცვაძე

12 სექტემბერს საქართველოს ხელბურთის ასოციაციის რიგგარეშე ყრილობა ახალ პრეზიდენტს აირჩევს. მოგეხსენებათ, ასოციაციის პრეზიდენტი **მამუკა სხიერელი** აგვისტოს დასაწყისში გადადგა, ასოციაციის პრეზიდიუმმა კი ამის შემდეგ რიგგარეშე ყრილობის თარიღი დაადგინა.

კანდიდატურების წარდგენის ვადა ყრილობამდე ერთი თვით ადრე, გუშინ ამოიწურა. გუშინდლამდე ორმა პრეტენდენტმა გამოთქვა კენჭისყრაში მონაწილეობის სურვილი - სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტმა **ჯანსუღ ბაგრატიონმა** და ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა **თამაზ თევზაძემ**.

გუშინ გაირკვა მესამე კანდიდატის ვინაობაც - ესაა ასოციაციის კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი **ჯემალ ცერცვაძე**. წესით, მას გუშინვე უნდა წარედგინა შესაბამისი განცხადება, მაგრამ რადგან თბილისში არ იმყოფებოდა, მხოლოდ სიტყვიერად დაადასტურა თავისი სურვილი, ხოლო წერილობით ამას დღეს გააფორმებს.

ვოლეიბურთი

მსოფლიო ტური

მეცხრე ადგილზე

ნორვეგიულ კრისტიანსანდში დასრულებულ მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** მე-9 ადგილი დაიკავა. ჩვენმა ფრენბურთელებმა ბოლო შეხვედრა ჰოლანდიელებთან **დე ხრუიტერთან** და **რონ ესსთან** სამ სეტში წააგეს - 21:18, 14:21, 11:15. შედეგად, რეიტინგში 200 ქულა დაიმატეს და 5100 ამერიკული დოლარი პრემიალური თანხა მიიღეს. მორიგი ეტაპი ფინეთის ქალაქ ალანდში 14-19 აგვისტოს გაიმართება. ორივე ქართული დუეტი, გეორ-გია და **საქა-რთველო** ასპარეზობას ძირითად ბადეში დაიწყებს.

პეკინამდე ერთი წელიწადი დარჩა

პირველი გვერდიდან

- დავიწყოთ მთავარით. როგორი მდგომარეობაა სპორტულ არენებთან დაკავშირებით?

- მე ამ ექვსიოდ თვის წინათ გახლდით პეკინში და სპორტული ნაგებობების მშენებლობაში წინსვლა აშკარად თვალშისაცემია. უკვე დამთავრებული სახე მიიღო მთავარმა არენამ - ოლიმპიურმა სტადიონმა, ჩიტის ბუდის ფორმა რომ აქვს და უკვე ამ სახელით მოიხსენიებენ. დამთავრდა საწყლოსნო სახეობათა ცენტრის მშენებლობაც, რომელიც უნიკალური არქიტექტურული გადაწყვეტით გამოირჩევა (ამ უზარმაზარ ნაგებობას არ აქვს არც ერთი ფანჯარა და მასში დღის შუქი საერთოდ არ შედის).

38 ოლიმპიური ობიექტიდან 31 პეკინშია და როგორც ორგანიზატორები გვარწმუნებენ, წლის ბოლომდე ყველა მათგანი დამთავრდება. ის კი არა და, სპორტის ორ სახეობაში ტესტ-ტურნირები უკვე იმართებოდა, ერთ-ერთ მათგანში - აგვისტოს შუა რიცხვებში - ჩვენი ოლიმპიელი მშვილდოსნებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ასე რომ, ათლეტებს შესანიშნავ სპორტულ არენებზე ექნებათ საშუალება, სრულიად წარმოაჩინონ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობები.

- კარგი სპორტული შედეგების ჩვენებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორი საყოფაცხოვრებო პირობები ექნებათ სპორტსმენებს.

- 66 ჰექტარზე გადაჭიმული ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე სამუშაოები გრძელდება და მომავალი წლის გაზაფხულზე დამთავრდება. უცხოელ სტუმრებს დაათვალიერებინეს სპეციალურად ამ თარიღისთვის დამთავრებული საჩვენებელი კორპუსი. შემოთავაზებული სტანდარტები თუ იქნა შენარჩუნებული და დაცული - მივიღებთ ოლიმპიადების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ოლიმპიურ სოფელს. ნათელი ოთახები, საკმაო ფართი, კონდიცირება, ყველა აუცილებელი ნივთებითა და საგნებით უზრუნველყოფილი საცხოვრებლები და სათავსოები.

ქართული ფიჭვი ოლიმპიურ სოფელში ემზარ ზენაიშვილმა დარგო

შუაში - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი

სოფლის ხელმძღვანელობასთან სპეციალურ შეხვედრაზე დავაფიქსირეთ ჩვენი სურვილი, რომ განგვათავსონ D5 ბლოკში, რომელიც ახლოსაა სოფლის უმთავრეს კომუნიკაციებთან და სატრანსპორტო წრესთან. იმედი მაქვს, მასპინძლები შეთანხმებას არ დაარღვევენ, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაოდენობრივად ჩვენი მსგავსი დელეგაციების (65-70 კაცი) განთავსება ნაკლებად ექვემდებარება მათ სურვილებს. ასეთ და უფრო პატარა დელეგაციებს, როგორც წესი, მრავალრიცხოვანი დელეგაციების დაბინავების შემდეგ ანაწილებენ ხოლმე.

იფუნქციონირებს რამდენიმე კვების ბლოკი, კაფეები და ბარები. სოფელში ერთდროულად შეიძლება ხუთი ათასზე მეტმა კაცმა ისადილოს ან ივახშმოს. როგორც წესი, სოფელში იქნება გასართობი ცენტრები, აუზი, სავარჯიშო დარბაზები, სამედიცინო ბლოკი და ა.შ.

სხვათა შორის ოლიმპიური სოფლის გამწვანების საქმეში ჩვენც შევიტანეთ წვლილი - 8 აგვისტოს, სპეციალურ აქციაზე 201 ქვეყნის ეოკ-თა ხელმძღვანელებმა, სეოკ-ისა და საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა ფიჭვის ხეები დავრგეთ ოლიმპიური სოფლის ინტერნაციონალური ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე.

- ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოგვარდება სატრანსპორტო საკითხები.

- ყველა დიდი ქალაქის პრობლემაა საშინელი საცობები და მანქანების დიდი რაოდენობით გამოწვეული ეკოლოგიური დაბინძურება. ამ მხრივ გამონაკლისი არც პეკინია.

თუმცა ორგანიზატორები ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს პრობლემა საოლიმპიადოდ ნაწილობრივ მაინც გადაიჭრას. მომავალი წლის აგვისტოში პეკინში მანქანების რაოდენობა განახევრდება, გაიხსნება სპეციალური ოლიმპიური ხაზები და ოლიმპიური ტრანსპორტის გადაადგილება შეფერხების გარეშე მოხდება. უკვე დამუშავებულია ოლიმპიური სოფლის საშეჯიბრო და სავარჯიშო არენების სატრანსპორტო კავშირის სქემა. ანალოგიური მდგომარეობაა ჟურნალისტებისა და ოლიმპიური ობიექტებთან, სასტუმროებთან მიმართებაში. უკეთაა გადაწყვეტილი ოლიმპიური ოჯახის წევრთა სატრანსპორტო უზრუნველყოფის საკითხები. სოკ-სა და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში ყურად იღეს ეოკ-თა ხელმძღვანელების (რომელთა შორის საქართველოს ეოკ-ი ერთ-ერთი პირველი და აქტიური გახლდათ) თხოვნა და პეკინში პირველად სპორტის მინისტრებს პერსონალურად მოემსახურება ავტომანქანები.

უფრო რთულადაა მდგომარეობა ეკოლოგიის თვალსაზრისით, ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლით პეკინი მსოფლიოს ათ "საუკეთესო" ქალაქთა ჩამონათვალშია. მასობრივად მიდის გამწვანების სამუშაოები, ქალაქიდან გააქვთ სამრეწველო საწარმოები, ხოლო ისინი, რომელთა გატანა ვერ ხერხდება, ოლიმპიადისწინა პერიოდში და მისი მსვლელობისას გაჩერდებიან.

- მასშტაბის გათვალისწინებით, ბუნებრივია, დღესდღეობით ყველა საკითხი ბოლომდე მოგვარებული ვერ იქნება.

- რა თქმა უნდა. ოლიმპიადის ორგანიზატორებს ჯერ კიდევ ბევრი თავსატეხი აქვთ. სამი დღის განმავლობაში დაისვა უამრავი შეკითხვა, გამოითქვა სურვილი, რჩევა, რეკომენდაცია, იყო მოთხოვნის ტონიც, მაგრამ დროც საკმაოდ არის და ინტენსიური, გამიზნული და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ყველა პრობლემა იმ დონეზე მაინც უნდა გადაიჭრას, რომ მათ ვერ შეძლონ სერიოზულად დააბრკოლონ თამაშის მიმდინარეობა.

- და მაინც, თქვენ რაზე გაამახვილებდით ყურადღებას?

- ეოკ-ის ბევრი წარმომადგენელი შეშფოთებული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა თამაშებზე შესასვლელი ბილეთების განაწილებითა და რეალიზაციით. ბევრი ქვეყანა აღშფოთებას ვერ მალავდა - მათი თხოვნა სულ რაღაც 30-30 პროცენტით დაკმაყოფილდა. პირველ რიგში, ლაპარაკი გრანდებზეა, რომლებსაც ასეულობით სპორტსმენი ეყოლებათ და შესაბამისად, გულშემატკივართა დიდ არმიასაც იახლებენ პეკინში. სასტუმროები დაჯავშნულია, მათში თანხა უკვე გადახდილია, ხელშეკრულებები გაფორმებულია ავიაკომპანიებთან და ამ პაკეტის მთავარი შემადგენელი - ოლიმპიადის ასპარეზობებზე დასასწრები ბილეთები კი ჯერჯერობით, არ ჩანს. უპრეცედენტო შემთხვევასთან გვაქვს საქმე - არა მარტო ცალკეული ეოკ-ები, არამედ ეოკ-თა კონტინენტური ასოციაციები გამოთქვამენ პროტესტს. საქმეში თავად ჟაკ როგიც ჩაერია.

მავანნი შექმნილ მდგომარეობას ასეც კი ხსნიან: ბილეთების ფასი პეკინში შედარებით იაფია, ვიდრე ეს იყო ათენში, სიდნეისა თუ ატლანტაში და ის ხელმისაწვდომია თავად ჩინელებისთვისაც, განსაკუთრებით კი სტუდენტი ახალგაზრდობისთვის. სარეალიზაციო შვიდი მილიონი ბილეთის დიდი ნაწილის ჩინეთში დატოვებით უზრუნველყოფილი იქნება სპორტულ არენებზე ჩინელი სპორტსმენებისადმი განსაკუთრებული მხარდაჭერა. ეს სიტუაციის ახსნის მხოლოდ ერთ-ერთი ვერსიაა. მასპინძელთა მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა მდგომარეობის დასარეგულირებლად.

ჩემი აზრით, ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ეოკ-თა წარმომადგენლებისთვის ასისტენტების შერჩევისა და მათი სწავლების საკითხებში. ისინი ერთგვარი მეკავშირეები არიან ორგკომიტეტსა და ეოკ-ის დელეგაციას შორის. მათ გამართულ, პროფესიონალურ მუშაობაზე, მათი ინფორმირებულობის დონეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. შეშფოთებული ვარ, რომ თამაშებამდე წელიწადით ადრე კონტიგენტი შერჩეული ჯერ არაა. ჩემი კოლეგების დიდი ნაწილის მოსაზრებით, იქმნება სიძნელეები კომუნიკაციის მხრივ, კერძოდ, ენობრივი ბარიერის დაძლევისას.

არის სხვა საკითხებიც. ოლიმპიურ თამაშებზე მეორეხარისხოვანი და წვრილმანი საკითხები არ არსებობს. ასე რომ, თამაშების ორგანიზატორებს კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი და მჯერა, რომ საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდება.

განსაკუთრებული სიფრთხილე და მობილიზებულობა გვჭირდება დოპინგთან მიმართებაში. უკვე პეკინში თამაშებში მონაწილე თითქმის ყოველი მეორე სპორტსმენი შემოწმდება დოპინგზე - 30 პროცენტით მეტი, ვიდრე ათენში.

- ცნობილია, რომ 8 აგვისტოს სპეციალურად აღინიშნა თამაშების გახსნამდე ერთი წელიწადი.

- მართლაც ბრწყინვალედ მოფიქრებული და განხორციელებული ღონისძიება შემოგვთავაზეს მასპინძლებმა. ეს ერთგვარი სიურპრიზი გახლდათ. ადრე ასეთი ფორმით ეს თარიღი არ აღნიშნულა. ფაქტობრივად, 2008 წლის თამაშების გახსნის გენერალური რეპეტიციის მომსწრენი გახლდით. მოგეხსენებათ, აგვისტოში სოკ-ი იწყებს მოწვევების დაგზავნას ეოკ-ებისადმი ამ პროცედურის ფარგლებში. მსოფლიოში უდიდეს ტიანანმენის მოედანზე ჟაკ როგმა ზაფხულის XXIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღები მოსანვევები გადასცა საბერძნეთის, კანადის, დიდი ბრიტანეთს, რუსეთისა და ჩინეთის ეოკ-თა პრეზიდენტებს. შთამბეჭდავი იყო ღონისძიების სანახაობრივი მხარეც - ასეულობით მონაწილე, ეფექტური კოსტუმები, ტექნიკური ეფექტები და განათება, საუკეთესო შემოქმედებითი ძალები, მათ შორის ამერიკელი და შვედი ვირტუოზები, გრანდიოზული ფეიერვერკი. მოკლედ, ადვილი წარმოსადგენია, რას უნდა ველოდოთ 2008 წლის 8 აგვისტოს.

- იქნება თუ არა "ქართული სახლი" პეკინში?

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და ჩვენ ერთობლივად კარგა ხანია ვეძებთ შესაბამის ფართს, ჯერ სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ.

ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში გერმანელი და ბერძენი კოლეგების რეკომენდაციით მივიღეთ შემოთავაზება, რომელიც ჩვენცა და საელჩოს ხელმძღვანელობასაც გვაკმაყოფილებს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებების საარენდო თანხის შესახებ და თუ საერთო ენა გამოინახა, ჩვენ ჩინეთის დედაქალაქში გვექნება ისეთი "ქართული სახლი", რომელიც მართლაც რომ ეკადრება ჩვენს ქვეყანას, მის ისტორიას, დღევანდელობას, კულტურას, სპორტულ ტრადიციებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ისევე, როგორც ათენში, პეკინშიც ძალზე საქმიანი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა საქართველოს საელჩოსთან. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის ბატონ ზვიად ჭუმბურიძეს, საქართველოს ელჩს საბერძნეთში, მის ყველა თანამშრომელს. საქართველოს ელჩი ჩინეთში ბატონი მიხეილ უკლება, მისი უახლოესი კოლეგები იოსებ აბაშიძე და არჩილ კალანდია აკეთებენ ყველაფერს, რომ ჩვენს სპორტსმენებს, დელეგაციის სხვა წევრებს პეკინში პრობლემები არ შეექმნათ და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ჩვენ ათლეტებს - სრულიად წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობანი.

- დაბოლოს, თქვენეული ხედვა - ქართველები პეკინში, 2008 წლის აგვისტოში.

- სამწუხაროდ, პეკინში ცოტანი ვიქნებით. საერთოდ, ქართველები ცოტანი არიან ჩინეთის დედაქალაქში (ცნობისთვის, დღეს პეკინში ფუნქციონირებს 6 თუ 7 აზერბაიჯანული რესტორანი). მაინც რამდენი ვიქნებით? მინიმუმ 35, მაქსიმუმ 40-42 სორტსმენი, ოლიმპიურ სოფელში 65-68 კაცი, სოფლის გარეთ აკრედიტირებულთა რაოდენობა - 10-12 და ამდენივე ჟურნალისტი.

რაც შეეხება ტურისტებს, ძნელად პროგნოზირებადია, რამდენი იქნებიან ისინი. ოლიმპიადაზე დასწრება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. მომსახურების ერთი და ორკვირიანი პაკეტი შესაბამისად 5-7 ათასი აშშ დოლარი ეღირება. მაგრამ რაც უფრო ადრე დავიჭერთ თადარიგს, მით უფრო მეტი შანსია, რომ ტურისტული პაკეტები შედარებით ხელმისაწვდომი იყოს.

სხვათა შორის, ჩვენ ვგეგმავთ, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში თბილისში მოეწყოს ქართულ-გერმანულ-რუსული ტურისტული კომპანიის ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია.

რაც შეეხება პროგნოზებს, თავს შევიკავებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენ სპორტსმენებს ყველა განზომილებით ურთულესი შეჯიბრებები ელით. თავად განსაჯეთ - ინგლისურენოვანი China Daily-ს 8 აგვისტოს ნომერში გამოთქმულია ჩინელი სპეციალისტების პროგნოზი: ჩინელი სპორტსმენები სპორტის 14 სახეობაში აჩვენებენ უკეთეს შედეგს, ვიდრე ეს იყო ათენში, ცამეტში გაიმეორებენ იგივეს, რაც შეძლეს 2004 წელს და მათი ვარაუდით, მხოლოდ ერთ სახეობაშია მოსალოდნელი შედეგის გაუარესება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასპინძელთა ყულაბაში აღმოჩნდება 40-41 ოქროს მედალი, რაც სავსებით საკმარისია საერთო გუნდური პირველი ადგილისთვის.

ოლიმპიური მედლების განაწილების პროგნოზირებისას თავიანთ სასარგებლოდ არანაკლებ დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავთ ამერიკელებს, რუსებს, გერმანელებს, ავსტრალიელებს, ინგლისელებსა და სხვებსაც. თავად განსაჯეთ, რამდენად რთული იქნება პეკინში წარმატების მიღწევა.

ესაუბრა
კახა ბერიძე

ძიუდო

ბრაუნშვაიგში ვერაფერი გაირკვა

ლევან წიკლაური

ამ უქმეებზე გერმანულ ბრაუნშვაიგში ჩატარებულ "გერმანიის თასზე" ქართველმა ძიუდოისტებმა თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ეს ტურნირი ჩვენი ნაკრებისთვის საეტაპო გახლდათ - საშეჯიბრო პრაქტიკა უნდა მიეღოთ იმათ, რომლებმაც უკვე გაინაღდეს სექტემბერში, ბრაზილიაში, მსოფლიო პირველობაზე გამოსვლა; უნდა გამოვლენილიყვნენ ამ ტურნირის მონაწილენი იმ ორ წონით კატეგორიაში, სადაც კონკურენცია აქამდე გადაუჭრელი რჩებოდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ოქროს მედალი არა ამ კანდიდატთაგან რომელიმემ, არამედ აქამდე თითქოს სრულიად უამბიციო **ლევან წიკლაურმა** (81) მოიპოვა, ვერცხლი კი **ზაზა კედელაშვილმა** (73) იგრუნა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოზე გამოსვლის უფლება **ნესტორ ხერგიანმა** (60), **ზაზა კედელაშვილმა** (66), **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90), **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) და **ლაშა გუჯეჯიანმა** (+100) მოიპოვეს. ჯერჯერობით გაურკვეველია 81-ისა და აბსოლუტურის მონაწილეთა ვინაობა. აი, სწორედ ამ წონებში უნდა გარკვეულიყვნენ ლიდერები, მაგრამ კონკურენტთა სუსტი გამოსვლის გამო ხაბარელმა კვლავაც ვერაფერი გაარკვია. მართალია, 81-ში წიკლაურმა დამაჯერებლად იჭიდავა და ჩინებული სტატისტიკური მაჩვენებლებით იმარჯვა - 6-დან 5 შეხვედრა წმინდად მოიგო, მაგრამ ასე ერთი ტურნირით, მსოფლიო ჩემპიონატზე წაყვანა მართლაც დიდი რისკია და მწვრთნელი არც ჩქარობს. როგორც სატელეფონო საუბარში ხაბარელმა გვითხრა, იგი საბოლოო გადაწყვეტილებას 2-3 დღეში, მწვრთნელთა საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ მიიღებს.

ხაბარელი ტაილანდში მიმდინარე მსოფლიო უნივერსიადაზე მძიმეწონოსან **ადამ ოქრუაშვილის** გამოსვლასაც ელოდება (ძიუდოისტთა ასპარეზობა დღეს იწყება) და აბსოლუტურ პირველობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, აქაც გუჯეჯიანი აჭიდაოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ოქრუაშვილი იმედებს ვერ გაუმართლებს.

როგორც გითხარით, წიკლაურმა ტურნირი შთამბეჭდავი სტატისტიკური მაჩვენებლებით და ჩინებული შედეგით დაამთავრა. მან ქულებით მხოლოდ ნაკლებადცნობილ ბელგიელ **ტიმ ვან გლაბეკეს** მოუგო, თორემ რუმინელი **ვალერიუ დუმინიკა,** რუსი ევროპის ჩემპიონი (ოლონდ 73-ში) **სალამუ მეჯიდოვი,** საკმაოდ გამოცდილი ფრანგი **ანტონი როდრიგესი,** ნახევარფინალში მასპინძელი **ნიკ ჰაინი** და ფინალში შვეიცარიელი **კრისტოფ კელერი** სუფთად დაჯაბნა.

ამ წონაში მსოფლიოზე წასვლის კანდიდატებად **საბა გავაშელიშვილი** და **გიორგი ბაინდურაშვილი** მიიჩნეოდნენ, მაგრამ დიდად ვერ იყოჩაღეს. განსაკუთრებით, გავაშელიშვილმა, რომელიც ადრევე გავარდა, ბაინდურაშვილი კი მეცხრეზე გავიდა. ბაინდურაშვილი მეოთხედფინალში სწორედ ზემოხსენებულ გერმანელ ჰაინისთან გაფრთხილებებით დამარცხდა, მანამდე კი აქტივში ძლიერ პორტუგალიელ **ჟოაო ნეტოსთან** სუფთა მოგება მიითვალა. თუმცა ეს მისი ერთადერთი იპონი აღმოჩნდა - ბრიტანელ **ტომ რიდს** და რუს **სირაზუდინ მაგომედოვს** ქულებით მოუგო. სამწუხაროდ, **ჰაინთან** ნაგება მისთვის იმდენად დამთრგუნველი აღმოჩნდა, ვერც სანუგეშოში მოიკრიბა ძალები და პირველივე ბრძოლა ფრანგ **ანტონი ფრიჩთან** ვაზარით დათმო.

გავაშელიშვილმა სულ სამი ბრძოლა გამართა და მხოლოდ ერთი მოიგო. მართალია, უძლიერეს ფრანგ **დანიელ ფერნანდესთან** და ისიც იპონით, მაგრამ ფრანგი მაინც 73-ის მოჭიდავეა და აქ დროებით იჭიდავა. ჩვენებური მეორე შეხვედრაში შვეიცარიელ ფინალისტ კელერთან დამარცხდა, მერე კი სანუგეშოში გერმანელ **სვენ მარეშთანაც** წააგო.

ხაბარელმა ამ წონაში შექმნილ მდგომარეობაზე საუბარს თავი აარიდა, თუმცა გარკვეული დასკვნების გამოტანა ამ შედეგებიდანაც შეიძლება. სავარაუდოდ, გავაშელიშვიილს შანსები მნიშვნელოვნად შემცირდა. ჩემპიონობის მიუხედავად, რეალური კანდიდატი არც წიკლაური გვგონია. ხაბარელმაც განაცხადა, რომ ასე, ერთი ტურნირის შედეგებით, გადაწყვეტილების მიღება ძნელია და მწვრთნელს სავსებით ვეთანხმებით. წიკლაური საქართველოს ნლევანდელი პირველობის მესამე პრიზიორია, მაგრამ საერთაშორისო არენაზე წარუმატებლობა ტვირთად აწევს. თან, არც ეს ტურნირი გამორჩეოდა სიძლიერით - ჩვენის არ იყოს, მას სხვებიც მოსამზადებლად იყენებენ.

ერთი შეხედვით, ბაინდურაშვილი ურიგოდ არ გამოსულა, მაგრამ მწვრთნელი მისი ჭიდაობის ხარისხით ვერაა კმაყოფილი. მოკლედ, გერმანულმა ტურნირმა ხაბარელს საფიქრალი უფრო მოუმატა, არათუ მოაკლო.

კედელაშვილს ისედაც წონის პრობლემა აწუხებს და ამიტომ ხაბარელმა ახლა არ დააკლებინა - სავარაუდოდ, ეს მსოფლიოს წინ ისედაც მოუწევს. უჩვეულო წონის მიუხედავად, ევროპის ორგზის ჩემპიონმა დაამტკიცა, რომ ფორმაშია. მან ავსტრიელი **ჰერმან ჰოლვარტი** და რუსი **დმიტრი მიაკინინი** იპონებით დაამარცხა, ლატვიელ **გატის მილენბერგს** ვაზარით აჯობა, ჩეხი **ტომაშ მუზიკი** და ამერიკელი **ჩაკ ჯეფერსონი** ქულებით დაამარცხა, ფინალში კი ყაზახ **რინატ იბრაგიმოვთან** წმინდად წააგო. ამის მიუხედავად, მან თავისი მისია შეასრულა - სასტარტო ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარა და საკუთარი ძლიერი მხარეები კიდევ ერთხელ წარმოაჩინა.

რაც შეეხება მძიმე წონას, აქ **ხანჯალიაშვილი** პირველივე შეხვედრაში ორთაბრძოლის მინურულს შებოჭვით დამარცხდა მასპინძელ **სებასტიან ბერთან** და რაკი ნახევარფინალში ვერც ეს გავიდა, ტურნირიდანაც გავარდა. გუჯეჯიანი ცოტა უფრო შორს წავიდა - ფრანგ **იან სებასტიან ბონვუაზენთან** და ჰოლანდიელ **ნიკო კანინგთან** იპონებით მოგების შემდეგ უნგრელ **ბარნა ბორთან** დამარცხდა. ხაბარელის თქმით, უნგრელი მას ტრადიციულად ეუხეშა - ფეხი მიარტყა და ატკინა, მაგრამ ისიც შემაშფოთებელი ფაქტია, რომ ქართველი მძიმეწონოსნები ამ არცთუ ძლიერ უნგრელთან დასაშვებზე მეტად მარცხდებიან. თუმცა ტრავმის გამო ხაბარელმა არც სანუგეშოში გარისკა გუჯეჯიანის გაყვანა და გერმანელ **ანდრეას ტოლცერთან** არ აჭიდავა.

პატარა სიურპრიზი შემოგვთავაზა **ბეთქილ შუკვანმა** (60), რომელიც მეხუთეზე გავიდა. მან ქვეჯგუფი სულ იპონებით მოიგო - მასავით ახალბედა რუს **არტურ მუსლიმოვთან,** პორტუგალიელ **პედრო ჟაცინტოსთან** და საკმაოდ გამოცდილ ლატვიელ **დენის კოზლოვსთან**. მერე ზედიზედ ორჯერ დამარცხდა - ჯერ ნახევარფინალში ავსტრიელ ევროპის ჩემპიონ **ლუდვიგ პაიშერთან,** მერე კი სანუგეშოს ფინალში გამოცდილ ყაზახ **სალავატ უტარბაევთან.**

ასევე მეხეთეზე გავიდა ჩვენი გუნდის კიდევ ერთი ლიდერი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე,** რომელიც მწვრთნელებმა ამჯერად 100-ში აჭიდავეს. უტიტულო, მაგრამ გამოცდილი ავსტრიელი **ფრანც ბირკფელნერის** ორჯერ ვაზარზე დასაგდებად 1 წუთზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა. მერე ვაზარზე რუსი ევროპის ჩემპიონი **რუსლან გასიმოვიც** დააგდო, ფინელ **რაული კერპენენს** ქულებით აჯობა, მეოთხედფინალში კი თავად დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, ჰოლანდიელ **ჰენკ გროლთან. ცირეკიძემ** სანუგეშოში აზერყბაიჯანელი **ფარიზ რამიზზადაც** სუფთად დააგდო, მერე მძიმე ბრძოლაში სლოვაკ **ზოლტან პალკოვაჩსაც** მოუგო, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი იპონით დამარცხდა გერმანელ ოლიმპიურ პრიზიორ **მიხაელ იურაკთან**.

ძირითად ბადეში სწორედ იურაკმა დაგვიმარცხა ამ წონაში ჩვენი ნაკრების ლიდერი **ლომერ ჟორჟოლიანი** და ისიც წმინდად. მანამ ჟორჟოლიანმა უტიტულო ფინელ **ტომი იაკოლასთან** მოგების გარდა, ძლიერ ფრანგ **სირილ მარეტთან** მოგებაც მიითვალა, თუმცა სანუგეშოში პირველივე შეხვედრა დათმო უკრაინელ **კირილ ვოლოვიკთან**.

66 და 90 კილოგრამ წონით კატეგორიებში ჩვენგან არავის უჭიდავია, ხაბარელმა კი ლიდერთაგან მცირე ტრავმების გამო **ნესტორ ხერგიანი** და **დავით ქევხიშვილი** დაასვენა.

ირაკლი თავაძე

ხასაიპ, ბედინაძე და...

ანტიკური ჭიდაობა. ამ უქმეებზე რუმინულ ბრაშოვში ჩატარებულ იონ კორნეანუს მემორიალზე წარმატებით იჭიდავა **ბადრი ხასაიამ**, რომელიც 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა. ფინალამდე **დავით ბედინაძეც** (66) მივიდა, თუმცა იქ დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. სამწუხაროდ, ჩვენებურთა გამოსვლის შესახებ გუშინ მეტი ვერაფერი შევიტყვეთ. ეს ჩვენი ნაკრების ბოლო შეჯიბრება იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

ჭადრაკი

ლევან არაშიძე

არმაგედონი არ დასჭირდათ, არაშიძე მეორე ადგილზეა

გასულ უქმეებზე ესპანეთში კიდევ ერთი საჭადრაკო ტურნირი დასრულდა. აქ ქართველი დიდოსტატი **ლევან არაშიძე** თამაშობდა. შეჯიბრება ქალაქ ბადალონაში მიმდინარეობდა. ქართველის ასპარეზობას თვალყურს ტურნირის ოფიციალური საიტის მეშვეობით ვადევნებდით და ცხადია, იქ მოყვანილ ცნობებს ვეყრდნობოდით. საიტი გვამცნობდა, რომ ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად იმართებოდა, ყოველგარი დამატებების გარეშე. აღმოჩნდა კი - სხვაგვარად: მოჭადრაკეებს შვეიცარული სისტემით 6 ტურად უთამაშიათ; აქედან 8 საუკეთესო აურჩევიათ და ერთმანეთის პირისპირ განთესვით დაუსვამთ: პირველი - მერვესთან; მეორე - მეშვიდესთან და ა.შ. გამარჯვებულებმა ოთხეული შეადგინეს, ნახევარფინალის მომგები ფინალში გავიდა, დამარცხებულებმა კი მესამე ადგილი გაითამაშეს.

საკმაოდ უცნაური სისტემა კი გახლავთ, მაგრამ გაურკვეველი არაფერია, თუკი სწორად მიანიშნებს კაცი; ოფიციალურ ვებგვერდზე კი ბოლო სამი დღის შედეგებს კი ისე გვაწვდიდნენ, თითქოს მორიგი სამი ტური გათამაშდა.

შევნიშნავთ რომ რჩეული რვეულის თამაშები სწრაფ ჭადრაკში ჩატარდა, სადაც მხარეებს 10 წუთი ჰქონდათ მთელ პარტიაზე, ყაიმის შემთხვევაში ორ 3 წუთიან პარტიებს თამაშობდნენ; თუ აქაც ვერ გამოვლინდებოდა უძლიერესი, "არმაგედონად" წოდებული პარტია დაინიშნებოდა, რომელშიც თეთრებს 6 წუთი მიეცემოდათ, შავებს კი - 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე ცხადდებოდა.

"არმაგედონით" გამარჯვება არავის დასჭირვებია, თუმცა სამწუთიან პარტიებამდე კი მიაღწია ზოგმა ორთაბრძოლამ და მათ შორს ლევან არაშიძისაც იყო. ლევანმა ფინალამდე მიაღწია, რაც უკვე შესანიშნავი შედეგი გახლდათ; შეეძლო პირველობაც რგებოდა, მაგრამ ახალგაზრდა პოლონელ საერთაშორისო ოსტატ **ზბიგნევ პაკლეჟასთან** დამარცხდა. ლევანი ჯერ კლასიკურ პარტიაში შეხვდა პაკლეჟას თეთრებით და ყაიმით ითამაშა. ფინალშიც 10 წუთიან პარტიებში თანაბრობა აღინიშნა და მხოლოდ სამწუთიანში დამარცხდა. პაკლეჟა 21 წლის არის, არაშიძე კი - 22-ის. ასე რომ, ახალგაზრდების ტრიუმფით დასრულდა ჩემპიონატი.

ლევანმა და ესპანეთში მყოფმა ქართველმა გოგონებმა ორდღიან ბლიც-ტურნირშიც მოასწრეს თამაში და დღეს უკვე ქალაქ ბანიოლესში გაემგზავრნენ, სადაც ხვალიდან ჯერ ერთ ტურნირში ითამაშებენ, სადაც 25-წუთიანი პარტიები გათამაშდება, შემდეგ კი კლასიკურ ჭადრაკში მიმდინარე შეჯიბრებაში მოსინჯავენ ძალებს.

12 ქართელი რომ საბერძნეთის კურორტ კავალაში ასპარეზობს, ესეც კარგად მოეხსენება მკითხველს. დღეისთვის საბოლოო შედეგები ამ ტურნირიდანაც უნდა მოგვეწოდებინა, მაგრამ ინფორმაცია აგვიანებს და მხოლოდ მეშვიდე და მერვე ტურის შედეგებს გაგაცნობთ.

მეშვიდე ტური: თამაზ გელაშვილი - ბასილოს კოტრონია - 0,5:0,5; ვლადიმერ პეტკოვი - თორნიკე სანიკიძე 0,5:0,5; გიორგი მარგველაშვილი - დანილო მილანოვიჩი - 0,5:0,5; ნანა ძაგნიძე - მირჩა პარიგარასი - 0,5:0,5; ზოქაათ განე - ნიკოლოზ შავთვალაძე - 0,5:0,5; ბაჩანა მორჩიაშვილი - ილაჰა კადიმოვა - 1:0; სოფიკო ხუხაშვილი - ილარონ დორფანისი - 1:0; სალომე მელია - ლაზარის გამნოპულოსი - 1:0; დიმიტროს კაფორისი - ივერი ჭილაძე - 0:1; იულია მაკა - ნიკოლოზ მანაგაძე - 0:1; სალომე ხაჟომია - ოვიდიუ ფოიშერი - 0:1; პანაგა სპიროსოპულოსი - ელისაბედ ზარქუა - 0:1.

მერვე ტური: მიროშ პერენოვიჩი - გელაშვილი - 0,5:0,5; ათანას კოლევი - მარგველაშვილი - 0,5:0,5; ელიკო იერემიცი - სანიკიძე - 0,5:0,5; ალექსანდრ გრაფი - მორჩიაშვილი - 0,5:0,5; ვასილ სპასოვი - ძაგნიძე - 0,5:0,5; მირჩა პარლიგასი - ხუხაშვილი - 1:0; ჭილაძე - სლავოლიუბ მარნოვიჩი - 0,5:0,5; შავთვალაძე - თომას ვილემზე - 0,5:0,5; მანაგაძე - მელია - 0,5:0,5; ზარქუა - იულია მაკა - 0:1; პანაგიოტის ჰომაგილოსი - ხაჟომია - 0,5:0,5.

მეცხრე ტურში: გელაშვილი (6) - მომჩილ ნიკოლოვი (ბულ. 6), მორჩიაშვილი (5,5) - ათანას კოლევი (ბულ. 5,5), სანიკიძე (5,5) - მირჩა პარლაგასი (5,5), მარგველაშვილი (5,5) - ელიკო იერემიცი (სერ. 5,5), ძაგნიძე (5) - ალექსანდრ გრაფი (5); მელია (5) - ვასილ სპასოვი (ბულ. 5), ვლადიმერ პეტკოვი (ბულ. 5) - შავთვალაძე (5), თომას ვილემზე (ჰოლ. 5) - ჭილაძე (5), მარია ველჩევა (ბულ. 4,5) - მანაგაძე (4,5), ხუხაშვილი (4,5) - ეკატერინა ფახირიდუ (საბ. 4,5), ხაჟომია (3,5) - იოანეს ფრაგოლადისი (საბ. 3,5), ალექსანდროს ისკოსი (საბ. 3) - ზარქუა (3).

ზვიად შათირიშვილი

უნივერსიადა

ფარიკაობა

ალბრეხტმა დაასრულა

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში მიმდინარე უნივერსიადაზე, რომელიც 8 აგვისტოს დაიწყო, ქართული დელეგაციიდან პირველი ასპარეზობაში მოფარიკავე **ანზორ ალბრეხტი** ჩაერთო. ანზორი კენჭისყრით მე-7 ჯგუფში მოხვდა, სადაც ექვსი ორთაბრძოლიდან სამი მოიგო და სამშიც დამარცხდა. ქართველმა მუშკეტერმა კორეელი კვეონ იუნგ ჩანი (4:3), ესპანელი მარიუს ალვარადო (5:4) და ფინელი ოლი-მატი კარჰუნენი (5:3) დაამარცხა, მაგრამ დამარცხდა ჩინელ ლი ციანთან (0:5), ჩეხ იაკუბ ამბროზისთან (2:5) და უნგრელ ტომაშ პადართან (4:5). საბოლოოდ ჯგუფში ალბრეხტმა მე-5 ადგილი დაიკავა, რაც პლეიოფში, სამოცდამეოთხედფინალში საასპარეზოდ საკმარისი აღმოჩნდა.

აქ ალბრეხტის მეტოქე უკრაინელი ვიტალი მედვედევი იყო, რომელმაც ჩვენებური 15:8 დაამარცხა და შეჯიბრებას გამოთიშა.

დღეიდან ასპარეზობაში ქართველი ძიუდოისტებიც ჩაერთვებიან. რაც შეეხება მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს, ისინი 15-16 აგვისტოს მრავალჭიდში იასპარეზებენ, 17 აგვისტოს კი ცალკეულ სახეობებში ფინალები გაიმართება.

ბესიკ ჯანგავაძე

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ ᲰᲘᲢᲘ

ᲰᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ?!

ᲐᲚᲐᲜ ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ ᲫᲐᲜᲒᲡ ᲓᲐᲚᲐᲡᲨᲘ ᲛᲝᲘᲨᲝᲠᲔᲑᲡ

ᲰᲔᲜᲘ ᲰᲐᲠᲓᲔᲕᲘᲐᲜᲘ

ᲡᲘᲑᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘᲪ რომ სათანადოდ სცემენ, ბოლო ორი დღის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმაც დაგვანახა.

გრანტ ჰილთან ერთად, ზელიგის მომავლად და სახედ მიჩნეულმა **პენი ჰარდეევიმ** ზღვა ტრავმის გამო ნელ-ნელა ფასიც დაკარგა და მნიშვნელობაც, თუმცა, როგორც ჩანს, ეს "მაიამი ჰიტისთვის" ბევრს არაფერს ნიშნავს. ფლორიდელებმა უკანახაზელს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, რომლის ფინანსური მხარეც არ გამხელილა.

36 წლის ჰარდეევი დარწმუნებულია, რომ ახალი გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.

"პროფესიონალი პროფესიონალია, მე კი საკუთარ თავს პროფესიონალად მივიჩნევ", - აი, ასე ლაკონურად და მრავლისმთქმელად დაიწყო პრესკონფერენცია პენიმ, რომელიც ახალ გუნდში თავის ძველ ძმაკაცს, მერე მომდურებულ, ახლა კი ისევ ჩაძმაკაცებულ **შაკილ ონილს** შეუწყვილდება.

"შაკთან პრობლემა არასოდეს მქონია. ეს მხოლოდ ჟურნალისტებმა მოროშეს, თითქოს მისი "ლეიკერსში" გადასვლა არ მესიამოვნა. მე "ორლანდოში" დარჩენა მსურდა, შაკს კი გარემოს შეცვლა ერჩივნა. ასე რომ, "ლეიკერსში" მისი გადასვლა არც მწყენია და არც გამხარებია. მთავარია, ახლა ერთად ვართ და ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ", - ამბობს ჰარდეევი.

კალათბურთის, მეტადრე კი ამ მობერებული კაცის ქომაგებს შეგახსენებთ, რომ პენი და შაკი 90-იანების დასაწყისში დიდი პერსპექტივის მქონე "ორლანდო მეჯიქის" წევრები იყვნენ, სადაც მათ გარდა ძალიან კარგი გამთამაშებელი, დღეს კი "ჩიკაგო ბულზის" მთავარი მწვრთნელი **სკოტ სქაილზი**, კარგი ფორვარდი **ნიკ ანდერსონი**, მერე და მერე კი **ჰორას გრანტი** თამაშობდნენ. იმ გუნდმა ეტაპობრივი პროგრესი გაიარა და 1995-ში სუპერ-ფინალშიც გავიდა, სადაც **ჰაკიმ ოლაჯუონის** "ჰიუსტონთან" მშრალად შერცხვა.

ჰარდეევის კარიერაში რეგულარულში 668 მატჩი აქვს ჩატარებული, რომლებშიც იგი საშუალოდ 15.4 ქულას, 5.1 შედეგიან გადაცემასა და 4.5 მოხსნას აგროვებდა.

"მისი დამატებით არაფერს ვკარგავთ და ასე მგონია, რომ საფლეიოფო გამოცდილებას ვიმატებთ", - მიაჩნია "ჰიტის" ვარსკვლავ **დუეინ უეიდს.**

ჰარდეევის ამბავი გადაწყვეტილია, კიდევ ერთი ბებერი, მისი კბილა **ალან ჰიუსტონი** კი ვეტერანისთვის განკუთვნილი მინიმალური კონტრაქტით სავარაუდოდ, "დალას მავერიქსში" ეცდება გუნდისთვის ხეირის მოტანას.

ჰიუსტონი "ნიუ იორკისგან" 6 წლის წინათ გაფორმებული კონტრაქტით წლიურად ახლაც 14 მილიონს იღებს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ალანს უკვე რახანია, არ უთამაშია.

"ჰიუსტონი გვჭირდება და მგონი, იგიც არ უნდა იყოს ჩვენთან თამაშის წინააღმდეგი. მოდით, ამ გარიგებას ბედნიერი ქორწინება ვუწოდოთ", - გაიხუმრა "დალასის" მეპატრონე **მარკ კიუბანმა**.

ვნახოთ, სიბერე და ამბიცია ერთმანეთს როგორ შეავსებს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲛᲔᲛᲤᲘᲡ ᲒᲠᲘᲖᲚᲘᲡᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘ

"ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲡᲞᲣᲠᲡᲘᲡ" ყაიდაზე გუნდის ჩამოყალიბებით, დამდეგ რეგულარულში ევროპაში ზღვა ფანი "მემფისსაც" ეყოლება. "გრიზლისის" ევროპულ რელსებზე გადასვლა გუნდს ბებერ კონტინენტზე ფანობას მოუმრავლებს თუმცა გუნდის ბოსებისთვის მთავარი მაინც უშუალოდ სპორტული და არა მარკეტინგული მხარეა. ამ მხრივ კი, "მემფისის" გასნვრივ უამრავი კითხვის ნიშანია.

არის თუ არა "გრიზლისი" საფლეიოფო გუნდი, თუ ზემძლავრ დასავლეთში ეს სიმპათიური შემადგენლობაც დაიკარგება?

"მემფისის" სუპერვარსკლავი **პაუ გასოლი** 90%-ით აღარსად გადავა, რადგან მას გვერდით კიდევ ერთი ესპანელი, პაუს ძმაკაცი და თანანაკრებელი **ხუან კარლოს ნავარო** დაუყენეს.

არადა, ნავაროს ტრანსფერამდე თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო ევროპელს "ნიუ ჯერსი" წაიყვანდა, სანაცვლოდ კი "მემფისს" **რიჩარდ ჯეფერსონი** და 2009 წლის დრაფტის პირველ წრეში არჩევანის უფლება უნდა მიეღო.

27 წლის ნავარო "მემფისში," პირველ რიგში, პაუს გვერდით თამაშის პერსპექტივითაა აღფრთოვანებული.

"გასოლი ვარსკვლავებიდან ყველაზე ნაკლებად რეკლამირებულია, მაგრამ სულელი უნდა იყო, რომ იგი პლანეტის ათ უძლიერეს ცენტრში არ შეიყვანო", - ამბობს ნავარო, რომელიც "მემფისში" "ბარსელონიდან" "ვაშინგტონის" გავლით აღმოჩნდა.

გასოლი და ნავარო 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გმირები იყვნენ. ხუან კარლოსმა ზოგი მატჩი კი ჩააგდო, მაგრამ სადაც სათამაშო იყო, იქ ითამაშა, ხოლო გასოლმა კი ტრავმის გამო ფინალი გამოტოვა, მანამდე კი მუნდიალის უძლიერესი მონაწილე გახლდათ.

ამასთან ერთად, პაუ და ნავარო 1997 წლიდან მოყოლებული, გასოლის ამერიკაში გადაბარგებამდე, "ბარსელონაში" თანაგუნდელები იყვნენ. შარშანდელ სეზონში ნავარო ესპანეთის ჩემპიონატში საშუალოდ 17.3 ქულას (გუნდის ლიდერი) აგროვებდა და თამაშიდან სროლების 47.4% იყენებდა.

"მემფისის" გენერალური მენეჯერი **კრის უოლასი** დარწმუნებულია, რომ ამ ტანდემისა და გუნდის კიდევ ერთი ახალწვეულის, სერბი **დარკო მილიჩიჩის** სახით, "გრიზლისს" ეყოლება ის სამეული, რომლის გარშემოც მომავალში საჩემპიონო გუნდის აშენება გახდება შესაძლებელი.

"პაუ ყველას მოსწონს და, პრინციპში, რთულია ამას არ დაეთანხმო. მილიჩიჩი ჯერაც გაუხსნელი ვარსკვლავია, რომელსაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში თავდაჯერებულობა შეემატა და იმედი მაქვს, თავის საუკეთესო სეზონს ის სწორედ "მემფისში" ჩაატარებს. ჩვენი ახალი მთავარი მწვრთნელი მარკ იავარონი ხუან კარლოსითაა მოხიბლული, თუმცა ამ ბიჭზე კომენტარს ჯერ ვერ გავაკეთებ. ერთია, ევროპაში მაღალ დონეზე თამაში და სულ სხვაა ჩვენს ძალისმიერ ლიგაში ადგილის დამკვიდრება", - მიაჩნია კრის უოლასს.

ამ სამეულის გარდა გუნდშია სტაბილური **მაიკ მილერი**, ხოლო **ჰაკიმ უორიკისა** და **რუდი გეის** სახით "მემფისს" მომავლის დამრტყმელი წყვილი ეზრდება. აქვეა ძალიან ნიჭიერი ახალბედა გამთამაშებელი **მაიკ კონლიც**.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "გრიზლისი", რომელმაც შარშანდელი რეგულარული 22 მოგებითა და 60 წაგებით დაასრულა, წელს საფლეიოფო გუნდი იქნება.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ



ᲞᲐᲣ �გᲐᲡᲝᲚᲘ ᲓᲘᲠᲙ ᲜᲝᲕᲘᲪᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲞᲝᲚᲙᲘ

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲛᲐ ᲠᲐᲓᲘᲛ ᲕᲠᲑᲐᲢᲐ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ

"ფინიქს კოიოტზმა" და "ჩიკაგო ბლექჰოქსმაა" მოთამაშეები გაცვალეს. "ფინიქსმა" ილინოისში ცენტრი **კევინ ადამსი** გაუშვა, სანაცვლოდ კი ნიჭიერი ფრთა **რადიმ ვრბატა** აიყვანა.

26 წლის ვრბატა შარშან "ჩიკაგოს" მეორე მექულე იყო. 41 ქულითა და 27 შედეგიანი გადაცემით მან კარიერის რეკორდები დაამყარა. "კოლორადოს", "კაროლინისა" და "ჩიკაგოს" შემადგენლობაში ჩატარებულ შვიდ სეზონში მის ანგარიშზე 75 გოლი და 95 პასია. რაც შეეხება, 32 წლის ადამსს, მან "ფინიქსის" შემადგენლობაში 33 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ᲔᲜᲓᲘ ᲡᲐᲢᲝᲜᲘ ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲖᲨᲘᲐ

"ნიუ იორ აილენდერზმა" გრენადერი **ენდი სატონის** დამატებით დაცვაცა და მთლიანად შემადგენლობაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. სატონი დაცვაში 37 წლის **შონ ჰილს** შეცვლის, რომელიც "მინესოტაში" გადავიდა.

სატონი გასულ სეზონში "ატლანტის" ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო. ძალისმიერმა უკანახაზელმა შეტევაში თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა და მხოლოდ 16 (2+14) ქულა დააგროვა, თუმცა დაცვის შედეგებში ჯორჯიელებს მასზე ძლიერი არავინ ჰყოლიათ.

სატონის გარდა "აილენდერზს" დაცვაში **მარკ-ანდრე ბერჟერონი, ბრენდან უიტი, ბრუნო ჟერვე** და **კრის კამპოლი** ეყოლება. გუნდი, სავარაუდოდ, კიდევ ერთ მცველს დაიმატებს.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ, ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ ᲕᲔᲠᲐ

დიდი სლემის ტურნირების 8-გზის ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** "პაილოტ ფენის" დიდ ტურნირზე ითამაშებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს თავად უილიამსმა ამცნო.

სერენა, რომელიც დღესდღეობით ერთეულთა შორის მერვე ადგილზეა, წელს ავსტრალიის ღიას ჩემპიონი გახდა, შემდგომ ორ სასლემოზე კი მეოთხედფინალს უწია. უიმბლდონის რვა უძლიერესში გასვლის შემდეგ, უმცროს უილიამსს აღარსად უთამაშია, რისი მიზეზიც საჩვენებელი თითის მიკროტრავმა იყო. უილიამსის გარდა ტურნირზე **სვეტლანა კუზნეცოვა** (მსოფლიოს მე-4 ჩოგანი), **დანიელა ჰანტუხოვა** (10), **მარიონ ბარტოლი** (11), **ელენა დემენტიევა** (13) და ველური ბარათით არჩეული **ლინდსი დავენპორტი** მიიღებენ მონაწილეობას.

სამაგიეროდ, ტურნირს ფრანგი ვარსკვლავი **ამელი მორესმო** გამოტოვებს. მარტში ამელის (6) ბრმა ნაწლავი ამოჭრეს, რის შემდეგაც მორესმო მოვლენებს ფორსირებას არ უკეთებს და მოცდას ამჯობინებს. აღნიშნული ტურნირი 17-25 აგვისტოს გაიმართება.

ᲩᲠᲘᲕᲘ

მარცხნიდან: მასკაევი, დონ კინგი და პიტერი

ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ

ᲞᲘᲢᲔᲠᲘ ᲘᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ

ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲔᲚᲘ ზემძიმეწონოსანი მოკრივე **სამუელ პიტერი** იქადნის, რომ 6 ოქტომბერს სამ რაუნდში გაუსწორდება რუს **ოლეგ მასკაევს** და მას WBC-ს ტიტულს ჩამოართმევს. და თუ ეს შეძლო, ის გახდება ზემძიმე წონაში მსოფლიოს პირველი აფრიკელი ჩემპიონი.

ძლიერი დარტყმის მქონე პიტერი (28-1, 22 ნოკაუტი), ვინც პროფესიულ კარიერაში ერთადერთი მარცხი ორი წლის წინათ, IBF-ისა და IBO-ის ახლანდელი ჩემპიონის, უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკოსგან** იგემა, მასკაევს ნიუ იორკში, "მედისონ სკვერ გარდენის" არენაზე შეხვდება. ბრძოლის ორგანიზება **დონ კინგს** აქვს მიბარებული, რომელსაც პარტნიორობას საპრომოუტერო კომპანია "დუვა ბოქსინგი" უწევს.

შეგახსენებთ, რომ მასკაევი (34-5, 26 ნოკაუტი) WBC-ს სარტყელს მას შემდეგ დაეუფლა, რაც მაშინდელი დროებითი ჩემპიონი, ამერიკელი **ჰასიმ რაჰმანი** დაამარცხა. მას შემდეგ მან მხოლოდ ერთხელ (უგანდელ **პიტერ ოხელოსთან**) დაიცვა ტიტული.

სხვათა შორის, მასკაევთან შეხვედრა WBC-ს საპატიო ჩემპიონს, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსაც** სურდა. მართალია, პიტერი რეიტინგში პირველია, მაგრამ WBC-ს წესებით, საპატიო ჩემპიონს ოფიციალურ პრეტენდენტზე მეტი პრივილეგია აქვს. თუმცა უკრაინელსა და ნიგერიელს შორის მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ ჩემპიონს პირველი პიტერი შეხვდება.

"ჩემთვის მასკაევი უკვე ყოფილი ჩემპიონია. მე მის დანოკაუტებას მესამე რაუნდამდე ვაპირებ. რა თქმა უნდა, ის დიდი ჩემპიონი და შესანიშნავი მოკრივეა, მაგრამ ჩემთან შეხვედრის შემდეგ, თავის ტიტულის დათმობა მოუწევს. ისეთ რამეებს ვუმზადებ, რომ სხვაგვარად არც იქნება. ამ ბრძოლას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ჩემი გეგმის პირველი საფეხურია. მთავარი მიზანი კი ზემძიმე წონაში ბატონობაა. მე მებრძოლად, ჩემპიონად ვარ დაბადებული. საკრივო სკოლა გამოვიარე და ახლა მასკაევთან ბრძოლაში, გამოსაშვებ გამოცდას ჩავაბარებ", - იქადნის პიტერი.

მასკაევი კი ამბობს, რომ პიტერთან ნებისმიერი სტილით ბრძოლისთვის მზად იქნება და არც ტიტულის დათმობას აპირებს. "ჩემი ყველა ბრძოლას რადიკალურად განსხვავებულია. ნებისმიერი ბრძოლისთვის ისე ვემზადები, როგორც გარემოება მკარნახობს. ყველაფერი ჩემი მორიგი მეტოქის სტილზეა დამოკიდებული. ჩემს სამზადისში ერთნაირი მხოლოდ ისაა, რომ ვარჯიშის დროს თავს არასოდეს ვზოგავ. ახლაც შესანიშნავ განწყობაზე ვარ. ხალისით ვვარჯიშობ. ჩემი კოზირი მარტო სისწრაფე არაა. უმაღლეს დონეზე ვფლობ კრივის ტექნიკას და გამძლეობასაც არ ვუჩივი. ჩემპიონისთვის ყველა ბრძოლა გადამწყვეტია. წააგებ და ტიტულს კარგავ. ასე რომ, თავს მოდუნების საშუალება არ უნდა მისცე. არც ვაპირებ, ტიტულის დაკარგვა ჩემს გეგმებში არ შედის", - ამბობს ჩემპიონი.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

მალე რეკორდი დაემხობა



ჯერემი უორინერი

მძლეოსნობის ლეგენდა, ამერიკელი **მაიკლ ჯონსონი** ირწმუნება, რომ 400 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდს, რომელიც მას ეკუთვნის, მისი თანამემამულე, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, **ჯერემი უორინერი** გაუმჯობესებს.

23 წლის უორინერმა ახლახანს, სტოკჰოლმში ასპარეზობისას, პირადი რეკორდი გაუმჯობესა - დისტანცია 43.50 წამში გაირბინა, რაც ყველა დროის მესამე საუკეთესო შედეგია. ჯონსონის მსოფლიო რეკორდი კი, რომელიც მან 1999 წელს სევილიას მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობისას დაამყარა, 43.18 წამია.

ჯონსონი, ვისაც სექტემბერში 40 წელი შეუსრულდება, ამბობს, რომ მის რეკორდსა და უორინერის კარიერის რეკორდს შორის "ძალიან დიდი დროა", მაგრამ ადრე თუ გვიან, უორინერი რეკორდს აუცილებლად გაუმჯობესებს.

"ჩვენს საუკეთესო შედეგებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჯერემი რეკორდს ვერ შესწვდება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება. და თუ რეკორდს ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ იხილავთ, მაშინ მას პეკინში, ან სადმე სხვაგან ელოდეთ", - ამბობს ჯონსონი, ვისაც ასევე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე სირბილში.

კითხვაზე, არსებობს თუ არა რეკორდების ზღვარი, ჯონსონი პასუხობს: *"ალბათ არსებობს, მაგრამ ვერავინ იტყვის, სად გადის ეს ზღვარი. ეს საკითხი მსოფლიო რეკორდებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მთავარი დამაინტრიგებელია - ყოველთვის, როცა ახალი რეკორდი მყარდება, შეიძლება იფიქრო, რომ ეს ზღვარია და რომ უფრო მეტი ადამიანის შესაძლებლობას აღემატება. მაგრამ გადის დრო და გამოჩნდება ვინმე, ვინც ამ ზღვარს გადასწევს. ჰოდა, ალბათ ნებისმიერი რეკორდი გარკვეული ზღვარია, რომლებსაც მხოლოდ რჩეულები აღწევენ"*, - ამბობს ჯონსონი.

უორინერი სპრინტის მოვლენაა თუნდაც იმით, რომ ის თეთრკანიანია - სპრინტერულ დისტანციებზე კი თითქმის ყოველთვის შავკანიანები დომინირებენ. 400 მეტრზე სპრინტში მას უკეთესი შედეგები მხოლოდ ჯონსონსა და კიდევ ერთ ამერიკელს - **ჰარი რეინოლდსს** აქვთ დაფიქსირებული. სხვათა შორის, დისტანცია 43.50 წამში უორინერის გარდა, ამერიკელმა **ქუინსი უოტსმაც** გაირბინა.

თავად უორინერიც ამბობს, რომ საუკეთესო ფორმაში იმყოფება და რომ ოსაკაში რეკორდის გაუმჯობესება გამორიცხული არაა. *"შანსი არსებობს. ოსაკას სტადიონის სარბენი ბილიკი მართლაც ძალიან კარგია. ის მაღალი სისწრაფის აკრეფის საშუალებას იძლევა. მაგრამ რეკორდი ჩემი თვითმიზანი არ არის. უბრალოდ, გამოვალ და როგორც შევძლებ, ისე ვირბენ. რა შედეგს მივაღწევ, ეს მერე გამოჩნდება"*, - ამბობს უორინერი.

პაუელს იაპონიაში არ უშვებდნენ

ოსაკაში მალე მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება. მსოფლიო ფორუმზე კი ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდის ავტორი, იამაიკელი **ასაფა პაუელი** იქნება. მაგრამ მას იაპონიაში ჩასვლასთან დაკავშირებით, პრობლემები შეექმნა.

იამაიკის ნაკრებს იაპონიის ვიზა იაპონიის მილანურ საკონსულოში უნდა აეღო, მაგრამ პირველ მოთხოვნაზე გუნდის წევრებმა ვიზა ვერ მიიღეს, რის გამოც, ისინი იძულებულნი გახდნენ, იაპონიაში გამგზავრება გადაედოთ. მოგვიანებით კი ყველაფერი გაირკვა და იამაიკის ნაკრების მოთხოვნაც დაკმაყოფილდა.

პაუელი ოსაკაში დღეს გაემგზავრება და იქ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპის ბოლო საფეხურს შეუდგება. ვიზასთან დაკავშირებული პრობლემები რომ არა, ის უკვე ოსაკაში უნდა ყოფილიყო. იამაიკელთა გუნდის უფროსი **ჰოლ დოილი** ირწმუნება, რომ ვიზის დაგვიანება პაუელს გრაფიკიდან ვერ ამოაგდებს.

"უბრალოდ, ვიზა რომ დროულად მიგველო, ასაფას აკლიმატიზაცია უკვე გავლილი ექნებოდა. მაგრამ ეგ არაფერი, ჩემპიონატის ლანყებამდე საკმაოზე დიდი დროა და ვიმედოვნებ, რომ მისი მოსამზადებელი პროცესი ამ ინციდენტით არ დაირღვევა", - ამბობს დოილი.

მისივე თქმით, გაუგებრობა იამაიკის მძლეოსნობის ფედერაციის ბრალია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებისგან დროულად არ მოუთხოვია ვიზები. როგორც კი გაირკვა, თუ რისთვის იყო ეს ვიზები საჭირო, იაპონელებმა ისინი მაშინვე მოგვცესო.

შეგახსენებთ, რომ ოსაკაში მსოფლიო ჩემპიონატი 25 აგვისტოს დაიწყება და 2 სექტემბერს დასრულდება. ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენა კი ას მეტრზე სპრინტში ორი ვარსკვლავის - პაუელისა და ამერიკელი **ტაისონ გეის** დაპირისპირება იქნება. თუ პაუელი მსოფლიო რეკორდსმენია, გეის ამ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი ეკუთვნის, ერთხელ კი პაუელის რეკორდსაც აჯობა, მაგრამ ის შედეგი რეკორდად არ ჩაეთვალა იმის გამო, რომ დასაშვებზე ძლიერი ზურგქარი ეხმარებოდა. ამასთან, გეიმ უკვე ორჯერ დაიქადნა, რეკორდს დავამყარებო, მაგრამ გარემოებათა გამო, დანაქადნი ვერ შეასრულა. ახლა კი, ოსკას წინ ჯერჯერობით, პროგნოზებისგან თავს იკავებს. თუმცა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ოსაკაში, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის გარდა, მისი მიზანიც მსოფლიო რეკორდი იქნება.

მერაბ ლორთქიფანიძე

13 აგვისტო. ორშაბათი

EUROSPORT

09:30 ექსტრემალური სპორტი. YOZ-ჟურნალი
10:00 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. ფინალი
11:30 ტრამპლინი. 4 ერის დიდი პრიზი. ჰინტერცარტენი (გერმანია)
12:30 მძლეოსნობა. ვატენშაიდი (გერმანია)
13:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. იუვენტუსი-ბარსელონა
15:15 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. ბაიერნი-ჩელსი
15:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. ინტერი-მანჩ.იუნაიტედი
17:15 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. ფინალი
19:00 ფეხბურთი. ევროგოლი. ევროპული ლიგების მიმოხილვა
19:15 WATTS
19:45 ტრამპლინი. . 4 ერის დიდი პრიზი. ჰინტერცარტენი (გერმანია)
21:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. იუვენტუსი-ბარსელონა
22:00 საბრძოლო კლუბი. მსოფლიო დიდი პრიზი. ამტერდამი
01:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. ინტერი-მანჩ.იუნაიტედი
02:00 ყველა სპორტი. სიუჟეტები

EUROSPORT 2

08:30 ახალი ამბები
11:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი. გილონგ ქეტსი-ადელაიდა ქროუვზი
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ჰონ კონგი. დომინიკელთა რესპუბლიკა-პოლონეთი
13:00 ახალი ამბები
15:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სან ბენედეტო დელ ტრონტო (იტალია). ფინალი
16:00 მოტო GP. ესპანეთის დიდი პრიზი. ბარსელონა (ესპანეთი)
17:00 ავტოსპორტი. ჩემპ ქარის მსოფლიო სერია. ელკჰარტ ლეიკი (აშშ)
18:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ჰონ კონგი. დომინიკელთა რესპუბლიკა-პოლონეთი
19:00 ახალი ამბები
19:30 კარტინგი. ევროპის ჩემპიონატი. სალბრისი, საფრანგეთი
20:00 ტრაიალი. [illegible] ჰოუკსტოუნ პარკი (ბრიტანეთი)
20:30 ახალი ამბები
21:00 X-ტრემალური სპორტი. ბალტიმორი (აშშ)
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ჰონ კონგი. აშშ-რუსეთი
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი. გილონგ ქეტსი-ადელაიდა ქროუვზი
24:00 ახალი ამბები
24:15 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ჰონ კონგი. დომინიკელთა რესპუბლიკა-პოლონეთი
01:15 ახალი ამბები
01:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ტორონტო. პირველი დღე
03:15 ახალი ამბები

SPORT 1 (უკრაინა)

06:25. გზა პეკინისკენ
06:55. უკრაინის სპორტის ისტორია. 1957 წელი
07:10. ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 2006-2007. ბეტისი-ვალენსია
09:05. ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. ტურის წინ
10:00. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. სანდერლენდი-ტოტენჰემი
11:45. ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ
12:10. ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ბაიერნი-ჰანზა
14:00. ფეხბურთი. პრემიერ ლიგის სამყარო
14:40. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ასტონ ვილა-ლივერპული
16:25. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ჩელსი-ბირმინგემი (LIVE)
18:20. პლაჟის ფეხბურთი. კიევის გრან პრი
19:30. ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტურის წინ
19:55. უკრაინის ჩემპიონატი. მეტალისტი-ტავრია (LIVE)
22:10. ფეხბურთი. სუდამერიკანას მიმოხილვა
22:40. მძლეოსნობის ვარსკვლავები
22:55. ფეხურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო (მ)-პალმეირასი (LIVE)
0055. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. მანჩესტერ იუნაიტედი-რედინგი

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

უგრეხბი-ესპანიოლი	2:2
გრონინგენი-ვალიორკა	2:2

კალათბურთი

ამხანაგური მატჩები

ავსტრია-სლოვაკია	82:92
ლიგა-რუსეთი	76:66
საფრანგეთი-სლოვენია	80:60
საბერძნეთი-სერბეთი	62:93

წყალბურთი

მსოფლიო ლიგა

კაცები. ფინალი

უნგრეთი-სერბეთი	6:9

ჩოგბურთი

ATP. მონრეალი

ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:7, 6:2, 6:7

სან მარინო

სტარაჩე-მონტანიესი	6:4, 7:6

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

რაიკონენი ჭიჭულისთვის ბრძოლას აპირებს

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის ბრიტანელ ლიდერ **ლუის ჰემილტონს** ოცი ქულით ჩამორჩება, "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენს** ჯერაც არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ ამ სეზონის ბოლოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლება.

უნგრეთის დიდი პრიზის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატზე სამკვირიანი პაუზაა, რომელსაც გუნდები ტექნიკის მოდერნიზაციისთვის, პილოტები კი დასასვენებლად იყენებენ. უნგრული რბოლის შემდეგ, კონსტრუქტორთა პირველობაზე "მაკლარენმა" უმთავრეს მეტოქე "ფერარისთან" თავისი უპირატესობა ორი ქულით (19 ქულამდე) გაზარდა. რაიკონენს კი მესამე ადგილი უკავია და თუ ჩემპიონობა სურს, უნდა გაასწროს არამხოლოდ ჰემილტონს, ვისაც ოცი ქულით ჩამორჩება, არამედ ესპანელ **ფერნანდო ალონსოსაც**, ვისთანაც კლასიფიკაციაში 13 ქულა აშორებს.

ფინელი პილოტი, ვინც "ფერარიში" მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ შუმახერი** შეცვალა, იმედოვნებს, რომ თურქთის დიდი პრიზიდან, ჩემპიონატში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. კიმის აზრით, დარჩენილი ექვსი რბოლიდან, უმეტესის ტრასები "ფერარის" ბოლიდს უკეთ შეეფერება, ვიდრე მეტოქე "მაკლარენისას".

"ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა. გარწმუნებთ, ჩვენ ჯერაც შეგვიძლია დაწინაურება. ლიდერებთან ჩვენი ჩამორჩენა ჯერაც დიდია, მაგრამ ჩვენს გუნდს აქვს საკმაო პოტენციალი იმისა, რომ წინ გასვლა შევძლოთ. ამის საფუძველს კი ის გარემოება გვაძლევს, რომ შესანიშნავი ავტომობილით ვასპარეზობთ", - ამბობს რაიკონენი.

ფინელი პილოტის თქმით, ბუდაპეშტის ტრასა ნაკლებად შეესაბამებოდა "ფერარის" ბოლიდის მონაცემებს. ამიტომ, ამ რბოლის შემდეგ ჩამორჩენის შენარჩუნებაც მიღწევა იყოო. სამაგიეროდ, დარჩენილი ტრასების უმეტესობა ჩქაროსნულია, რაც მარანელოელებს მცირე უპირატესობის იმედს აძლევს.

"ჩვენ მოვიგეთ რბოლები "მანი კურსა" და "სილვერსტოუნზე". მსგავს და უფრო ჩქაროსნულ ტრასებზე ჩვენ უფრო კონკურენტუნარიანები ვიქნებით, ვიდრე "ჰუნგარორინგზე" ვიყავით. ასეთ ტრასებზე კი რბოლები გვექნება სტამბულში, მონცასა და სპა-ფრანკორშამში. იქ ბევრი გრძელი სწორი მონაკვეთი და სწრაფი მოსახვევია, სადაც ჩვენი ბოლიდის მონაცემებს უკეთ გამოვიყენებთ", - დასძენს ფინელი პილოტი.

სხვათა შორის, "ფერარის" მთავარმა აღმასრულებელმა **ჟან ტოდტმა** თავის პილოტებს (რაიკონენსა და ბრაზილიელ **ფელიპე მასას**) მიზნად ყოველ დარჩენილ რბოლაში კვარცხლბეკზე ასვლა დაუსახა. მხოლოდ ასე შეგვიძლია "მაკლარენის" დაწევაო. რაიკონენი ამბობს, რომ ეს დავალება შესრულებადია და რომ იტალიური გუნდის პილოტები თურქეთის დიდი პრიზიდან მოყოლებული, სენსაციურ შემობრუნებას გეგმავენ.

"ფელიპე და მე დარჩენილ რბოლებში დუბლების შესრულებისთვის ვიბრძოლებთ. ვიცი, რომ ზედიზედ ექვსი რბოლის მოგება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ვეცდებით. და თუ გაგვიმართლებს, მაშინ ლიდერების დაწევაც შესაძლებელი იქნება", - ოცნებობს რაიკონენი.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატი 26 აგვისტოს, თურქეთის დიდი პრიზით განახლდება.

მერაბ ლორთქიფანიძე

კიმი რაიკონენი



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ტურნირების მიმოხილვა

ჯოკოვიჩმა ნადალი გამოაგდო

ბევრი ელოდა, რომ მონრეალის მასტერსის ფინალში ძველი მეტოქეები - მსოფლიოს პირველი ორი მეჩოგნე, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ესპანელი **რაფაელ ნადალი** დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** პროგნოზები თავდაყირა დააყენა.

ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა ფედერერმა ჯერ დაძაბულ მეოთხედფინალურ ბრძოლაში აჯობა ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტს**, შემდეგ კი ჩეხი **რადეკ სტეპანეკიც** ზედ მიაყოლა. ნადალს კი, მეოთხედფინალში კანადელი **ფრენკ დანცევიჩის** დასამარცხებლად სამი სეტი დასჭირდა, ნახევარფინალში კი ჯოკოვიჩთან "დაეცა". საინტერესოა, რომ სერბმა ჩოგბურთელმა შეხვედრის განმავლობაში ყველა, რვავე ბრეიკ პოინტი მოიგერია. ფედერერმა კი ჰიუიტთანაც და სტეპანეკთანაც 13 ეისი მოაწოდა.

სტეპანეკს ბოლო 14-დან 12 თამაში აქვს მოგებული. გარკვეული შანსები მას ფედერერთან შეხვედრაშიც ჰქონდა. მაგალითად, პირველი სეტის მეშვიდე გეიმში, მეტოქის მოწოდებაზე ის 40:0 დაწინაურდა. თუმცა, ტურნირის ჩემპიონმა სამივე ბრეიკ პოინტი მოიგერია და გეიმიც თავად მოიგო. პირველ სეტში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. ჩეხმა სამი სეტ პოინტი მოიგერია, მაგრამ მეოთხე შემთხვევაში ფედერერმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. შვეიცარიელმა მიღებაზე ფორჰენდი ბრწყინვალედ შეასრულა და გამარჯვების ქულაც მოიპოვა. მეორე სეტში კი მან ორჯერ შეძლო მეტოქის მოწოდების აღება.

"ძალიან ძნელი მატჩი იყო, რომლის დროსაც, მაყურებელმა ბევრი საინტერესო გათამაშება იხილა. რადეკმა შესანიშნავად ითამაშა. მეც ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით კი მოწოდება გამომდიოდა კარგად", - განაცხადა ფედერერმა, ვინც ჰიუიტთან შეხვედრაშიც მაყურებლისგან არაერთხელ დაიმსახურა ოვაცია.

მონრეალამდე ნადალსა და ჯოკოვიჩს ერთმანეთის წინააღმდეგ ექვსჯერ ჰქონდათ ნათამაშები და აქედან სერბმა მხოლოდ ერთი მოიგო. მაგრამ ამჯერად იგი შეუდარებელი იყო. მაშინაც კი არ იბნეოდა, რომცა ტურნირის ყოფილ (2005 წლის) ჩემპიონს ბრეიკის შანსები უჩნდებოდა. მაგალითად, პირველი სეტის მეათე გეიმში ესპანელს სამჯერ შეეძლო მეტოქის მოწოდების აღება, მაგრამ სერბმა სამივე შემთხვევაში იყოჩაღა. მერე კი, როგორც კი თავისი სერვის-გეიმი გადაარჩინა, მაშინვე მეტოქის მოწოდებაზეც გააქტიურდა და საჩუქრად ბრეიკი მოიპოვა.

მეორე სეტში ჯოკოვიჩს უპირატესობა ჰქონდა, რაც მერვე გეიმში მოპოვებულ ბრეიკში აისახა. ეს კი საკმარისი გამოდგა სეტისა და მთლიანად შეხვედრის მოსაგებადაც.

"ერთდროულად მოთმინებაც მოვიკრიბე და აგრესიულადაც ვთამაშობდი. რამდენჯერმე კი იღბალმაც გამიმართლა. რაც მთავარია, მთელი ტურნირის განმავლობაში კარგად ვაწოდებ ბურთს, რამაც მთლიანობაში, ჩემი კარგი თამაში განაპირობა. სხვა თუ არაფერი, ბრეიკ პოინტებს სწორედ კარგი მოწოდებით ვაღწევდი თავს", - განაცხადა ჯოკოვიჩმა, ვინც ფედერერს სულ ოთხჯერ შეხვედრია და ოთხივე თამაში წაგებული აქვს.

თუმცა, ამის მიუხედავად, მსოფლიოს პირველი ჩოგანი თვლის, რომ ეს ფინალი წინა ოთხი შეხვედრისგან სრულიად განსხვავებული იქნება. ახლა სულ სხვა ნოვაკთან მექნება საქმეო. ამ ბიჭს შესანიშნავი მოწოდება და არანაკლებ კარგი დაბრუნება აქვსო, - ამბობს შვეიცარიელი მაესტრო.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩმა ამ სეზონში უკვე მოიგო მასტერსის სერიის ერთი ტურნირი (მაიამი) და იმედოვნებს, რომ კიდევ ერთსაც მოიგებს. *"დასაკარგი არაფერი მაქვს. თანაც, ამ ტურნირზე რამდენიმე ისეთი კარგი შეხვედრა ჩავატარე, რომ ვფიქრობ, ფინალის მოგება შეუძლებელი არ უნდა იყოს"*, - ამბობს ჯოკოვიჩი.

ლოს ანჯელესში მიმდინარე მეორე კატეგორიის ტურნირის ფინალში კი ერთმანეთს სერბი **ანა იანკოვიჩი** და რუსი **ნადია პეტროვა** შეხვდებიან. პირველმა ნახევარფინალში სამ სეტში დაამარცხა თავისი თანამემამულე **ელენა იანკოვიჩი**, მეორემ კი კორტზე გაუსვლელად მოიპოვა ფინალის საგზური, რადგან მისი მეტოქე **მარია შარაპოვა** ტრავმის გამო, სათამაშოდ არ გამოვიდა.

შარაპოვას თამაშის საშუალება მარცხენა ფეხის წვივის კუნთის ტკივილმა არ მისცა. მესამე წრესა და მეოთხედფინალში, მას დაძაბული პაექრობა ჰქონდა ჯერ ჰოლანდიელ **მიხაელა კრაიჩეკსა** და რუს **ელენა დემენტიევასთან**, რამაც მის კონდიციაზე უარყოფითად იმოქმედა. ნახევარფინალში თამაშის წინ, მოთელვაზე რომ იყო, მას კუნთი დაეჭიმა და ექიმების რჩევით, კორტზეც აღარ გამოსულა. ეგ კი არა, ალბათ აშშ-ის ღიას დაწყებამდეც, არსად ითამაშებს.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

როჯერს კაპი

მონრეალი (კანადა). მასტერსის სერია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 2 450 000 დოლარი

1/4 ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:3, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფრენკ დანცევიჩი (კან) 4:6, 6:2, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-ენდი როდიკი (აშშ, 5) 7:6(4), 6:4; **რადეკ სტეპანეკი (ჩეხ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 6:4, 7:5

1/2 ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) 7:6(6), 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 7:5, 6:3

WTA

ისტ ვეზტ ბენკ კლასიკი

ლოს ანჯელესი (აშშ). მეორე კატეგორია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

1/4 ფინალი

მარია შარაპოვა (რუს, 1)-ელენა დემენტიევა (რუს, 9) 6:3, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)**-ვიკტორია აზარენკა (ბელა) 6:4, 6:7(5), 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 3)**-მარია კირილენკო (რუს) 6:4, 6:4; **ნადია პეტროვა (რუს, 4)**-ვირჟინი რასანო (საფ) 6:7(3), 6:4, 6:1

1/2 ფინალი

ნადია პეტროვა (რუს, 4)-მარია შარაპოვა (რუს, 1) შარაპოვამ ვერ ითამაშა; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 3)**-ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2) 4:6, 6:3, 7:5

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თეენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გაერთიანების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თეენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10 ³,
0159 თბილისი
(დელომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995, 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა

ვარსკვლავი

ვინ დგას შარაპოვას უკან

მეორე ნაწილი

აკადემიური ცოდნა

იმ მომენტში **შარაპოვა ბოლეტიერის** აკადემიაში ყველასგან დასაცინი და საშაყირო იყო. თითქმის ყველას, ვინც კი ამ საჩოგბურთო სამოთხის ტერიტორიაზე ხვდებოდა, უყვებოდნენ შემთხვევას, რომელიც მარიას აკადემიაში გამოჩენას უკავშირდებოდა.

ღამით, გალეწილმა რუსმა უზარმაზარ კარიბჭესთან ღრიალი ატეხა: *"მანახეთ ნიკ ბოლეტიერი! მე მას მომავალი ჩემპიონი ჩამოვუყვანე"*.

იქამდე, სანამ შემთხვევის ადგილზე პოლიცია გაჩნდებოდა, საიდანღაც მილიონერი **ჯო ფოსტერი** აღმოჩნდა, რომელსაც გადაღლილი და მთვრალი რუსი შეეცოდა და თავის შვილთან ერთად შეიფარა.

ის ნასვამი პიროვნება იური შარაპოვი იყო, რომელიც ფოსტერმა თავიდან მებაღედ აიყვანა, მერე კი იურას იმხელა პატივი ერგო, რომ მილიონერის პირადი მძღოლიც გახდა.

რაც შეეხება მარიას, იგი მშვენივრად ერთობოდა ჯოს ქალიშვილ **ჯოანთან** ერთად.

მისტერ ფოსტერმა მარია აკადემიაში მიაბარა და სამი წლის გადასახდელიც დაფარა. შარაპოვა პირველი წლის განმავლობაში ბოლეტიერის აკადემიის ყველაზე საზიზღარ, დამწყებებისთვისაც კი მიუღებელ კორტზე ვარჯიშობდა. როგორც მოგვიანებით თავად ბოლეტიერი გაიხსენებს, იმ კორტზე დახეულ სარეკლამო ფლაერებსა და კიდევ სხვა ნაგავს აგროვებდნენ.

მარიას ერთი წლის მერე პირველი სპონსორი გამოუჩნდა, ვისთან თანამშრომლობაც ზუსტად ორ საათს გაგრძელდა. **იური შარაპოვი** სპონსორთან კონტრაქტის გასაფორმებლად ამჯერადაც მაგარი გათხლეშილი მივიდა და სან ფრანცისკოს რესტორნების მფლობელმა მილიონერმა რუსულ კლანთან სამომავლო ურთიერთობისგან თავი შორს დაიჭირა.

ბოლოს კი ასპარეზზე წინა ნაწილში ნახსენები მარკ აიზენბადი გამოჩნდა, რომელმაც იურას ნდობა დაიმსახურა და მას მერე მარიას კარიერა მხოლოდ და მხოლოდ წინ წავიდა.

მენეჯერების დიდმა ჯგუფმა, რომელსაც თავისთავად, **აიზენბადი** ხელმძღვანელობდა, "ანტი-კურნიკოვას" ახალი პროტოტიპი შექმნეს. შარაპოვასთვის (მათივე თქმით) ჩოგბურთის გარდა, ყველაფერი მეორე პლანზე იყო გადაწეული.

"მარიას ერთადერთი პრიორიტეტი რაც შეიძლება მეტი მატჩის მოგება და ასევე რეიტინგში ადგილის გაუმჯობესება იქნება", - აბმობდა აიზენბადი.

იურამ შვილს ფოსტერის მძღოლობით დაგროვილი ფულით შვიდი მცველი დაუქირავა, რომელთა მიზანი... მარიას სექსისგან დაცვა იყო.

წინააღმდეგი ვინ არის?

ის, რომ მარიას კლანის წარმომადგენლები, პირველ რიგში კი მისტერ აიზენბადი, შარაპოვას რუსეთის ნაკრების სახელით გამოსვლას უკრძალავდნენ, ჯერ კიდევ 2004 წელს გახდა ცნობილი.

შარაპოვა იმ წლის უიმბლდონის ფინალში სერენა უილიამსი გაანადგურა და მამამისთან ერთად რუსეთის პრეზიდენტთან აუდიენციაზე უნდა გადაფრენილიყო, ბოლო წამს კი ჩოგბურთელმა პრეზიდენტს უარი "გადატვირთული გრაფიკის" გამო შეუთვალა.

აიზენბადი ყველას მომღიმარი ფიზიონომიით "აბოლებდა", ჩვენი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მარია რუსია და ამ უზარმაზარი ქვეყნიდან შარაპოვა მილიონებს გვაშოვნინებსო, მაგრამ მასსა და მის კოლეგებს მთელი რუსეთი სულ ერთ ადგილზე ეკიდა.

იმ მომენტისთვის შარაპოვას 27 ინდივიდუალური კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, რომელთა 21%-ს აიზენბადი პირადად იღებდა.

ამერიკისთვის "რუსი ამერიკელი" იდეალურ მოდელად იქცა. სწორედ აიზენბადის დამსახურებაა ის, რომ დღესდღეობით მარია შარაპოვა წლიურად 36 მილიონ დოლარს იღებს.

აიზენბადი დღესაც ყოველგვარი აღფრთოვანების გარეშე იხსენებს იმ დღეს, როდესაც იურას შეპირდა, შენი შვილი ულაპარაკოდ ითამაშებს რუსეთის ნაკრებში ფედერაციის თასზე და ჩვენთვის ეს ფულის მოზიდვის დამატებითი წყარო იქნებაო.

ფლორიდაში დამკვიდრებული შარაპოვები რუსეთში 2 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაუშვეს. აიზენბადი სულ სხვადასხვა მიზეზებს იგონებდა - ხან მარიას რომელიღაც მაგარ რეპერთან აუდიენცია დაუნიშნა, ხან **ლებრონ ჯეიმსი** უნდა გაეცნო. ერთხელ კი შარაპოვა რომელიღაც "მაკდონალდსის" გახსნაზე საპატიო სტუმრად დაპატიჟეს, რუსეთში კი მას **შამილ ტარპიშჩევის** თამადობით, მთელი რუსული საჩოგბურთო სამყარო ელოდა.

"მარია ჩვენი კომპანიის საუკეთესო წარმომადგენელია. რუსეთში ერთად ჩავალთ, მისტერ პუტინსაც შევხვდებით და მაგარ ღამის კლუბშიც ერთად წავალთ", - ამბობდა აიზენბადი, იურა შარაპოვს კი ყველაფერი ამის სჯეროდა.

2005-ში შარაპოვას მამა სარენიმაციო გახდა. თვითმხილველების თქმით, ორი საათის განმავლობაში იური შარაპოვმა ორი ბოთლი ვისკი ჩაცალა, ხოლო როდესაც მარიას მცველებმა იგი მანქანისკენ წაათრიეს, სულ გინებით გაყარა იქედან და გზად ნახევარი ბოთლი კონიაკიც ჩაისხა.

მარიას არაფერი გააგებინეს და აიზენბადი ყველანაირად შეეცადა, ყვითელ პრესას ამის შესახებ არ შეეტყო, თუმცა არაფერი გამოუვიდა.

"ამერიკაში კაპიტალისტები და ფაშისტები ცხოვრობთ. რუსეთში ერთი ვედრო არაყი რომ დავლიო, არავინ შეწუხდება და ყურადღებასაც არავინ მომაქცევს. ჩემს შვილს ხელს მოვკიდებ და ხვალვე მოსკოვში გადავფრინდებით", - ყვიროდა ჰოსპიტალში მასმედიასთან შეხვედრისას იური.



ცხადია, იური და მისი მილიონერი შვილი რუსეთში არ გაუშვეს, მიზეზად კი აიზენბადმა ელემენტარული აფიორა გამოიყენა - შენ შვილს კიდევ ერთი სპონსორი გამოუჩნდა და იქამდე, სანამ კონტრაქტს გაგვიფორმებს, პირადად შენ 30 ათასი დოლარი გაჩუქაო, უთხრა აიზენბადმა იურას და ცხადია, თანხმობა მიიღო. მოგვიანებით გაირკვა, რომ მაიკმა ეს თანხა მარიას პირადი ანგარიშიდან მოხსნა.

ზურაბ თალაკვაძე
გაგრძელება იქნება